ლიტერატურული გაზეთი

№15 (343) 4 - 31 აგვისტო 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი



დიმიტრი წიკლაური

მგალობელნი, მხმობელნი...

1

იმდენი ხანია, თბილისში ვცხოვრობ, ბევრს აქაური ვგონივარ. ბერდია მამაჩემმა დამარქვა თავისი მთიელი ძმაკაცის პატივსაცემად. ფერწერის ნიჭიც მამისგან გამომყვა. არეულობის დროს სამხატვრო სკოლაში ჩავაბარე, თუმცა მეცნიერების შესწავლას მირჩევდნენ. ჩრდილში შეყუჟვას ვერ შეძლებ, ოჯახის რჩენა მოგიწევსო. განა არ ვიცოდი, ფონს გასვლა ძნელი რომ იქნებოდა. ცხოვრება ისეთია, ომში ნამყოფობა დასახიჩრებული სხეულით უნდა ამტკიცო. დაჭყეტილი თვალები მეტყველებენ, უკუნეთში ხანგრძლივად რომ გევლო. მაგრამ მეცნიერება არ მაინტერესებდა. არ მსურდა, ჩემთვის გაუგებარი სამყაროს მოხილვა, სადაც არაფერი მესაქმებოდა და ვერც თანამოაზრეებს ვიპოვიდი. ცხოვრების დანიშნულებაზე როცა ვფიქრობდი, მისი ფილოსოფიური ახსნა მეწადა. სასწავლებელი კი დავამთავრე, თუმცა ამ საქმეს შემდგომში აღარ მივყოლივარ. ცხოვრება დროს არ მიტოვებდა მოტივაციის განსამტკიცებლად.

II-III

ნინო მშვიდობაძე

ხასიათისა

ჩემი სული გალიაში დატყვევებული ფრინველია,
რომელიც ხშირად ტოვებს გალიას...
დღითიდღე მიშლის სხეული ხელს და მამძიმებს...
ძლიერი ქალი კი არა,
ბაბუაწვერა ვარ —
სულს თუ შემიბერავ, გავფრინდები.
ყოველდღე კაბებივით ვიცვლი ხასიათს —
ზუსტად იმ ფერის ვარ, რა ფერის კაბაც მაცვია —
უფრო ფერადი, ვიდრე ჭრელი...
არ ვაგროვებ წლებს და არასოდეს მახსოვს, რამდენი წლის ვარ,
ვაგროვებ მოგონებებს და შეგრძნებებს და მგონია, რომ
ასაკზე მეტად ძვირფასი განძის მფლობელი ვარ:
მე ადამიანებს ვინახავ...
ჩემი ეგო გაცილებით ცინიკოსია,
ვიდრე ის, რასაც ხედავთ.
საკუთარ თავს უფრო დავცინი და სოფლის შარაგზას
მოკლე შორტებითა და მაისურით მოვუყვები ხოლმე,
თქვენ წარმოიდგინეთ, არც ხმამაღალ სიცილს ვერიდები და
აღარც ემოციების გამოხატვას —
შინაგანი თავისუფლება თურმე შეგროვებული შეგრძნებების შედეგია.
ძლიერი ქალი კი არა,
ბაბუაწვერა ვარ —
ვოცნებობ, სული შემიბერო,
რომ გავფრინდე...

IV-V

დიმიტრი წიკლაური

მგალობელნი, მხმობელნი...

დასაწყისი პირველ გვერდზე

სამუშაოდ სტამბაში მოვეწყე, საბეჭდ დაზგა-დანადგართან ვიდექი და დრო მომაბეზრებელი ზოზინით იწელებოდა. შესვენებისთვის ზუსტად იმდენი ხანი გვრჩებოდა, მშრალი საუზმით გამოკვება მოგვესწრო. პურის დაღეჭვას ვერ ვასწრებდით და მადლიერება გვმსჭვალავდა, ლუკმა რომ არ გადაგვცდა. შაბათობით სმას შევეჩვიე, თავდავიწყებას რომ მივცემოდი. ერთ დღეს საკანცელარიო დარბაზში გვიხმეს, დასწრება სავალდებულოაო. თემა შრომის დაცვას ეხებოდა. ლექტორი ხელების ფშვნეტით გვიმხელდა წვრილმან დეტალებს, თითებს კი ისე ატკაცუნებდა, ლამის გადასტეხოდა. სახეზე გვეწერა, საკითხი დიდად რომ არ გვაღელვებდა. მსჯელობას მიკიბ-მოკიბვად და ფუჭ ლაყობად მივიჩნევდით, მაგრამ ხმაურს ხომ არ ავტეხდით. დამყოლად ვიქცეოდით, და ვერაფერში შეგვედავებოდნენ. თან იმდენი ვიყავით, ბოლო რიგებში ვიდექით კიდეც. ჩემს წინ მაღალი კაცი აყუდებულიყო და კათედრის დანახვის საშუალებას არ მაძლევდა. სამაგიეროდ არც მე ვჩანდი. ისედაც მხოლოდ მაშინ თუ შემომხედავდნენ ხოლმე, როცა სანახავი აღარაფერი რჩებოდათ. ლექტორი ისეთი ინტერესით ჰყვებოდა მასალას, გარშემომყოფებს ვერც გვამჩნევდა. ეს მერჩივნა კიდეც. ფანჯრიდან ნაძვებს გავყურებდი, წიწვებს შორის მოზრდილი გირჩები ტოტებზე საახალწლო საჩუქრებით გატენილი ტომსიკებივით რომ ეკიდა. თვალუწვდენელი ჭალა იმდენად მოტიტვლებული ჩანდა, არ გამიკვირდებოდა, ადამიანებსაც შიშვლებს რომ ჩაევლოთ. აქეთა მხარეს შენობები ჩაემწკრივებინათ, სახურავები ყინულივით რომ უბრწყინავდა. მშენებლობისას თითბრის მასალა ოხრად თუ გაეხარჯათ.

მე მდგმურად ვცხოვრობდი და ერთი სახლიდან მეორეში გადაბარგება ხშირად მიხდებოდა. ამ უბანს კი დიდხანს შევრჩი. ჭურჭლის რეცხვის მოვალეობა მხოლოდ კვირაობით მაღვიძებდა, რადგან სხვა დღეებში ადრე მიწევდა გასვლა. მთელ კორპუსში ერთ ან ორ ბინაში თუ ენთო შუქი. დერეფნიდან ყრუდ აღწევდა მონოტონური ბგერები. ვენტილატორი ხრიალით ჩხაკუნებდა. პლასტმასა ლამის ნაფშვენებად ქცეულიყო. მოპირდაპირე შენობაზე სარეკლამო ბანერი ენთო — შავ-თეთრად გამოსახული დედამიწის რომელიღაც ტერიტორიის დაბომბილი ხედი. ომი ხომ ისტორიის თანმდევია, სადღაც ყოველთვის რომ მიმდინარეობს. წითელი ღრუბლები მალიმალ ქრებოდა, გეგონება, ცას შეხორცებული ჭრილობიდან მშრალი სალბუნებით სისხლს წმენდენო. მეზობლის შვილს ნიკაპი რაფაზე დაებჯინა და სევდიანი მზერით აკვირდებოდა ამინდს, კარგს რომ არაფერს უქადდა. ზოგადად, ბავშვი თუ არ ცუღლუტობს, თვალებში სევდა უდგას და გულითად მოპყრობას საჭიროებს. დედამისს სახელოები მკლავებამდე აეკაპიწებინა და სახლის დასუფთავებას შესდგომოდა. დროდადრო წყლისა და ჭურჭლის ჩხრიალსა და ჩხარუნს, სკამის ჭრიალი და გამაბეზრებელი ოხვრა ანაცვლებდა, მაცივრის დგანდგართან ერთად იქაურობის განუყოფელ ბგერად რომ ქცეულიყო. გარეთ კი სივრცე დუდუნებდა, თითქოს მთვლემარე ზღვა ფშვინავსო. როცა ზვირთებს ააგორებდა, სხვებსაც მოუწევდათ გაღვიძება.

კაკუნზე კარი გამოვაღე. ვიღაცამ ხელში ფურცელი მომაჩეჩა, რომელიღაც პოლიტიკური პარტიის პროგრამა და გაშპა. ტექსტს ისე ჩავაჩერდი, როგორც იეროგლიფებს, რადგან ჯერაც მთვრალი ვიყავი, კრავის მაგივრად ძრავი წავიკითხე, ხოლო არჩევანის ნაცვლად გარსევანი. ამ მოძრაობას არაფერში გამოვადგებოდი.

2

ხალხი, რომელიც გულით შევიყვარე, ეკლესიაში გავიცანი, გარეუბნის მყუდრო ტაძარში, მეტროდან ოცი წუთის სავალზე რომ მდებარეობდა. ეგ ჩემთვის, თორემ ზოგიერთები მეტხანს მოანდომებდნენ. რა ჯურის ადამიანს აღარ გადავეყარე იქ, თავისი არსებობით წყვდიადს ცხადად რომ აქცევდნენ. ისეთი ნათელი სახეები ჰქონდათ, თითქოს მზეს ჰბაძავენო.

ერთხელ წინანდლის ქუჩაზე აღმოვჩნდი. მარკეტის შორიახლო ხილ-ბოსტნის დახლი გაემართათ, სხვა ფერებს ჟღალი და ჟოლოსფერი რომ სჭარბობდა. მსუქანი კაცი გამყიდველს ედავებოდა, მარკეტში უფრო იაფი რატომ ღირსო. ხმაზე ეტყობოდა, მთლად ჯანზე რომ ვერ იყო და საძაგელი ხასიათი ჰქონდა. გამყიდველმაც შეუტია, რას ჩამაცივდი, შენც იქ იყიდეო, მაგრამ მისდღემში კრიჟანი იყავიო. თურმე კომუნისტების დროს ბლომად ფულს შოულობდა. საკურორტო ზონების უზრუნველყოფა ევალებოდა და ჩეჩქივით ჩაეჯიბა. მაინც ყოველ კაპიკზე ვაჭრობდა და მკვახე ლაპარაკს უხამსობას უხამებდა. რასაც მოიხელთებდა, აღარ დათმობდა. დასეტყვილ ვაშლს იაფად იძენდა. დაბეჟილი რომ იყო, არ ანაღვლებდა. მომჭირნეობის მიმდევარი გახლდათ, ჰაი-ჰარად სიცოცხლეს დროის ფუჭ კარგვად რომ მიიჩნევენ.

— ეშმაკს ისე ომახიანად მოჰყვები, თითქოს ანგელოზს მოუძღოდე! — მიმართა იქვე მდგარმა მათხოვარმა, ხელგაწვდილი გამვლელებს რომ ლოცავდა.

— აბა, დამანახე ეგ შენი ეშმაკი! — ჯიქურ გაეპასუხა ესეც.

— ორიოდე კაპიკი გაიღე და დაგანახებ, თუმცა, ჯანდაბას, დღეს უფასოდ იყოს. აგერ, იქ, სამკერვალოში შეჩლახუნდა, — პირჯვარი გადაიწერა მათხოვარმა, — ძაფებს ბურდავს!



ღიმილით წარმოვიდგინე, ეს მსუქანი კაცი როგორ მიაშურებდა სამკერვალოს და თუ არავინ დახვდებოდა, გამყიდველს როგორ მისდგებოდა, აქ ეშმაკს ხომ არ შემოუვლიაო. მერე კი მათხოვარს ქოქოლას დააყრიდა, ფულს მძალავდიო. კოპებშეკრულმა გადმომხედა, შენი მასხრად ასაგდები ვინ არიო და მარკეტისკენ დაიძრა. გზად ორნი მიესალმნენ, იქვე მდებარე კაფეში რომ შედიოდნენ. იმათ მეც შევყევი, დროს გავიყვან-მეთქი. თან ყავაც არ მაწყენდა. პირველივე მაგიდასთან ჩამოსხდნენ და მაღალ მატერიებზე იწყეს მსჯელობა. ხაზგასმით რასაც არ ამბობდნენ, გულისხმობდნენ.

— ადამიანებს ზერელე განსჯა სჩვევიათ, მოქმედების ზედაპირული ანალიზი. ასჯერ გაზომვა, მაგრამ გაჭრა არამც და არამც. სამყაროზე გარკვეულ წარმოდგენას ვარსკვლავები უქმნით, თუმცა წაკითხვა არ ძალუძთ! — ქადაგებდა ერთი, პირობითად ფილოსოფოსი. მეორე კი შემართული უსმენდა, ერთი სიტყვაც არ უნდა გამომრჩესო. ფილოსოფოსიც, ამგვარი ყურადღებით წაქეზებული, გულგრილ მსჯელობას განაგრძობდა. იგი თითქოს პირქუშ უღელტეხილს აღწერდა, რომლის სიღრმეც გაცნობიერებით განევრცო, მიმტანი კი წვრილი და ცელქი თვალებით შეჰყურებდა, ქარავნის თევზებს რომ აქვთ, ვერცხლისფერ გუნდად რომ გაიელვებენ ხოლმე მღვრიე დინებაში.

— სიზიფეს ზარმაცს ვერ უწოდებ, მისი არსებობა სასჯელია, დამთრგუნველი არსებობა, მრავალი დაბადების გამომხატავი. იგი განუწყვეტლივ უბრუნდება საქმეს, რომელსაც მისთვის ჭაპანწყვეტა მოაქვს! — ფილოსოფოსი სათქმელს ხმამაღლა აყალიბებდა, მიმტანის ცნობისმოყვარეობაც რომ დაეკმაყოფილებინა. ტონი ისეთი მკაცრი ჰქონდა, თითქოს ჩახმახი გადატენაო. როცა ვყოყმანობ, ესეც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მეხმარებაო, აღნიშნავდა. საინტერესოა, ყოყმანში რას გულისხმობდა. რაც აქ შემოვიდა, ენა არ გაუჩერებია, სანამ ყავა არ მოართვეს და არომატით გაჟღენთილ ინტერიერში ფინჯანს არ დასწვდა, ხვრეპას რომ შესდგომოდა.

— ინტელიგენტთა ატანა არ მაქვს! — შესჩივლა მიმტანმა მოლარეს, — თითო ყავას აიღებენ და დაღამებამდე სხედან!

— ეს ჩვენ გასაგონად თქვა? — მხრები აიჩეჩა მეორემ.

— ასეა, რახან გავიგონეთ! — დაამშვიდა ფილოსოფოსმა.

— გვამხილა! — დაასკვნა მეორემ.

— მხილება წყალნარევი ღვინოა, ეკალბარდის დაკლაკნილი ბილიკი, ლანდშაფტის გადასახედთან მიმყვანი. სულისკვეთება, რომელსაც კაეშანი აყალიბებს, მხოლოდ წამიერად გვიპყრობს! — მიმტანის მდგომარეობა ხატოვნად განმარტა ფილოსოფოსმა.

— ზაფხულში საით გეგმავ წასვლას? — თემა გადაიტანა მეორემ.

— დაბაში, სხვაგან სად წავალ!

— მეც! — მხრები აუცახცახდა სიხარულით, — რამდენი ხნით?

— ერთ კვირას დავრჩები! — ამ სიტყვებზე ფილოსოფოსმა ცას ახედა. ამ ჟესტით მიახვედრა, ეს ამინდზე იქნებაო დამოკიდებული.

— მეც! — გაიბადრა მეორე, რამდენი რამ გვქონიაო საერთო. სახეზე იმგვარი ღიმილი აღჰბეჭდოდა, აშკარად გადაწყვეტილი აქვს, ორთავ სოფელსა შინა იხაროსო. მერე კაფეში სტუდენტი შემოეხეტა და მიმტანს ყავა და ტკბილეული შეუკვეთა.

— მომილოცეთ, სესიები დამიმთავრდა! — მხიარულად აცნობა უცნობებს და თითი მაღალი შენობისკენ გაიშვირა, კრუხივით რომ დასჩერებოდა იქაურობას.

— გილოცავ! — ცივი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ფილოსოფოსი, თავის ნათქვამს იმხელა მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, თითქოს კონსტიტუციის რომელიმე მუხლი ყოფილიყოს. სტუდენტმა მეჯლისის მოსაწყობად ფენოვანი ნამცხვარი შეუკვეთა და როგორც კი მოართვეს, დღესასწაული უკეთ რომ შეეგრძნო და სიამტკბილობითა და ზეიმით აღვსილიყო, გულიანად შეუდგა მის სანსვლას. მე ფილოსოფოსს იმიტომ ვუსმენდი, რომ ჭეშმარიტების გაგება მეწადა, მაგრამ რახან ღობე-ყორეს ედებოდა, გული ავიყარე. მერე ვიტრინიდან ქუჩას გავხედე, სადაც მამა-შვილმა ჩაიარა. შვილი ხეიბარი ჩანდა. ისინი ერთხანს მათხოვართან შეჩერდნენ საბაასოდ. გარეთ რომ გამოვედი, მათი ლაპარაკი გავიგონე. მაინც რას გეუბნებიანო, დაჟინებით ეკითხებოდა მათხოვარი.

— რა ცოდვა გქონდა ამისთანა, ასე რომ დაისაჯე!

— ეჰ, კარლო! კარლო! მაგათ უთხარი, მე აქვე მაინც მომეკითხა, ვაი მას, ვისაც იქ მოეკითხება!

— მთავარი ხომ ცხონებაა? — კარლომ სევდიანად გახედა შვილს.

— იქამდე ჯერ შორია! — მხნედ წარმოთქვა მათხოვარმა, — იქამდე ჯერ ქორწილი და დღეობებია! განა ასე არ არის, თომა?!

თომამაც გაიცინა და ისინი მხიარულად შეუყვნენ აღმართს. იქით სასაფლაო ყოფილა, შუაგულში მდებარე ტაძრით.

— რა მოუვიდათ ამ მამა-შვილს? — ვკითხე მათხოვარს.

— მძიმე ავარიაში მოყვნენ. მამას შიგნეულობა დაელეწა, შვილი კი ხეიბარი დარჩა ჰემატომის მიზეზით! — ხელი კლინიკისკენ გაიშვირა მათხოვარმა.

უცებ ის მსუქანი კაცი გამოჩნდა, მარკეტიდან დატვირთული გამოსულიყო.

— კარგად ივაჭრე? — ჰკითხა მათხოვარმა.

— ვერ ჩამოყალიბდი, მაინც როგორ გამოიყურება ეგ შენი ეშმაკი? — სიტყვა ბანზე აუგდო მსუქანმა.

— იმას ჰგავს, ვისაც დაეპატრონება!

— ბევრს შეხვედრიხარ? — სცადა დაცინვა.

— ახლაც ერთ მათგანს შევყურებ, ბრიყვული შეკითხვებით თავი რომ გამაბეზრა!

მსუქანს კრინტიც აღარ დაუძრავს, ისე გაგვშორდა.

— ზოგიერთი ქრონიკულად ბედნიერია, თითქოს არაფერი ადარდებდეს. ხველაც ისეთი აქვს, გეგონება იცინისო, ხოლო როცა იცინის, იფიქრებ, აცემინებსო! — მომიბრუნდა მათხოვარი, — ისე შენც ბედნიერი ჩანხარ, ეტყობა, დღეს მარჯვენა ფეხზე ადექი!

— კარგი სიზმარი ვნახე! — ვიმართლე თავი. მისი გამჭოლი მზერისთვის თავი აგერიდებინა იგივე იქნებოდა, დასამალად შუშას ამოჰფარებოდი.

— სიზმარი ესოდენ სიმხნევეს ვერ აღძრავდა, — მიპასუხა მან და თითქოს იმ წამს გადაეწყვიტა, განაგრძო, — წავიდეთ, ტაძარი გვიხმობს!

მერე ზარის ჟღრიალი გავიგონე, ქადაგებაზე კი დავრწმუნდი, მღვდელი მჭვრეტელი რომ იყო, თითქოს ფილოსოფოსის ლაპარაკი მოესმინა.

— ყური არ უგდოთ რეინკარნაციის გამავრცელებლებს! — დასჭექა მან, — გადარჩენას ერთი სიცოცხლე ყოფნის. მრავალი დაბადება სიზიფეს ამაო შრომა იქნებოდა. ფილმი რომ მორჩება, გამოსვლა ჯობს კინოთეატრიდან, თუნდაც შემდგომ სეანსზე უფასოდ დაგასწრონ. კაცი დაბადებისთვის კვდება და იბადება გვირგვინისთვის, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიაკუთვნებენ დამსახურებით. განა რწმენა საჭიროებს მეცნიერულ წიაღსვლებს? განა ღმერთს გამოთვლებით მიაგნებ? ბიბლია ყველაფერს მოიცავს, მაგრამ მისი ახსნა მხოლოდ წმინდა მამებს ძალუძთ, ჭეშმარიტ განმმარტებლებს. მაცხოვარი სრულ ღმერთობასთან ერთად სრული ადამიანი იყო. გახსოვთ უფალს დედაკაცი რომ შეეხება, ეტყვის, ძალა გავიდაო ჩემგან. განა მას ეს მცირედი რამეს დააკლებდა?..

მღვდელი ისე შთამბეჭდავად ქადაგებდა, შეგრძნება გიჩნდებოდა, საუკეთესოს მივაკვლიეო. ხოლო გალობა, ეს ღვთაებრივი ჰანგები, თითქოს ანგელოზთა ხმა ჩაგესმოდა, ნეტავ არასოდეს დასრულდესო. შინ რომ დავბრუნდი, შემდგომ კვირასაც მივალ-მეთქი, გადავწყვიტე.

3

— მაშ, ჩვენთან ივლი! — რაკი ისევ დამინახა, ასე ჩათვალა ფაშფაშა ქალმა, მრევლის აქტიური წევრი რომ აღმოჩნდა და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა. პასუხად მხრები ავიჩეჩე.

— ეგ ისე არ მოგყვებოდა! — აღნიშნა მათხოვარზე, — სულიერი კაცია, ჩვენ კი საუკეთესო მრევლი გვყავს. აგერ, ემაც გამოჩნდა. ეტყობა, დღეს ადრე დაითხოვეს. უბრალო ვინმე არ გეგონოს, გამგებლის დამლაგებელია. ქუჩაში რომ გნახოს, ჩაიზე შეგიპატიჟებს. თუმცა შაქარი მისდღემში არა აქვს. უშაქრო ჩაი კი აბეზარ სითხეს ჰგავს, მოვალეობისთვის შესმულს! — ფაშფაშა ქალმა ხითხითი ატეხა.

იმ ქალს, ემა რომ უწოდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ლაშქრობიდან ბრუნდებაო. მას ჩემი თავი დიდი პატივით გააცნო, მერე დანარჩენებს მიუბრუნდა. ყოველმა მათგანმა იმგვარი აღფრთოვანებით შემომხედა, თითქოს სუფრაზე განსხვავებული კერძი შემოეტანოთ.

აი, თურმე როგორები იყვნენ ღვთისმოშიში ხალხი. თავი წმინდანების გარემოცვაში მეგონა, სანამ ყოფით თემებზე არ დაილაპარაკეს. მერე კი ცოტა დავმშვიდდი.

— ეს კვირა მსგეფსია? — იკითხა ერთმა.

— ეს ისეთი მორწმუნეა, ხსნილში სახაშეში ეძებენ! — გაიხუმრა მეორემ.

— რა ხმაურია? — ყურები ცქვიტა იმ ერთმა, — დრაგუნთა პოლკმა ჩაიარა?

— გადამფრენმა ფრინველებმა ჩაიქროლეს! — გაეხუმრა ის მეორე, რასაც სხვების სიცილი მოჰყვა. მან დაეჭვებული მზერა ცას მაინც შეავლო, თუმცა ხმები ცხენების ჯირითს მიამსგავსა, ზანზალაკშებმული მარხილების წკარუნსა და ჟღრიალს. თურმე მწყემსებს ელიას მთისკენ ძროხები გაერეკათ, რკინიგზასთან ძოვა-ძოვით რომ ჩამოსულიყვნენ.

— როგორი განსხვავებული ხართ, ალბათ თაღიან შენობაში ცხოვრობთ! — გამოეცნაურა ახალგაზრდა ბიჭი თაფლისფერთვალება გოგოს, ოჯახის შესაქმნელად საცოლეს რომ დაეძებდა.

— გარეუბანში ვცხოვრობ ქირით, ცივ ბინაში, საერთო სამზარეულოთი და სააბაზანოთი! — ამრეზით გაეპასუხა გოგო. მისი თავიდან მოშორება თუ განეზრახა, მაგრამ ამ სიტყვებმა ბიჭს ინტერესი კიდევ უფრო გაუღვივა, უბრალო ვინმე ჩანს და მეტად გამიგებსო.

განმარტოებით დარბაისელი კაცი იდგა. გამჭრიახობა სისხლში ექნებოდა გამჯდარი. მრევლში ახალი მოსული რომ იყო, იმითაც შეატყობდი, სიგარეტს ჯერაც რომ არ გადასჩვეოდა. მოფარებულში ნაფაზებს ისე არტყამდა, თითქოს მნიშვნელოვან საქმეს აღასრულებსო. მერე კი სტოაში მოკრძალებით შევიდა, ადრინდელ ცხოვრების წესით ასი წელი რომ არ გაეკარებოდა. ის მათხოვარიც მრევლის წევრი ყოფილა, ერთთავად ქუჩაში რომ ტრიალებდა და ხელის გაწვდენას წირვის გამო თუ გადაიფიქრებდა. მხოლოდ ერთხელ შეეწყვიტა წვიმის მიზეზით, სველს და გაწეწილს შხეფები პეშვებით რომ ესხმებოდა თავზე, სანამ ველურ წყალმცენარეს არ დაემსგავსა. ფულის მიცემას ვინ ჩიოდა, ბავშვებს არიდებდნენ დაკეცილი ქოლგებით, მაგრამ თვალები მაინც ისეთი გამომშრალი რჩებოდა, დიდი ხანია, არ უტირიაო. კიდევ ერთი კაცი გავიცანი, წირვაზე მუდამ რომ აგვიანებდა. ნოდარი ერქვა. გადასასვლელზე ფეთებით გადარბოდა, თითქოს განგაშის ხმა ეუწყაო. არ აინტერესებდა, შუქნიშანზე გაჩერებულ მოტოციკლეტებს ღმუილი რომ გაჰქონდათ და დაზეთილი კბილანები ცეცხლივით უბრწყინავდათ. სადღაც იქით ეცხოვრა, ლილოს მინდვრებში და ისე ჩქარობდა, გეგონებოდა გადაბუგული სახლიდან გამორბისო, ტანისამოსი კი გზაში აართვაო საფრთხობელას. მგზავრს ჰგავდა, შინ დაბრუნებულს, ტაძრის დანახვაზე რომ შუმინდებოდა. წინასწარმეტყველზე მეტად საკუთარ წინათგრძნობის სჯეროდა და ბურდღუნით ლაპარაკობდა.

რახან სიტყვები არ მესმოდა, როცა იცინოდა, ვიცინოდი, როცა შუბლს კრავდა, ვიჭმუხნებოდი. ამიტომაც ადვილად შევეწყეთ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თომას და კარლოს დავუახლოვდი. კიდევ მარიამს, სილამაზის ზეიმს, მრავალი სიკეთით რომ დაგვამახსოვრა თავი. „ზღაპარი დამთავრდა“ — ეწერა საფლავზე, სადაც ისინი იდგნენ ხოლმე. მიკროფონის წყალობით ხმა იქაც მშვენივრად ისმოდა.

ერთ დღესაც ღვინო და სანოვაგე შევიძინეთ და ერთმანეთის ახლო გასაცნობად ტრაპეზი მოვაწყვეთ. იქვე, საფლავებში დავსხედით, მყუდრო ადგილას. ბევრი საღღეგრძელო და მოსაგონარი შევსვით. ზოგიერთები ადრე წავიდნენ, მე და ნოდარი კი გვიანობამდე შევრჩით. საერთაშორისო ამბებზე მიმომხილველებივით ვლაპარაკობდით და ისე დაგვაღამდა, ვერც კი შევნიშნეთ. როცა ერთმანეთს ვეღარც ვხედავდით, საათს დიდხანს დააჩერდა და წასვლის დროაო, დასჭექა. სასაფლაოს ელვის სისწრაფით გავეცალეთ. კლინიკის უკაცური ტერიტორია გადავკვეთეთ და ქუჩას მივადექით. ჩვენ სასახელოდ უნდა ითქვას, პოლიტიკაზე მსჯელობა არ შეგვიწყვეტია. არა მგონია, რუსეთმა დათმოსო, გაჰყვიროდა ნოდარი, იქნებ ამერიკამ აიძულოსო, თან ჩინეთიც არააო ხელწამოსაკრავი, ძალიან ინდომებდა, ჩემთვის რეალური სურათი რომ წარმოედგინა და სწორი შთაბეჭდილება შემქმნოდა. ამიტომაც არ მსურდა, რომელიმე სიტყვა გამომრჩენოდა. როგორმე ხომ უნდა გავრკვეულიყავი ამ წყეულ ლაბირინთში, მსოფლიო მოუსვენრობის მიზეზი რომ გამხდარიყო. ნოდარი კი სიტყვებს ყლაპავდა, ქოშინიც ზედ ერთოდა, რადგან მეტროსკენ გავრბოდით თავქუდმოგლეჯილნი, დაკეტვამდე რომ მიგვესწრო და ღია ცის ქვეშ არ დავრჩენილიყავით.

4

დასვენების დღეს წინანდლის ქუჩა დაწვრილებით შემოვიარე. მტკნარი უბანი იყო, ბორდიურთან განლაგებული ურნებითა და მწვანე გაზონებით. ზამთრის პერიოდში ეს მომცრო სახლები სამარილეებს დაემგვანებოდა, თოვლი კი დაბნეულ მარილს, მეზოვეები ვეება ნიჩბებით რომ მიადგებოდნენ და მკაცრი განრიგით გახვეტდნენ. ზამთრის ბინდბუნდიც ამ ნაგებობათა მსგავსი იქნებოდა, კირით შებათქაშებული კედლებით რომ ემიჯნებოდა ქუჩას. შუშაბანდის თოკებზე გაფენილი სარეცხიც უმეტესად გრძელი ზეწრებითა და თეთრეულით იყო წარმოდგენილი და ჰაერში ღრუბლის ქულებივით ირწეოდა. კარგ ამინდში შუშაბანდები მზის შუქს ფერად სპექტრად შლიდა და მოციმციმე სხივებად ფანტავდა. გამჭვირვალე საგნები ისედაც ცოცხლის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ახლა კი საერთოდ სარკესავით კრიალებდა.

საუზმის სურნელით მიხვდებოდი, წინა დღეს ვის რამდენი ეშოვა. ხორცის ფული ვინც ვერ გაახერხა, მწვანილით შეზავებულ წვნიანს შეექცეოდა. თუმცა ამ მიზეზით არავინ ჩიოდა. დღეს რომ დაეწუნათ, შესაძლოა ხვალ ოცნებადაც ჰქცეოდათ. ცხოვრებას რას გაუგებდი, რომლის ორომტრიალსაც ბოლო არ უჩანდა. ზოგიერთი დილიდან ნაგვის ურნებს ჩხრეკდა ზერელედ, თითქოს ამ ქვეყანაზე ყურით მოათრიესო. ზოგიერთს ცოტაოდენი უმართლებდა. მაგალითად, ვინც საჭრეთელს ხმარობდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა კარგად თუ ცუდად, სამუშაოს ყოველთვის იშოვიდა.

იქნებ ჯობდა, ბინა მეც აქეთ მექირავა. ეკლესიასთანაც ახლო ვიქნებოდი. ამიტომაც გადავწყვიტე, ქირის ფასი გამეკითხა და რამდენიმე ეზო შემოვიარე გასარკვევად. ყოველ უცხო ზღურბლს თავისი მიზიდულობა გააჩნდა, მე კი ინტერესი მქონდა, გამეგო, ვინ რა გზით იკვლევდა ჭეშმარიტებას. მათთან საუბარი მძაფრ შეგრძნებებს აღძრავდა, თუმცა ყოველთვის ამაოების შეგრძნება მიჩნდებოდა. უმეტესობა ენად იყო გატლეკილი, მაგრამ ბუნებისგან ნაბოძებ მჭევრმეტყველების ნიჭს კვეხნისთვის იყენებდნენ. ამ საქმეში მარჯვედაც იქცეოდნენ და ენაჭარტალებს ტოლს არ უდებდნენ, მაგრამ მათგან თავს შორს ვიჭერდი. ადამიანების ცნობა ადვილად შემეძლო. მაგალითად, მჩხიბავს ჯადოქრობა სახეზე ეტყობოდა, მეჩხერი წვერითაც რომ ეარა. სალაპარაკოდ არც გავუჩერდებოდი, თუნდაც ჩონჩხს ჰგვანებოდა და მისი ძვალ-ტყავის შემხედველს მეფიქრა, ასკეტურად ცხოვრობსო. ტაძარში სიარულს კი უფრო მოვუხშირე. მიხაროდა იმ მამა-შვილს რომ ვხედავდი და მარიამს, გულგრილობა რომ არ სჩვეოდა. ერთმანეთს დიდ პატივს ვცემდით და დიდ მეგობრებადაც ვიქეცით.

— წირვის მერე რესტორანში გპატიჟებ! — ეტყოდა თომას მარიამი.

ისიც მადლიერებით ხითხითებდა. მისი პატივისცემა თუ გინდოდა, სუფრა უნდა გაგეშალა.

— ორი ადამიანის წამოყვანის უფლება გაქვს! — ბრძანების კილოთი განაგრძობდა მარიამი, — აირჩიე!

თომაც გულიანად იცინოდა. განა ვის აირჩევდა, თუ არა მამამისს და მე. მარიამს კი თითქოს უკვირდა, ისევ ჩვენ რომ დაგვასახელა. თომა კი სიცილს უმატებდა. კეთილი იყო მარიამი. ქმარი შეძლებული ჰყავდა და არასოდეს იშურებდა ხელის გამართვას.

მაგრამ ერთხელაც ამბავი მოიტანეს, მარიამს ქმარი დაეღუპაო. აგარაკზე კრძალავდნენ, აქედან შორს. მისამართი სატრაპეზოსთან გამოაკრეს, მაგრამ მრევლიდან ვერავინ მიდიოდა. მე და კარლომ ნახშირი, საკმეველი და სანთლები შევიძინეთ და მატარებელს გავყევით. პლატფორმაზე როცა ჩამოვედით, გზა ფეხით გავაგრძელეთ. ნაკვეთები ნაირ-ნაირი მესრით შემოღობათ — დაბლებით, მაღლებით, მავთულებით, ვისაც როგორ მოეხერხებინა. სოფლის ბოლოში, ბილიკს გაჰყევითო, დაგვარიგეს. ერთგან ცემენტის ცარიელი ტომრები ეყარა. ზედ ისე გადავიარეთ, ვერც შევამჩნიეთ. მტვერი თეთრად ავარდა და მორკალულ ხეივანს ხველებით შევუყევით. მალე მიტოვებული აგარაკები გამოჩნდა. დახვეწილი ნამთები მეტყველებდნენ, აქაურობა ოდესღაც დიდგვაროვნებს რომ ეკუთვნოდათ. ბეტონის შვერილი მდინარის მკვეთრ მოსახვევთან სანახებს მოქცევისგან იცავდა. ნოტიო წიაღმა სოფელი გამახსენა და ჟრუანტელი მომგვარა. იქნებ არც უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ცხოვრება იქ უფრო გამიჭირდებოდა. ძაღლყურძენას ქაცვისგან ვერ ვარჩევდი, თუმცა ვიცოდი, ერთ-ერთი საკვებად ვარგისი რომ იყო. მერე მდინარის მორევს მივადექით, რომელსაც ვარდნილი ქმნიდა. წინააღმდეგობა იქმნებოდა თევზებისთვის, აღმა სვლას რომ განაგრძობდნენ. მებადურებს იმდენი ამოჰქონდათ, ძლივს ეზიდებოდნენ. ადგილი, რომელიც სანახავად შთამბეჭდავი იყო, თევზებისთვის ჯოჯოხეთად იქცა. ბილიკის გასწვრივ აქა-იქ სახლები მერეც გვხვდებოდა, ალბათ ოდესღაც გემოვნებით ნაგები, მაგრამ ახლა მიტოვებული და გაპარტახებული. ირგვლივ მოლი ხასხასებდა. სიცარიელეზე გადაჭიმული მფრინავი ხალიჩა გეგონებოდა.

— მეფეს რომ დაამხობენ, სასახლეც ნანგრევებად იქცევა? — ვთქვი რატომღაც.

— მდაბიოები დაეპატრონებიან. სხვა მოდგმაა. რისი აშენებაც არ ძალუძთ, ისაკუთრებენ!

— კეთილმოწყობა ქალაქელებს უფრო გჩვევიათ!

— არაფერიც არ გვჩვევია. ცოდნა იმას მეტი აქვს, ვინც მიწაზე შრომობს. ჩვენ კი ცაში გამოვკიდულვართ, კორპუსების სხვადასხვა სართულებზე, მსგავსად საზვერეებისა. შეიძლება ითქვას, ჰაერში ვკვდებით, მტანჯველი კითხვები რომ ავირიდოთ...

ბილიკი რომ ჩათავდა, გაბმული ყეფა გავიგონეთ. მერე მარიამის სახლს მივადექით და პარმაღთან ერთხანს ბოლთას ვცემდით საყელოაჩაჩულნი. მერე ვიღაცები გამოჩნდნენ, სამძიმარზე მისულები. მარმარილოს კიბეები აიარეს და ჩვენც მივყევით. ზღურბლზე რომ გადავაბიჯეთ, ვრცელ დერეფანში აღმოვჩნდით. მარიამის ოჯახის მოწინავეობაზე ძვირფასი ლარნაკები და მოხატული საყვავილეებიც მეტყველებდა, თვითონ ყვავილებზე რომ არაფერი გეთქვა. რუხი გარდერობიც, ზედ მიმაგრებული ვერცხლისფერი შანდლებით, სიმყიფითა და მდგრადობით გამოირჩეოდა. ძველი და შთამბეჭდავი ავეჯი იმ ეპოქაში დამზადებულს ჰგავდა, სიმტკიცეს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ. ხარისხი მერე დათმეს, როცა მასიურ ხალტურაზე გადავიდნენ, ადვილად ფუჭებადი საგნების დამზადებით უმუშევრობა რომ შეემცირებინათ.

თავშლით მობურულ მარიამს შუბლთან გამოჩრილი კულულები ძალუმ შვენოდა. მის გვერდით ქერათმიანი ქალი იდგა, გეგონება ძნები შეუკრავსო. დაჭიმულ კანზე ჭორფლი ცეცხლის ნაკვალევივით აჩნდა. ნაკვთებიდან მხოლოდ თვალები ეკუთვნოდა აჯანყებულთა ფენას, ხოლო სახე სიმშვიდეს მოეცვა, თვალებს რომ ვერაფერს უხერხებდა.

— ჩემი დაა! — გაგვაცნო მარიამმა, მხრები რომ უთრთოდა და ოდნავ გაპობილი ტუჩებით გაღიმებას ცდილობდა. მან ხელსახოცი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა ხელი სათუთად გამოგვიწოდა. მერე მარიამი მყუდრო ოთახში შეგვიძღვა.

— ღამეს აქ გაათევთ!

— რა ღამაზი ადგილია! — თქვა კარლომ.

— ჩემი ქმარი აქაურობასთან კავშირს მუდამ ინარჩუნებდა. აქ რჩებოდა, აუცილებელი საქმე თუ არ ჰქონდა ქალაქში. ხის მინიატიურულ ნაკეთობებს ჩორკნიდა და მეტწილად ამით იყო დაკავებული. წელიწადში ერთხელ გალერეებში საავტორო გამოფენებს აწყობდა. თუმცა ფინანსურად ამაზე არ ვიყავით დამოკიდებულნი. სიმდიდრე მემკვიდრეობით ერგო. თვითონ არაფერი შეუმატებია...

მარიამმა ფანჯარა გამოაღო და ხელი ჩამავალი მზისკენ გაიშვირა:

— იქ დედათა მონასტერია!

სიბნელეს ჩავაშტერდით, მაგრამ არაფერი ჩანდა. დილით სისხამი ისე უდრტვინველად ჩამოდგა, თითქოს ჭირისუფლებით სავსე მატარებელი ყოფილიყოს. სასაფლაოს ფერდობს ნისლი მოსდებოდა, მოდუნებულ სიფხიზლეს რომ მოგაგონებდა, უდიერ თვლემას სადარაჯოზე. მერე ქარმა გაფანტა და ტრიალ მინდვრებზე ფთილებად მიმოფინა. უკან რომ მოვბრუნდით, ეზოში გაშლილი სუფრა დაგვხვდა. ქელეხის დასასრულს მარიამმა გვიხმო და ფარდულში შეგვიძღვა, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვსო.

— ჩემი მეუღლის ტანსაცმელი გადავარჩიე. ზოგი რამ არც სცმია, მრევლს უთუოდ გამოადგება!

— წავიღებთ! — თქვა კარლომ.

— თქვენთვისაც დაიტოვეთ, რაც მოგეწონოთ!

— კეთილი! — აღვუთქვით.

ფუთებში ქალის ფერადი შესამოსელიც ჩააწყო, ეტყობა ცხოვრების გაგრძელებას შავებით აპირებდა. მერე დარჩენა შემოგვთავაზა, მაგრამ ვიუარეთ.

— მაშინ უნდა იჩქაროთ, ღამის მატარებელს რომ მიუსწროთ! — თქვა მარიამის დამ.

— აქ ისეთი სიბნელე იცის, თითს თვალთან ვერ მიიტან! — ფანარი გამოგვიტანა მარიამმა, — დაიტოვეთ, მე კიდევ მაქვს!

მინდოდა, მისთვის ათასი სიკეთე მესურვა, მაგრამ ეს სიტყვები ძვირფასი ტილოს იაფფასიან ჩარჩოს დაემსგავსებოდა. ფუთები წამოვიღეთ, ფანრით გზას ვინათებდით და ჭოტის ხმა ჩაგვესმოდა. უფრო მეტად ვფიქრობდით, ვიდრე ვლაპარაკობდით. სიცოცხლე სიკვდილის მოლოდინი სულაც არ იყო, რაღაც უფრო მნიშვნელოვნის მოსწრებას გულისხმობდა. ბუების ჟამმა ჩამოჰკრა და ვარსკვლავები ისე აენთო, გეგონებოდა უკიდეგანო სივრცეზე საიდუმლო რუკა გაშალესო. ცა ციმციმებდა, თითქოს დამფრთხალს გული უფანცქალებსო. ანაბეჭდებად ქცეული ნაფეხურები რკინიგზისკენ მიმავალი გზის დადგენას გვიიოლებდა. ეს მხარე თითქოს ადრე ნანახი მქონდა, ან სულაც დამსიზმრებოდა. ზოგი სიზმარი ხომ ისეთია, იქ ჩასახლება მოგინდება. დაფხავებულ პლატფორმაზე ღამის მატარებელს მივუსწარით და უკანა ვაგონში ავბობღდით. ორი-სამი მგზავრი თუ იჯდა, ეჭვით რომ გადმოხედეს ჩვენ ფუთებს. მზერა მოვარიდეთ და ფერდობს ჩავაშტერდით, ნახშირის ზვინივით რომ დაგვმხობოდა, იქნებ მარიამის სახლი გამოჩენილიყო. ჩამტვრეული მინიდან სიცივე შემოდიოდა. ისედაც პირქუში მზერა პირქარში სულმთლად მოგვეღუშა, ზურგს უკან ყურებით კი კისერი მოგვეღრიცა...

დასასრული მე-6 გვერდზე



ქალური ბედნიერება

არ იმღერება ჩემი ლექსი,
ვერ იმღერება...
უმღერებელი პოეზიის მეპატრონე ვარ,
ნაღველში ამოვლებული კალმით ვწერ და
სევდაზე ვმშობიაროობ...
კოჭებამდე კაბას კი არა,
მოკლე კაბებს ვიხდენ და,
ყველაფრის მიუხედავად,
მაინც იმაზე ბედნიერი ვარ,
ვიდრე სხვა,
რადგანაც:
ვუყვარდი...
ქალური ბედნიერების საიდუმლოც ამოხსნილია:
სხვა რა გვინდა განა ქალებს
იმის მეტი,
რომ ვუყვარდეთ...
კოჭებამდე კაბა იმან ჩაიცვას,
ვისაც რაღაც აქვს დასამალი,
მე რა დავმალო:
საკუთარ ლექსებში სულს ვაშიშვლებ და
სულაც არ მრცხვენია.
უმღერებელი ლექსები მაქვს,
სევდისფერები...
ვწერ და ყოველ ჯერზე
სამშობიარო ტკივილებს ისე რეალურად განვიცდი,
თითქოს ვიცოდე, როგორია...
ერთი განსხვავებაა მხოლოდ:
ჭიპლარს არ ვიჭრი
და ყველა სიტყვასთან,
რაც ოდესმე დამიწერია,
ისევ ჭიპლარით ვარ დაკავშირებული...
ჩემი ტკივილების საწყისიც ესაა
და მიზეზიც —
ჭიპლარს ვერ ვიჭრი და
ჩემს ლექსებს გულის სისხლით ვასაზრდოებ მუდამ...
რატომ ვატარო კოჭებამდე კაბები?
მოკლეა წუთისოფელი და
კაბის სიგრძე ვერ დააგრძელებს,
მოკლეა წუთისოფელი და ნაღვლიანიც,
უდანაშაულოდ დასჯილი ბავშვივით ნაღვლიანი...
მე რა დაგიმალო ბედისწერას —
ყოველ ლექსში ბოლომდე ვაშიშვლებ სულს და
ვბედნიერდები,
რადგან:
ვუყვარდი...

ქარმა წაიღოს

წაიღოს ქარმა —
ქვიშასავით თვალებში შემოყრილი ყველა
ტკივილი...
წაიღოს —
ყალბი შემოხედვები,
ღიმილები,
ყალბი სიტყვები —
ბარხანებივით რომ მოედნენ
სულს...
ტყვიისფერია ჩემი სევდა —
მძიმეა, როგორც გამდნარი ტყვია...
მძიმეა —
თან უფრო გამიყოლებს...
ტყვიისფერია და
ჩამეკირა თვალებში...
ახლა ასე დავდივარ —
სევდაჩაკირული მზერით და
ქარებს ვაბრალებ ყველა ცოდვას,
ყველა შეცდომას...
არცკი მებრალება ქარი და ვამბობ:
„ქარის მოტანილს ქარი წაიღებს,
ქარის მოტანილს ქარი წაიღებს...“
ქარი კი რაა, ქრის...
ქრის ქარი და ბარხანებივით
მიმატებს სევდას...
ქარების ქორალი ისმის ყველგან...
ქარს ვუსმენ
და საკუთარი თავიდან გაღწევას ვცდილობ...
ქარმა თან წაიყოლა,
რაც მოიტანა აქამდე...
და ისევ ქარს დავაბრალე და
ისევ ქარს ავკიდე ცოდვად
ყველა დარდი და
ყველა სევდა,
ტკივილებიც კი...
ბარხანებივით მოედო სულს
ტყვიისფერი სევდის სიმძიმე...

დაუწერელი ლექსის სევდა

არ იწერება ახდენილ ოცნებებზე ლექსები,
არც გამართლებულ სიყვარულზე...
ვერ იწერება.
დარდი ისე უნდა მოგაწვეს გულთან თუ გულზე,
სიტყვებად ამოხეთქოს და
თითები აგიტკივოს და
ვერაფერი მოახერხო —
წერის გარდა.
გამართლებული სიყვარული ვერ გაწერინებს,
ვერ ამოხეთქავს დარდად,
ტკივილად,
ვერ გამოაყოლებს გულს ყოველ სიტყვას.
მე რომ თვალები ჩავიბრუნე,
მე რომ თითები წავითალე,
მე რომ სიტყვებით დავორსულდი,
ეს იმიტომ, რომ
სიყვარული გარდამეცვალა.
დღე იყო ჩემი სიყვარული,
მზე იყო ჩემი სიყვარული,
ჰაერიც იყო და კედელიც...
დავდივარ ამდენი წელია და
ისევ კედელს დავეძებ,
რომ მივეყრდნო;
ჰაერს დავეძებ — რომ ვისუნთქო,
მზეს — რომ გავთბე,
დღეს — რომ იმედი მქონდეს...
დავდივარ და ამდენ სიარულსა და ძებნაში
საკუთარი თავი ვიპოვე:
დაღლილი,
მაგრამ ნამდვილი...
ასე სცოდნია სიყვარულს —
ბოლოს მაინც გაპოვნინებს საკუთარ თავს...
აღარ ვიბრუნებ თვალებს შიგნით,
მხოლოდ სიტყვებზე ვმშობიაროობ და
წამახული თითებით ვწერ,
რომ:
არ იწერება ახდენილ ოცნებებზე ლექსები,
არც გამართლებულ სიყვარულზე იწერება...
რომ მხოლოდ ტკივილი გაწერინებს და
სიტყვებს დარდად გულსაც გამოაყოლებ...

წითელი პარასკევის პიეტა

ყველა შვილმკვდარი დედის ნაცვლად
მე ვტირი ახლა —
დღეა ისეთი.
შენც დედა ხარ და გამიგებ, მჯერა:
მე გაუჩენელ შვილებს დავტირი,
შენ — უკვე გაზრდილს და
შენ თვალწინ დავაჟკაცებულს...
სხვანაირია დედის ცრემლი,
და უჩვეულო —
ვერშემდგარი დედის ცრემლები...
მძიმეა ცრემლი,
იოლად რომ ვერ წყდება თვალებს —
ისეთი მძიმე:
საშოდან რომ გამოიდევნა,
ჩემი შვილები სანაგვეზე გადააგდეს და უფრო მტკივა...
არც სახელი აქვთ —
არც ის ვიცი,
საით არიან, ვისთან, ან როგორ...
გაუჩენელ შვილებს დავტირი
და მაინც შენი ტკივილი მკლავს ჩემსაზე მეტად —
უვლიდი, ზრდიდი, დაგივაჟკაცდა —
ძნელია, ვხვდები...
ღმერთის დედაო,
რა მძიმეა შენი ცრემლები...
პეშვებს შევუშვერ, რომ შევაგროვო
და მარცვალ-მარცვალ შევურიო საკუთარ ცრემლებს...
ამ დღეს ქალი ხარ,
უფრო ზუსტად —
ყველაზე დედა...
შვილი მოგიკლეს,
შვილს დასტირი,
დავაჟკაცებულს...
მე გაუჩენელ შვილებს ვტირი —
ვიტიროთ ერთად —
დედებს ტირილი გვეპატიება —
შენ — ყველა დედაზე დიდი დედა,
მე — შეუმდგარი...
შვილო ჩემო და ძეო ჩემო და ღმერთო ჩემო,
ჩემს უსახელო შვილებს გავედრებ,
სანაგვეზე გადაგდებულებს,
ნუ მიმიტოვებ...
გაწითლდა მიწა — ქრისტეს სისხლის დაეცა წვეთი...
უფლის დედაო, შენი ცრემლი იქცა მიწისძვრად...
ჩემი ცრემლები მძიმეა და ვერ წყდება თვალებს —
დღეს მეც ვიტირებ —
შენთან ერთად დღეს მეც ვიტირებ —
დღეა ისეთი.

მარტივად რთული

სამშობლოვ, ჩემო —
რა რთულია და რა მარტივად სათქმელი თითქოს...
რა იოლად შეგაქცევდი ზურგს,
ასე ძალიან რომ არ მიყვარდე.
ცრემლიც გამიშრა...
ქარდაკრულია ჩემი ყვრიმალები...
შედედდა სისხლიც...
რა მარტივი ხარ, როცა გიხსენებ
და როგორ მიჭირს შენი სახელის წარმოთქმა,
რადგან ლოცვა ხარ,
უმთავრესი სიტყვა ხარ რადგან...
სამშობლოვ, ჩემო...
ასე პატარას ურიცხვი მტერი გყოლია ახლაც —
შიგნით თუ გარეთ...
გული რომ გტკივა, ხომ ვიცი
და
როგორ გიშველო...
მძიმე ხარ, მძიმე და თან მსუბუქი:
ბაბუაწვერას ყვავილებით...
გტკივა? ხომ? გული?
მეც, თან ძალიან...
ღალატსაც სუნი ჰქონია თურმე:
დამწვარი კანის...
ერთგულებას კი მხოლოდ ფერი აქვს:
ცად აზიდული მაგ მთების ფერი...
ხელში აყვანა რომ შემეძლოს,
აღარასოდეს ჩამოგიყვანდი,
მუხლიც რომ არ გადაგეყვლიფა...
ახლა რა გიყო???
მე შემიძლია მხოლოდ გითხრა:
რომ შენ: ვინც საკუთარ წიაღში შობ გენიოსებს,
რომ მერე შენვე მოუღო ბოლო...
შენ,
ვინც გალაკტიონს აეტუზე ფანჯრის რაფასთან
მხოლოდ იმიტომ,
რომ ხელი გეკრა...
სამშობლოვ, ჩემო,
ერთდროულად: მსუბუქო, მძიმეც —
სად შეგიფარო?
ეს მერამდენედ:
უფლის დედულეთს ყვავ-ყორნები შემოსევია...
ცამდე აწვდილი მწვერვალებიდან,
შენი კამკამა სიფერადიდან,
მიწას შეზრდილი ფესვებიდან წინაპრებს ვიხმობ,
სპირიტიზმის სეანსს ვატარებ...

და (გევედრები, არ გაიკვირვო)
მეღიმება...
სულ ზევითა ხარ,
თითის წვერებზე აწეული,
ლორთქო ბალახის შიშითა და თან სიხარულით...
სამშობლოვ, ჩემო,
ასე მსუბუქად სატარებელო
ჩემო ჯვარო და ჩემო სამსჭვალო!!!

ვალი

მე რა უნდა ვქნა,
საჩემსულო გაზაფხულები გამოვფინე,
სულაც არ ვნაღვლობ:
რა თვალებით შემომხედავენ...
შიშველი სულით დავაბიჯებ დედამიწაზე,
დედიშობილა თვალები მაქვს — სულისმიერი...
მე რა უნდა ვქნა?
მე — ვისთვისაც მიწა მძიმეა,
მიზიდულობის ძალა კი არა,
ფეხებზე გამობმული
უხილავი თოკები მაჩერებს —
მოვალეობის თოკები...
მე ვალი მადევს —
და დარჩენილი სიცოცხლე მხოლოდ
ეს ვალი უნდა ვიხადო,
ვიცი,
მე ვალი მადევს —
ჩემი დაღლილი სამშობლო მიწის,
იმ ღმერთის ვალი,
მეც რომ ჯვარს ვაცვი, სხვებთან ერთად,
ჯვარს ვაცმევ დღესაც...
და როცა ვხედავ უვალოებს,
ვინც ვერ გრძნობს ამ ვალს,
ვინც არცკი იცის, რომ ეს ვალია,
თავისუფლება იმის ცოდნაა,
რომ ვარ მოვალე — დედაჩემის თვალებისაც კი!
მძიმეა მიწა...
გამოვიბი მოვალეობის უჩინარი თოკები ფეხზე,
რომ ნაბიჯების გადადგმა შევძლო...
მე რა უნდა ვქნა?
არ ვიმჩნევ თოკებს,
არც ვალს ვიმჩნევ,
მე მაქვს — მე ვიხდი
და ყოველ ჯერზე,
უვალოებს როცა შევხვდები,
მე მახსენდება ნაჭდევები იესოს ხელზე...
რა შემიძლია,
იმის გარდა, ვიხადო ვალი!

ორსული
პოეტი ქალის დღიურებიდან

საიდან უნდა ამომზრდოდა ამდენი დარდი...
რა ქალი მე ვარ,
შვილი კი არა,
ცრემლიანი ვშობე ლექსები —
ყველა ცხრა თვეში
ვშვი ტკივილებით,
წყლებიც დავღვარე,
ზოგი ფიზიოლოგიურად ვშვი,
ზოგიც — საკეისრო კვეთით,
განსხვავება — არავითარი.
მაინც საიდან უნდა ამომზრდოდა ამდენი დარდი...
რა ქალი მე ვარ,
ლექსებს ვშობ და მემილიონედ ვფეხმძიმდები,
თან როგორ ურცხვად,
თავპატიჟის, გაკეკლუცების გარეშეც კი...
რა მორიდება...
მორიდება რა სათქმელია...
პარადოქსია:
მუცელი სულაც არ მებერება,
სამაგიეროდ:
დიდდება სული,
ვეება ხდება,
ვეღარ იტევს სრულქმნილ ემბრიონს,
სადაცაა, რომ გამოხეთქავს ყველა კედელს
და დაძაბულობით დამსკდარ კანიდან
გადმოიღვრება:
რითმად,
სტრიქონად,
მუსიკად,
ბგერად,
ვერლიბრებად და ვერბლანებად
მე რა ქალი ვარ,
შვილების ნაცვლად ლექსებს ვშობ და
ყველა ცხრა თვეში
ისევ ისე ორსულადა ვარ,
ლექსით ორსულად.
ამაზე მძიმე რა უნდა იყოს —
სული რომ გექცეს საშვილოსნოდ
და სიტყვა შვილად
თითებს გამოჰყვა, ჭიპლარივით,
ბგერები უცხო,
მე ლექსებს ვბადებ
შვილების ნაცვლად...

ჩემი სულის არტეფაქტები

თუ ვინმე მკითხავს, საიდან მოვდივარ,
ვეტყვი, რომ ზეზვას სამშობლოდან.
თუ ვინმე მკითხავს, რამდენი წლისა ვარ,
ვუპასუხებ, რომ
თანატოლი ვარ ჩემი სულის არტეფაქტების.
კოლხური ოქროს ფერია ჩემი მზე
და მეც მზის შვილი ვარ,
მზის მსახური,
სამზეოდან ამომზეურდნენ ჩემი ანი და ბანი,
ჩემი ასომთავრული და ნუსხური.
თუ ვინმე მკითხავს, რომელი ქვეყნიდან ვარ,
გავუმხელ,
რომ ქურუმთა სამშობლოში გავჩნდი და
წარმართივით ამიტომაც ვმსახურებ მზეს.
ჩემს ტერფებს ახსოვთ
კოლხური მიწის ნესტი და სისოვლე,
ჩემს თვალებს ახსოვთ სმარაგდისფერი კოლხური ცა...
ჩემს ძარღვებში სისხლი კი არა,
გამდნარი მზე მოედინება...
თუ ვინმე მკითხავს, რა ასაკისა ვარ,
ვუპასუხებ, რომ იმ არტეფაქტების თანატოლი ვარ,
ჩემს ანბანში რომ გაბნეულა...
მე ვინახავ უდიდეს საიდუმლოს —
კაცობრიობის გაჩენიდან ვიდრე აქამდე
და ქრისტემდე ქრისტიანი ვარ,
რადგან მზეს — მარადიულ სინათლეს ვცემ თაყვანს.
ჩემი ფესვები უფრო ღრმაა, ვიდრე ჩანს
და ჩემი მახსოვრობაც უფრო შორეული,
ვიდრე შეიძლება, ვინმეს ეგონოს...
მე ქურუმი ვარ, მზის მსახური,
ზეზვას და მზიას სამშობლოდან.

ნაბიჯები

გადი-გამოდიან ბეწვის ხიდზე,
გადი-გამოდიან — ადამიანები...
მე სულ მეშინია: ვაითუ, გაწყდეს,
ვაითუ, ვიღაცას ვერ გაუძლოს...
ჩემი თავისთვის არა,
იმის გამო მეშინია,
ვისაც შეიძლება, ჩაუტყდეს —
ბეწვისაა მაინც...
ისინი კი —
გადი-გამოდიან,
თავჩაქინდრულები,
ნელა,
სწრაფად,
დინჯად,
თავაწეულებიც —
და მე ნაბიჯებზე ვცნობ,
ყველაზე მძიმედ და დარდიანად
უშვილო ქალები დავაბიჯებთ,
ყველაზე ფრთხილი ნაბიჯები კი
ორსულებსა და მოხუცებს აქვთ...
ყველა ფეხის გადადგმაზე იების კვალს ვტოვებ,
მელნისფერ კვალს...
მძიმე ფერია მელნისფერი და სევდიანიც —
დაუწერელი ლექსების სევდა ახლავს...
გადი-გამოდიან ბეწვის ხიდზე —
ადამიანები...
მე როგორ დავდივარ?
უფრო ვფრენ —
რადგან ლექსები ვაქციე შვილებად და
ჩემი ბედისწერის ხიდი —
ბეწვის კი არა,
სიტყვებისაა —
ნაირფერი სიტყვების...
პოეტებს ნაბიჯებიც პოეტური გვაქვს —
მიწიდან მაღლა და ცასთან ახლოს,
თან — სევდიანიც...

ლურჯი სისხლი

რა უნდა ქნას ქალმა, როცა მარტოა?
არც ელოდოს, არც ეძებოს, არც იტიროს...
ოცნებაც არაა საჭირო.
იჯდეს და წეროს,
წეროს ყველაფერზე,
რასაც ხედავს და რაც ესმის,
იმაზეც კი, რასაც ვერ ხედავს,
მაგრამ გრძნობს,
ქალებს ხომ მესამე თვალი აქვთ და
სიტყვა: ალღოც მხოლოდ მათი გამოგონილია...
სისუსტე?
რატომღაც მგონია, რომ
ეს საკუთარი სულიერი ძლიერების
შენიღბვის მცდელობაა მხოლოდ,
რომელიც, თანდაყოლილი არტისტიზმის წყალობით,
მეტისმეტად კარგად გამოუდით.
ზის ქალი და წერს —
ესე იგი მარტოა, მაგრამ არა მარტოსული...
ვზივარ და ვწერ —
ქალი ვარ, უფრო სწორად, მარტოქალი,
არა მარტოსული, არა ეული...
კენტად როგორ ვივლი,
საკუთარი თავი ყველგან დამყვება —
და იმდენია ეს საკუთარი თავი,
სათვალავი მერევა ხოლმე —
ხან სუსტია, ხან — ძლიერი,
ხან — მცინარა, ხან — მტირალა,
ხან ღრუბლებში დაფრენს და
ხან მიღოღავს მიწაზე...
საწერიც არ მელევა,
ქალს საწერს რა გამოულევს —
კალამიც არაა საჭირო,
წამახული თითებითაც შეუძლია,
ამოკაწროს სიტყვები:
სულზე, კედელზე, ხეზე, კლდეზეც კი,
ფურცელზე — თავისთავად...
ვზივარ და ვწერ:
იისფერია ჩემი თითები —
იებად მექცნენ და იმიტომ,
იებით ვწერ — სადარდოს, საამაყოს,
სახსნილოს, სამარხვოსაც —
სინაზეშეპარული მკაცრი სტრიქონებით
ანდაც პირიქით —
მარტოა მარტოქალი და მკაცრია ამიტომ;
ქალია მარტოქალი და ნაზიცაა...
მარტოქალი ვარ და ვწერ —
დედა არ ვარ და დედობას ვიჩემებ —
ცოლი არ ვარ და უქმრობას შევეჩვიე,
ოცნებას — ვერა...
გზაა გრძელი და ვიწრო —
ხან ფრენით გავდივარ, ხან — ცეკვით,
ვხოხავ-მეთქი — ხანდახანაც...
რას ვცეკვავ და განდაგანას —
საჩემხასიათოა...
ალღო ქალებმა გამოიგონეს —
არც მე მღალატობს:
ვიგუმანე —
თითები რომ მექცნენ იებად,
სისხლიც იად მექცა და ფურცელზე,
კედელზე, ხეზე თუ კლდეზეც კი
საკუთარი ლურჯი სისხლით ვწერ —
მარტოქალი ვარ:
არც ველოდები,
არც ვეძებ,
არც ვტირი...
ლურჯსისხლიან სტრიქონებს ვწერ...

უკანასკნელი ვალსი

ხომ შეიძლება, ერთხელაც ავდგე და წავიდე...
არაფერი ვთქვა,
უბრალოდ ავდგე და უბრალოდ:
წავიდე...
არავინ დავიტოვო,
არავინ გავიხსენო,
არავინ შევინახო —
რომ არ მომაბრუნონ,
რომ არ გადამაფიქრონ,
რომ არ გადავიფიქრო...
ხომ შეიძლება, ვთქვა:
მე ვიქნებოდი ერთგული ცოლი,
წამოგყვებოდი,
სადაც მოისურვებდი,
ჩავიცვამდი ისე, როგორც მეტყოდი,
გავიკეთებდი თმას იმგვარად,
შენ რომ მოგეწონებოდა.
დაგიჯერებდი ყველა სიტყვას,
თუნდაც ყველაზე ზღაპრულ სიტყვას,
მოგენდობოდი უკითხვებოდ,
უყოყმანოდ, უპირობოდ.
გავათევდით ღამეებს ცულის ტარზე და
ადგილიც კი მოგვრჩებოდა,
რადგან
გულის წასვლამდე მეყვარებოდი...
ჰო, გეტყოდი, რომ ვიქნებოდი
შენი ძაღლივით ერთგული ცოლი...
ხომ შეიძლება, დაგპირებოდი
გოგოს დედობას,
ლოყაწითელა,
ცხვირპაჭუა გოგოს დედობას...
ყველაფერი კი
პირიქითაა...
ანუ უკუღმა...
ანდა, არც არის...
და მე — ჩემივე უმწეობით შეშფოთებული,
ყველა ეგოზე მეტად ეგო
და ეგოისტი,
მე ისეთი, როგორიც მხოლოდ მე:
ღამესავით მუქი თმით,
ბანალურად ყავისფერი თვალების
სხვადასხვანაირი ჭრილით,
ფართონესტოებიანი ცხვირითა და
ფერდაკარგული ტუჩებით,
მარწყვისფერ ტუჩებს რომ ვერავინ შეადარებს,
უბრალოდ ვდგები
და უბრალოდ მივდივარ —
მთვარესთან ვალსის საცეკვაოდ...
შენ რა გეგონა?!

დიმიტრი წიკლაური

მგალობელნი, მხმობელნი...

დასასრული

5

ქვეყანა ისე მოწყობილა, ცისა და მიწის გასანათებლად სამყარო უნდა ჩამქრალიყო. არც ერთი ვარსკვლავი არ უნდა დარჩენილიყო ხილული, არც ერთი პლანეტა, მსგავსად სცენის გაჩირაღდნებისა, როცა დარბაზში შუქს თიშავენ. მე მოედნისკენ მივდიოდი ჩაბღუჯული ფუთებით კარლოსთან შესახვედრად. შენობაზე განთავსებული საათი ბრჭყვიალა ციფერბლატით მზეს ირეკლავდა.

— შენთვის რამე დაიტოვე? — ვკითხე კარლოს.

— არც გამიხსნია, იმათ უფრო გამოადგებათ-მეთქი!

ფუთები მესანთლესთან მივიტანეთ და მარიამის დანაბარები გადავეცით. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. როგორ იზომავდნენ აგურისფერ ქვედაბოლოებს, წელში გამოყვანილ პიჯაკებს და რუხ მაისურებს, ტანზე მჭიდროდ რომ ეკვროდათ. ზოგნი ორ-ორს ისინჯავდნენ, მერეც გამოგვადგებაო. ერთმა კი მანტოც მოიცვა, ამინდისთვის შეუსაბამო რომ იყო. მალე გამოჩნდნენ გამოსასვლელი ზედებითა და დაგლეჯილი ფეხსაცმელებით, კოკო-შანელის პლაშჩებით, ქვეშ ზოლიანი ხალათები რომ უჩანდათ. გაცრეცილი ბამბაზიები დედოფლის შარფებით შეეცვალათ. ემა და მისი ფაშფაშა დაქალი ხანშიშესულ მზეთუნახავებს დამსგავსებოდნენ, ხოლო ნოდარის საფრთხობელას ქურთუკზე ლორდის მოსასხამი მოეხურა, გეგონება მოდების ჩვენებაში იღებსო მონაწილეობას. ტანსაცმელი თითქმის ყველას ეყო და ისინიც, თავმომწონენი და ბედნიერნი, ტაძრის ირგვლივ მოჰყვნენ სიარულს და დიდსულოვნად აცლიდნენ სხვებს, მათი ცქერით რომ დამტკბარიყვნენ.

ამ დროს კი მოძღვარი ზეცაზე ქადაგებდა, ზიზღი გამოუსადეგარი თვისებააო, მიწისკენ მიმხმობიო. ადამიანს სიმდაბლე ამაღლებსო. თავს მცოდნეებად მივიჩნევთ, მაგრამ ჭეშმარიტების შესახებ განა რაიმე გაგვეგებაო. ეს კარიბჭე მიუწვდომელი რჩება ბევრთათვის, ბერთათვის რომ იხვნებაო. უნდა ვიღვაწოთ, რომ ჩამქრალი მზერა აგვენთოს და გამოხედვა ალმაცერი არ დაგვრჩესო. ზოგ ნათქვამს, დამაჯერებლობა აღმატებულ პეწს რომ სძენს, მკვახე ლაპარაკი მოჰყვება ხოლმეო, შენ რა იციო, ვინ მოგახსენაო. გამოსავალზე ფიქრს კი მაშინ იწყებენ, როცა სული ეხუთებათ, მაგრამ ეს სულ სხვა რამეაო. ოქროს მთებსაც რომ გადავაწყდეთ, ვერც ამოვიცნობთ, რადგან დაფშვნილი ქვებისგან შემდგარ ბელტებს ემგვანებაო. იქამდე კი ისე შორი იქნება, სანამ დავბრუნდებოდეთ, სიბერე მოგვიწევსო, კამკამა კარიერებიც რომ დაგვხვდეს, გეგონება, ნისლი არ გაჰკარებიაო. მარტოობა სამყაროს შესასწავლადა გვეძლევაო, შებინდება კი სულაც არ მოასწავებს აღსასრულსო. მიწიერი ნუგეში ისეთია, სატრფოს ბოლო მომენტში რომ მოჰკრა თვალი, როცა აქედან სამუდამოდ მიემგზავრებაო. ამქვეყნიური წარმატება ცივ განთიადს ჰგავსო, საკონცერტო ფრაკში გამოწყობილი კომპოზიტორის მიერ ვიოლინოს გამოტანას ზღვის ნაპირზეო, თითქოს მხოლოდ თევზებისთვის უნდა დაუკრასო და მათი ფარფლების ტაშისცემით დატკბესო.

მოძღვარს თითო-ოროლა თუ უსმენდა. დანარჩენები ერთიმეორის ტანსაცმლის ხარისხს ამოწმებდნენ, თითებით სათუთად ეხებოდნენ ქსოვილის სინაზეს, არა ისე, როგორც კუთვნილ ჯვალოებს, დღედაღამ რაც ემოსათ. ტემპერატურის მოქმედება მიწაზე კოსმოსის ჩარევას ჰგავდა. მზის შუქი საფლავებს ისე მოსდებოდა, თითქოს იქაურობა ცეცხლს უნდა მისცესო. ახალშემოსილნი მუჯლუგუნებით მიიკვლევდნენ გზას ტაძარში. დეზებივით წკარუნა ფეხსაცმელები ისე უცურავდათ სარკესავით პრიალა ფილაქნებზე, ლამის ზღართანი მოედინათ. ამიტომაც ცდილობდნენ, ფეხი მეტად არ მოეცვალათ, ხოლო აბეზარ ცნობისმოყვარეებს მხრების აჩეჩვით იშორებდნენ, რადგანაც მათი ყურადღება უკვე ყელში ამოსვლოდათ.

იმ ამბის მერე მარიამი აღარ გამოჩენილა. ერთხელ მესანთლემ თქვა, მარიამის და იყოო მოსული, მამაოს წერილი გადასცაო. მოძღვარმა ქადაგებაში თქვა, მარიამი აღიკვეცაო, ლოცვებში მონაზვნად მოიხსენიეთო. ცოტა გული კი დამწყდა, მაგრამ გადაწყვეტილება თავად მიიღო. ალბათ იმ მონასტერში წავიდა, ფანჯრიდან რომ დაგვანახა იმ დღეს. ცხოვრება ჩვეული რიტმით გრძელდებოდა, თუმცა რაღაც ელფერი დაკარგა. მერე თომაც არ გამოჩნდა, თუმცა კარლოსთვის არაფერი მიკითხავს, თვითონ მეტყვის-მეთქი. ერთ დღესაც ტაძარს ელიას მხრიდან მივადექი. სასაფლაოს მიჯნაზე ჯარის ნაწილი იდგა. გარნიზონიდან ყრუ ფუსფუსი ფუტკრის ზუზუნივით გაისმოდა. ეტყობა, ბრძანება გაეცათ ჩამოშლილი ყაზარმის დასანგრევად. მწკრივად განლაგებული ჯარისკაცები სამშენებლო ნაგვის გატანას შესდგომოდნენ. ოფიცერი პირქუშად გაჰყვიროდა, თან დავთრებში იყურებოდა, დროდადრო კი თავს სწევდა და მათი საქმიანობით უკმაყოფილო, შენიშვნებს აძლევდა. ორ მათგანს ტანზემოთ გაეხადა და ონკანთან ბიდონებს ავსებდნენ, გეგონება წყლით სავსე ავზს პეშვებით ხაპავენო.

უცებ თომას მოვკარი თვალი. რკინიგზისკენ ტორტმანით ეშვებოდა. მეც უკან მივყევი. დავინახე, რელსებთან რომ შედგა, სადაც ზანზალაკების წკრიალითა და რესორების წრიპინით ჩაიარეს მოყანყალე ვაგონებმა, სანამ მოსახვევში თვალს მიეფარებოდნენ. განძელებთან როგორც იქნა დავეწიე.

— საით, თომა?

— სახლში! — მიპასუხა უხალისოდ, თითქოს მიმანიშნა, ზედმეტად ნუ გამაჩერებო.

— მამაშენმა იცის, რომ წამოხვედი?

— მიხვდება როგორმე! — აღნიშნა ბავშვური ბრაზით, ახლა ეგ მადარდეო.

— იმ გზით არ გერჩივნა? — მივუთითე ყურადღების გადასატანად.

— იქით გახედვაც არ მინდა!

— რატომ?

— ვიღაც ნარკომანმა გვაგინა!

— ვინ ნარკომანმა?

თომამ მხრები აიჩეჩა.

— როდის?

— ამას წინებზე!

— მეტრომდე ჩაგაცილებ! — დეტალებს გზაში გამოვკითხავ-მეთქი. როგორც გინდაო, მიპასუხა.

— მამაშენი ვაჟკაცი კაცია, თომა!

— ვნახე მისი ვაჟკაცობა!

— ასე რატომ ამბობ?

— იმ ნარკომანისთვის ხმა არ გაუცია!

— იქნებ ვერ გაიგონა?!

— როგორ ვერ გაიგებდა, მთელი ხმით გვაგინებდა!

6

ხასიათი წამიხდა და ეკლესიაში ასვლა გადავიფიქრე. მრევლის მთელი შემადგენლობა ისედაც აქ ჩამოივლიდა. უმეტესობას ხომ მხოლოდ იმის შესაძლებლობა ჰქონდა, მეტროთი ემგზავრა. არაყი ვიყიდე, ბორდიურზე ჩამოვჯექი და მოვიყუდე. თითქმის ნახევრამდე დავცალე, ტაძრიდან მომავალი სტიქაროსნები რომ გამოჩნდნენ. საქმიანი წესრიგით გეგმავდნენ ათონის წმინდა მთის მოლოცვას. როცა გამისწორდნენ, მათ მხილებას მოვყევი:

— ჰეი, ბერობის მსურველნო! ქალები, რომლებიც თქვენთვის იშვა, მონაზვნებად თუ არ წავლენ, მეძავებად იქცევიან, ან სულაც უცხო ტომელებს დარჩებათ!

ყურადღება არ მოუქცევიათ. ბოთლი სულ გამოვცალე და ასფალტზე მოვისროლე. ჭახანი გაისმა, მაგრამ არ გატეხილა და გორება-გორებით გაჩერდა სანიაღვრე ჭასთან. მერე სასწავლებლის ჩრდილში მდებარე კაფეს მივადექი, ყავას მაინც დავლევ-მეთქი. ზღურბლთან იმ ფილოსოფოსს გადავაწყდი, თავი რჩეულად რომ მიაჩნდა და მაქებარსაც არ იშორებდა გვერდიდან.

— რა ქენით? დაადგინეთ ჭეშმარიტება? თუ ისევ წიგნებში იქექებით? — შევძახე.

მათ მხრები აიჩეჩეს, ნეტავ საიდან გვიცნობსო, თუმცა არ გაჩერებულან. მეტი საქმე არ ჰქონდათ, ჩემთვის თავი გაეყადრათ. იმ მაგიდასთან კი (ეტყობა პარლამენტიდან წამოეღოთ, ზედ იმდენი მოსაზრება იფრქვეოდა) ახლა დამწყები პოეტები დამსხდარიყვნენ და მხცოვან მგოსნებს მკაცრად აბითურებდნენ, ყალბად ირჯებიანო, ტექსტის ქსოვილს ვერ გრძნობენო, ახალს არაფერს გვთავაზობენო და ტრუიზმებით გაჯერებულ ნაწერებს გვტენიანო, ბოლო ნაწარმოებები საერთოდ მაკულატურააო. თავიანთ შემოქმედებაზე კი გიჟდებოდნენ, ზეციური ჩარევის გარეშე ასეთ ნატიფ სტრიქონებს როგორ ჩამოვაყალიბებდითო. იმათაც გადავწვდი, სხვა რაღა დაგრჩენიათ-მეთქი, გარდა ბუმბერაზთა განკითხვისა. ჩახჩახა შუქურებს თუ ჩააქრობთ, მაშინ ეგ თქვენი მბჟუტავი ფანრებიც ივარგებს როგორღაც! რაო, უკანასკნელ ნაწერებს უწუნებთ? ნამდვილი ჩემპიონები დამარცხებით ამთავრებენ, რადგან სანამ გამარჯვება ძალუძთ, ასპარეზს არ ტოვებენ-მეთქი. ხმა არ გაუღიათ. იმ დღეს როგორღაც საზოგადოების ყოველი ფენა მერიდებოდა. ვაი-ვიშს ალბათ ჩემი წასვლის მერე ასტეხდნენ, ეს ვიგინდარა ვინ იყოო. განა ჭილყვავებს ჩხავილს აუკრძალავ? მიმტანმა ყავაზე უარი მითხრა, შარის ამტეხი ჩანსო. გარეთ რომ გამოვედი, იმ წყვილს გადავეჩეხე — იმ გოგოს, თაღებიან სახლში რომ არ ცხოვრობდა და იმ ბიჭს, დაჟინებით რომ ცდილობდა მისი გულის მოგებას — შავი თვალებით შეჰყურებდა მის მზისებრ გამოხედვას, თითქოს ღამიდან დღის სინათლეზე გაყვანას ემუდარებაო. მათ გვერდი ავუარე და ტაძრიდან მომავალ კარლოს გადავაწყდი. წყენას ვერიდებოდი, მაგრამ სათქმელი მახრჩობდა.

— რაო, კარლო! სიბერის გულჩვილობა ხომ არ შემოგაწვა? — მივახალე მკვახედ.

ხელის ჩამორთმევა რომ დააპირა, თავი შორს დავიჭირე. ვერ მიხვდა, რა ბზიკმა მიკბინა, ისე კი მკითხა, რა გჭირს, ბერდია, რას გულისხმობო.

— მესმის, მტერს რომ უნდა მიუტევო, საკუთარი თავი რომ არ უნდა დაიცვა, მაგრამ როცა გაგინებენ, თან შვილის თანდასწრებით, განა რაიმე არ უნდა გეღონა? — ვიცი ეგ ამბავი-მეთქი, მივანიშნე.

— იმ კაცს ვიღაცაში შევეშალეთ! — მიპასუხა მშვიდად.

— გაგინათ და კაცს უწოდებ? — განვაგრძე საყვედური, — თუნდაც ასე ყოფილიყო, განა, შვილის თანდასწრებით პასუხი არ უნდა გაგეცა?

— ჰო, ალბათ! — შეეცადა ჩემს დამშვიდებას. თან ისე მომაჩერდა, თითქოს უცხო ვიყავი. აღარაფრის თქმას არ აპირებდა, წადი სახლში, სხვა დროს ვილაპარაკოთო.

— ახლობლად გთვლიდი! — არ ვეშვებოდი მე.

— აღარ მთვლი?

— ყოველ შემთხვევაში, მაგის გარკვევას ვცდილობ! — იმიტომ ყოყმანობს, სათქმელი რომ არაფერი აქვს-მეთქი და მუქარა განვაგრძე, — მე მაინც მანახე, ცხვირ-პირს დავუნაყავ, სახეს ნახერხად ვუქცევ!

— იმის ცემას რა უნდოდა! — აღმოთქვა კარლომ, — ომახიანად კი გაჰყვიროდა, მაგრამ წამლით გაბრუებული ფეხზე ძლივს იდგა.

— ჯანდაბას, ებანცალა! პასუხი რატომ არ მოსთხოვე? — ჩავაცივდი მე.

— რამდენ ხანს ვიქნები კიდევ? ადრე თუ გვიან, თომა მარტო დარჩება, შარი კი ისევ იქნება ამ დედამიწაზე. განა გამოილევიან უმიზეზოდ ამხირებლები? თომა ვერ შეძლებს პასუხის გაცემას და ჩემი მაგალითი ექნება გასამართლებლად!

თქვა და თავდახრილი გაემართა მეტროსკენ. რაღაცნაირი მორჩილი ნაბიჯები ჰქონდა, ცხოვრების ოლროჩოლროებს შეჩვეული. თითქოს ყოველი გოჯი გამოეარა და ინტერესი აღარაფრის დარჩენოდა. განა ჩვენ ვწყვეტდით, როდემდე ვივლიდით კიდევ ამ მტვრიან ქუჩებში, გაცრეცილ შენობებს შორის. წამით სოფელი გამახსენდა, ალიონს მამლის ყივილი რომ შეაკრთობდა ხოლმე და თვალები ცრემლებით ამევსო. მერე ტაძრისკენ გავწიე, მოძღვარს თუ არა, მრევლს მაინც ვნახავ-მეთქი, ზეციურ ნაოსნებს რომ ჰგავდნენ, გეგონება, სასუფევლის ნავსაყუდელში დალეწილი ხომალდებით ბრუნდებიანო. ქრისტიანთა ზღაპარი სხვა სიტყვებით უნდა მთავრდებოდეს, გავიფიქრე: — ჭირი აქა, ლხინი იქა — რადგანაც ყოფა ისეთია, დანარცხების ხმა თუ გაისმება, დამარცხების დაფდაფებიც არ დააყოვნებს. ჩვენ კი იმიტომ არ ვნებდებოდით, მოციქულებმა ხმა მოგვაწვდინეს, თავად ცხოვრება აპირებსო დანებებას. თორემ რომელი გოლიათები ჩვენ ვიყავით. ფონს ძლივს გავდიოდით. ერთის კი გვჯეროდა, სიცოცხლის ამოწურვისას ღმერთთან უნდა მიგვესვლებოდეს.



მარი თაბაგარი

გოჩია

სოფელში გიჟად მოიხსენიებდნენ გოჩიას. სისხამ დილით ადგებოდა, დაუყვებოდა შარაგზას. მისალმების გარეშე არავის ჩაუვლიდა. ეზოებში მოფუსფუსე თანასოფლელებს გამოეხმაურებოდა. მოცლილიო, ჩაილაპარაკებდა ვიღაც და ხელს ჩაიქნევდა. ზოგი კი, გამარჯობა, გოჩია, რა ადრიანად ამდგარხარ, შემოდი ვისაუზმოთო. გოჩიასაც უყვარდა სტუმრად მისვლა, მით უფრო, თუ ვინმე წინ ორნახად არაყს დაუდგამდა. არც ისე შრომისმოყვარე იყო, მაგრამ დახმარებაზე უარს მაინც არავის ეუბნებოდა.

რაც თავი მახსოვს, მახსოვს გოჩიაც. ბავშვებს გვეუცნაურებოდა მისი უჩვეულო თავის კანტური, სწრაფი საუბარი, უცნაური სიცილი. ამიტომაც, მისი დანახვისას შიში გვიპყრობდა და უფროსების უშუალო, თბილი დამოკიდებულება გვაოცებდა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა ხოლმე მამაჩემი. სახლისაკენ მომავალი, თუ სადმე თვალს შეასწრებდა, ჩაისვამდა მანქანაში და მოჰყავდა სახლში. სუფრას გაგვაშლევინებდა, დაილოცებოდნენ. ბევრის დალევა არ შეიძლება, გოჩიაო, შეახსენებდა ხოლმე. სადღეგრძელოებიც იცოდა გოჩიამ, რაც სხვებისგან არაერთხელ გაეგონა, დაესწავლა კიდეც. ჰოდა, ამბობდა რიხით სადღეგრძელოებს: სამშობლოსას, მშვიდობისას, ოჯახისას. რა იყო სამშობლო, რას ნიშნავდა მშვიდობა და ოჯახი, ვერ გიპასუხებდათ, მაგრამ ახლაც ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს გრძნობდა. მის არსებაში შეყუჟულიყო და თავისებური ჟღერადობით ხმიანობდა. მისთვის სამშობლო იმ პატარა ორღობიდან იწყებოდა, სადაც ხშირად პოულობდნენ არყისაგან გაბრუებულსა და მიძინებულს. ოჯახი კი ის ადგილი იყო, სადაც დედა ეგებებოდა, მოხვედი, შვილოო?!

წლინახევრის იყო გოჩია, ნათელამ თავისი ერთადერთი შვილი მენინგიტს რომ გამოსტაცა. უკვე ფეხზე მობაჯბაჯე და მოტიტინე ბავშვი სრულიად დამუნჯდა და შემდეგ ოთხი წლისამ დაიწყო სიარულიცა და უჩვეულო მეტყველებაც. ექიმები საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ. ვიდრე მეუღლე ცოცხალი ჰყავდა, თბილისში ექიმებთანაც ატარა შვილი, მერე კი ვეღარც ფინანსურად შეძლო და ვეღარც ფიზიკურად. დიდი შედეგი არც მცდელობამ გამოიღო და მოულოდნელად დაქვრივებული ნათელა ბედს შეეგუა. ხანდახან ჩამოჯდებოდა გულდათუთქული და გოჩიას მომავალს მოთქვამდა, მე რომ აღარ ვიქნები, ვინ უპატრონებს ჩემს ბიჭსო.

— ნუ სტირი ასე წინასწარ, ნათელა, ნუ. ძლიერი ქალი ხარ, დიდხანს უნდა იცოცხლო, — ეუბნებოდნენ მეზობლები, მაგრამ ეს ვერ იყო დიდი შვების მომცემი.

— ეჰ, წნევა მაწუხებს, როდის გაჩერდება ეს ოხერი გული, არც კი ვიცი. ასე მარტივია დამშვიდება? პატრონი უნდა ჩემს ბიჭს, პატრონი, — წუხდა ნათელა.

— გამოუჩნდება ვინმე. ასე წინასწარ რატომ მოთქვამ?! ჯერ 22 წლისაა...

— ვინ? ვინ?..

ამაზედაც იზრუნა ნათელამ. ერთ დღეს რომ ქალაქში გასაყიდად ყველი და მაწონი წაიღო, უკან მარტო აღარ დაბრუნებულა. ერთი კაფანდარა, კოჭლი გოგო მოიყოლა თან. სოფელს სალაპარაკო გაუჩნდა: გოჩიამ ცოლი მოიყვანაო; ნეტავ ცოლი რად უნდოდა, გიჟი და ცოლი გაგიგიაო?! ნათელამ მოსამსახურე იშოვაო; უი, ეგ ის გოგო არაა, ბაზრის კიბეზე რომ მოწყალებას ითხოვდა, საწყალს თავი ზევით არ აუწევია, იმ კიბეზე ადამიანების ნაბიჯებს ითვლიდაო; თუ ვინმე ჰყავს მაგ საცოდავს, მოაკითხავს ალბათ და წაიყვანს, ამ გიჟთან ვინ დატოვებსო; ან როგორ გამოჰყვაო; ვინმე რომ ჰყავდეს, ბაზრის კიბეზე ჩამომჯდარი კი არ იმათხოვრებდაო...

დედამ „ჩიტის რძის“ დიდი კოლოფი ჩადო პარკში, კიდევ რაღაც ლამაზად შეფუთული და მომიბრუნდა, ნათელასთან მივდივარ, წამოდიო. ინტერესი მკლავდა, ახლოდან მენახა გაჭორილი პატარძალი. გავყევი. ეზოში გოჩია ცქმუტავდა, უხაროდა, რომ ულოცავდნენ. სახლში კი თბილ ღუმელთან დამსხდარიყვნენ ნათელა, მისი ახალშეძენილი რძალი თეა და ნათელას და. გოჩიაც მალე შემოვიდა თბილ სახლში, მორიდებით უცქერდა თავის მეუღლეს და უხაროდა, უხაროდა ცხოვრების დიდი საჩუქარი. ამასაც თავისებურად გრძნობდა. თეას კი მთელი საღამო თავი არ აუწევია, თითქოს ისევ ადამიანების ნაბიჯებს ითვლიდა. მხოლოდ რამდენჯერმე გაგვცა პასუხი დასმულ კითხვაზე. უპატრონო ბავშვთა სახლში გაზრდილმა, არც მშობლების ვინაობა იცოდა და არც სახლ-კარი გააჩნდა. ბედნიერება ვუსურვეთ გოჩიას და თეას. სახლიდან გამოსულმა კი ვერ მოვითმინე და დედას ვკითხე:

— ბედნიერი იქნება, ხომ? — დედას რომ ეთქვა, არაო, ყელში მობჯენილი ბურთი დაიძვრებოდა და ტირილს დავიწყებდი.

— იქნება! ნათელა შვილივით უპატრონებს. ვინ ჰყავს მეტი?! — თითქოს თავისთვის მსჯელობსო, ისე მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა დედამ.

მალე დაივიწყა სოფელმა გოჩიას ქორწინება. მალე ჰბეზრდებათ ადამიანებს ერთი და იგივე თემაზე საუბარი. გოჩია სოფელ-სოფელ უფრო ბედნიერი დადიოდა. თუ ვინმე სასმელს შესთავაზებდა, არა, ცოლმა ამიკრძალაო, უპასუხებდა და აღარ სვამდა. ნათელაც მეტი მონდომებით შრომობდა და ბაზრიდან სახლში დაბრუნებული ახალ-ახალ აბრეშუმის კაბებს მოაფრიალებდა. რძალი უნდა შეემოსა, რომელიც ბედს ნამდვილად არ უჩიოდა და სახლსა და ბოსტანში დაფუსფუსებდა. ვისთვის რა არის ბედნიერებაო, ხშირად იტყოდა მამა. მართლაც, რაც სოფელს საქილიკოდ მიაჩნდა, ვიღაცას შვებას ჰგვრიდა. იმას, რასაც მოვალეობას არქმევდნენ, ცხოვრების წესი იყო. ცხოვრებისაც ხომ ყველას ერთნაირად არ ესმოდა. ვიღაცისთვის ცხოვრება შვილებიდან იწყებოდა, ვიღაცისთვის — საკუთარი თავიდან, ზოგიერთისთვის — სამშობლოდან...

* * *

აპრილის თბილი დილა გათენდა. გოჩიაც, ჩვეულებრივ, დილაადრიან გამოვიდა სახლიდან.

— გოჩია, 11 საათზე სახლში იყავი, დღეს ქალაქში მივდივართ! — მოაძახა თეამ.

— ჰო, მოვალ, ჰო!

არ იცოდა გოჩიამ საათის ცნობა. თეას სიტყვები სახლში მალე მოდის უფრო ნიშნავდა. გოჩიაც იჩქარებდა. რა თქმა უნდა, თუ გაახსენდებოდა. მეც სკოლაში მივიჩქაროდი. სწრაფი ნაბიჯით გავუქროლე გვერდზე და გამარჯობა-მეთქი. გაგიმარჯოსო, მომძახა და ხელიც ასწია. არ შევჩერებულვარ. მე სკოლისაკენ, გოჩია კი სოფლის მაღაზიისაკენ გაეშურა.

არ მახსოვს მერამდენე გაკვეთილი იყო, ჯერ მერხის ტორტმანი ვიგრძენი, შემდეგ წიგნები გადმოცვივდა მერხსა და კარადიდან და ყველანი ფეხზე წამოვცვივდით. შეშინებულები აღარც მასწავლებელს ვუსმენდით, რომელიც დამშვიდდით, არ შეგეშინდეთო, თვითონვე შეშინებული მოგვძახოდა. ჩვენ კი არც ის ვიცოდით, რომ კიბე ასეთ დროს ყველაზე საშიში ადგილი იყო და მივაწყდით ერთიანად. საბედნიეროდ, ეზოში მშვიდობიანად ჩავედით. იქ მოვიკითხეთ ერთმანეთი, ყველანი ჯანმრთელად ვიყავით. მერე კი ყველას ფიქრი ოჯახებს გადასწვდა, ნეტავ როგორ არიან დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა, მამიდა... სკოლის ეზოში გული აღარ გვიჩერდებოდა. იქვე გავიგეთ რომ 9 ბალიანი მიწისძვრის ეპიცენტრი რაჭისა და იმერეთის მაღალმთიან სოფლებში მდებარეობდა. ჩვენთან კი 7 ბალი იყო. მოგვიანებით ერთი სოფლის მთლიანად გაქრობის ამბავმა მთლად საგონებელში ჩაგვაგდო.

სახლისაკენ სირბილით წამოვედი. გოჩია ისევ შემომხვდა, ისიც სახლისაკენ გამორბოდა. გულში გამიელვა, ნეტავ შეეშინდა თუ ესეც ვინმეზე დარდობს?! სად იყო ფიქრის დრო, ერთად გამოვრბოდით მე და გოჩია. სახლამდე ცოტა მანძილიღა გვაშორებდა, მეზობლის სახლიდან რომ კივილი მოგვესმა. გოჩია შედგა, დაფიქრდა, შემომხედა და უცებ, ხმაც კი არ დაუძრავს, ისე მოსხლტა ადგილიდან. საიდანაც ხმაური მოდიოდა, იქით გაიქცა, მეც უკან მივყევი. გულამოვარდნილები მივუახლოვდით მეზობლის სახლს, რომლის სახურავი ჩამოქცეულიყო. მოხუცი ბებია და ოთხი წლის შვილიშვილი შიგნით დარჩენილიყვნენ. კიბე სახურავს თან ჩაეტანა და გარეთ გამოსვლას ვერ ახერხებდნენ. მშობლები სამსახურში იყვნენ. მეზობლები ვიშვიშებდნენ, ბიძგები მეორდებოდა და ყველას ეშინოდა სახლის შიგნით შეღწევის მცდელობისაც კი. სასწრაფო დახმარების მანქანა სოფელში ვერ ამოაღწევდა, გზაზე მიწა ჩამოშლილიყო და ტრაქტორითა და ამწეთი ასუფთავებდნენ. ჩემი და გოჩიას ეზოში შესვლა არავის გაუგია, ყველა პანიკაში იყო. გოჩიამ ისევ გამომხედა, ისევ ისეთივე დაკვირვებული მზერით, თითქოს ჩემგან დასტურს ელოდებოდა. უცებ ისევ ადგილს მოსწყდა. არასოდეს დამავიწყდება ეს მზერა, რომელიც იმ წუთში და ახლაც, მე ყველაზე ჭკვიან მზერად ჩავთვალე. გოჩია ფანჯარას შეახტა, მეზობლებმა ერთხმად იხუვლეს, ყველამ პირზე ხელი აიფარა გაოცებისგან და გულშემატკივრებად გადაიქცნენ. გოჩიამ ერთხანს ფანჯრის რაფაზე ჩამოკიდებულმა დაყო, თითქოს სული მოითქვა, შემდეგ ტანი აზიდა და ფანჯარაში ჯერ ერთი ფეხი გადაიტანა, შემდეგ — მეორე. ვეღარ გამოვა, ჩაილაპარაკა მეზობელმა. გული ათმაგად ამიჩქარდა. ნუთუ... ისევ საშინელი ბიძგი. გოჩია ერთხანს ფანჯარასთან იყო გაჩერებული, უკან აღარ მოუხედავს, ისე გადახტა სადღაც, შიგნით და გაუჩინარდა. ეზოში სრული სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ სახლიდან ისმოდა ბავშვის ტირილი და რამდენიმე წუთში ისიც შეწყდა. კართან მისვლა შეუძლებელი იყო, დროდადრო ქვიშა და ნანგრევები ცვიოდა. დრო გაიწელა, ვერავინ ფიქრობდა, რა ეღონათ, რომ უცებ ფანჯრიდან ისევ გოჩიას თავი გამოჩნდა, წამოიმართა და აღფრთოვანების შეძახილი აღმოგვხდა ყველას. პატარა საბასთან ერთად იყო. ძალიან სწრაფად ბავშვს მკლავებში მაგრად ჩაბღუჯა ხელი და ფანჯრიდან გადმოსწია. ისე ღრმად გადმოიხარა, გვეგონა აგდებდა, ან ხტებოდა, მაგრამ — არა. მამაკაცები მიეშველნენ და ჩამოართვეს. გოჩია გასწორდა და რომ გვეგონა, გადმოხტომას აპირებდა, ისევ სიღრმიდან მოისმა ხმაური. გაუჩინარდა და ზუსტად ათი წუთი წვალობდა ფეხმოტეხილი მართას ფანჯრამდე მოყვანას. მართა ეხვეწებოდა, წადი, დამტოვეო. გოჩია კი არ თმობდა. გოჩია, რომელმაც სიცოცხლის სიყვარული ახლა ყველაზე კარგად იცოდა. იცოდა ისიც, თუ სად იწყებოდა სამშობლო და რას ნიშნავდა ოჯახი. რა ძვირფასი იყო საკუთარი კერა. სწორედ ეს სიყვარული მოარბენინებდა სახლისაკენ, ამ სიყვარულმა მიიყვანა ახმაურებულ ოჯახში. არ დაუწყია ფიქრი, რა დაემართებოდა. მთავარი იყო, ადამიანები გადაერჩინა.

რის ვაივაგლახით ჩამოართვეს მამაკაცებმა გოჩიას მომკივანი მართა ბებო. გოჩია კი ისევ ფანჯარას გადმოეკიდა და ვიდრე ძირს ჩამოხტებოდა, ფანჯარაც მოწყდა კედელს. იკივლეს ქალებმა, გოჩიას მისცვივდნენ მამაკაცები. გოჩია იცინოდა. ჩვეული ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე. ეს ღიმილი გამარჯვების იყო.

— გადავარჩინე! — ჩაილაპარაკა გოჩიამ და წამოდგა. ახლა თითქოს აღარსად ეჩქარებოდა, ნელი ნაბიჯით გაუყვა სახლისაკენ გზას.

ღმერთს კეთილი ადამიანები არ ავიწყდებაო, მეტყოდა ხოლმე ბებო. ასეც იყო, რომ ვაკვირდებოდი, თითქმის ყველა სიკეთესა და ბოროტებას ადამიანებს უკან უბრუნებდა. ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალიო, ესეც ბებოსგან მესმოდა. მხოლოდ გოჩიას რას ემართლებოდა ღმერთი, ამას ვერ ვხვდებოდი. მოგვიანებით მეც სხვაგვარად დავიწყე ფიქრი, როცა შევიტყვე, რომ არც გოჩია დაავიწყდა ღმერთს. ერთი წლის თავზე გოჩიას ბიჭი შეეძინა. ისევ ატყდა მითქმა-მოთქმა: ნეტავ რას აჩენდა ეს სულელი ქალი, ხომ იცის, რომ ქმარი გიჟია; უიმე, რა უცნაურად ტირის ბავშვი. უთუოდ მამას დაემსგავსება; გიჟის შვილი რა უნდა იყოს, ნეტავ დედამისის თავში ჩამახედა; რად უნდოდა მაგას ცოლი...

ერთ დღეს ნათელა დედასთან მოვიდა, გეხვეწები, შენს ქმარს ყველაზე მეტად უჯერებს და პატივს სცემს გოჩია, ორი დღით იქნებ მიმიქციოთ ყურადღება, მე და ჩემს რძალს გვინდა, ბავშვი თბილისში ერთ კარგ პედიატრს ვაჩვენოთ, ასე გვირჩიესო... დედამ დაამშვიდა, დარდი ნუ გექნებაო. მე კი ისე სულმოუთქმელად ველოდებოდი მათ ჩამოსვლას და ექიმთან ვიზიტის შედეგს, ღამით სულ თეთრხალათიანები მესიზმრებოდნენ და მიღიმოდნენ. მესამე დღეს დაბრუნდნენ ნათელა და თეა. ბავშვი საღ-სალამათია და შეგიძლიათ რაიონის პოლიკლინიკაში აიყვანოთ აღრიცხვაზეო.

ესეც სიკეთის საპირწონე მადლი იყო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. გოჩიას ბიჭი სოფლის თვალი გახდა, ყოჩაღი, წარმატებული. ნათელა რომ გარდაიცვალა, თეა მართლაც შვილივით დასტიროდა. გოჩიამ დედის გარდაცვალება ისე განიცადა, ისევ სასმელისკენ წაუცდა ხელი. სოფელში ჩასულს მუდამ კარგი მეგობარივით მესალმებოდა და მკითხულობდა.

ამ ზაფხულსაც სოფელში გადავეყარეთ ერთმანეთს. დიდი ხმაურითა და ოვაციით მომესალმა:

— როგორ ხარ? შენი მოთხრობა გაზეთში ვნახე...

— გოჩია, წაიკითხე?

— ჰო, აბა, რა... წავიკითხე!

გამეღიმა. გოჩიამ კითხვა არ იცოდა, თუმცა ეს მისი მართალი და გულწრფელი სიხარული იყო.

ნინო სიხარულიძე

ათას მეერთედ...

თოვლი ათასჯერ გააძევეს ამ ქალაქიდან,
ათას მეერთედ ამ ქალაქში მობრძანდა თოვლი;
სიყვარულისფრად ელვარებს ძოწი
და სიმართლისფრად კამკამებს ბროლი.
აღარც კი ვიცი, გზა საით მიდის,
ანდა საერთოდ მიდის თუ არა.
თოვლის რკალშია მთელი თბილისი,
ცას თეთრმა ფარამ გადაუარა.
კაბის კალთები მოერღვა ღამეს,
თითქოს ყველაფერს ეხდება ფარდა,
თითქოს არავინ არაფერს ეძებს,
სულ აღარაფერს, სიმართლის გარდა —
თითო ფანტელით ნათდება სული,
თითო ფანტელით მაღლდება ზეცა,
გავყევი შუქის ალმაცერ ბილიკს
და ყველა ეჭვი იმედად მექცა.
მოუსავლეთში მიიზლაზნება
ცაზე გაკრული სიცრუის ბოლი —
თოვლი ათასჯერ გააძევეს ამ ქალაქიდან,
ათას მეერთედ ამ ქალაქში მობრძანდა თოვლი.

* * *

ჩემი ფიქრიდან გძერწავ,
შემოდგომის მზე მახლავს
და შეხსენება ძველის
სულ ზედმეტია ახლა.
თურმე, სუსტია სიტყვა —
ყველაფრის ვერდამტევი,
„ო, როგორ მღუპავს გრძნობა,
ჩემი მოსისხლე მტერი“.

* * *

ტანკენარ ფიჭვებს ააცოცდათ სხეულზე სურო,
ზეცას გაკვრია თოლიების გუნდი ფარფატა,
სიზმრების წიგნი ახლა მაინც უნდა დავხურო —
ჩამავალმა მზემ ზღვის ბილიკი ცხადში დახატა.
მაცალე, ჩემო დანასავით პირბასრო დარდო,
მაცალე, სული მივაფიცხო ალისფერ ივლისს,
მინდა, უშენოდ ერთი ლექსი მაინც გავრანდო,
რომელიც ცრემლებს შეიშრობს და მზის კვალზე ივლის.
მინდა, უშენოდ მივეახლო ქაფიან ტალღას,
გამოვექცე და მერე ისევ მივანდო თავი,
აქ მხოლოდ ზღვა და უსასრულო სილურჯე მახლავს,
მაცდურად მიხმობს და ირწევა ნაპირთან ნავი.
ტანკენარ ფიჭვებს მწვანე ჭორფლად აყრიათ სურო,
ზეცას გაკვრია თოლიების ფარფატა გუნდი,
დარდის დღიურო, უსათუოდ უნდა დაგხურო
და მაპატიე, თუკი შენთან აღარ დავბრუნდი.

განუყრელი წყვილი

მე და ჩემი დარდი — განუყრელი წყვილი!
არ დამტოვებს წამით, არსად გამეცლება,
ღალატს არასოდეს გაიტარებს გულში
და არც მისამართი ჩემი შეეშლება —
მზე ამოდის, ჩადის, დათილისმობს მთვარე
და ვერ გავეყარე, რაც მეწერა ბედად,
ჰოდა, შევიყვარე, გულიც დავიწყნარე,
მე და ჩემი დარდი ვდარდიმანდობთ ერთად.

რეინკარნაცია

ლოდი იყავი,
უბრალო ლოდი,
მდინარის პირას მიგდებული,
ყველასაგან მივიწყებული
და როცა ხავსი მოიკიდე —
და როცა ხავსი მოიკიდე,
ბავშვის ხელი ჩაგებღაუჭა,
საოცარი ძალა მიეცა
და გადარჩა ერთი სიცოცხლე,
შენით გაგრძელდა, შენით გამზევდა...
ჰოდა, გადაწყდა,
იქ, ზეცაში ერთხმად გადაწყდა
უფლის ნებით და ანგელოზთა დასის დასტურით,
რომ ლოდად ყოფნა აღარ გეწერა:
სულს ჩაიდგამდი, ხორცს შეისხამდი,
განკაცდებოდი და ხავსის ნაცვლად,
გულით იხსნიდი მავანს თუ მავანს.
რაც ითქვა — იქმნა.
ახლა გქვია ადამიანი
და სიყვარულით არის სავსე ყოველი წამი
და გული შენი — ოქროს საბადო —
უშურველად ნაწილდება მრავალთა შორის,
მრავალთა შორის, შენი რომ სჯერათ.
დაიღუპება, მისხალიც რომ დააკლო ვინმეს,
ვერ გადარჩება, მოუქნელი თუ დაგცდა სიტყვა —
მძიმეა ჯვარი, უსაშველოდ მძიმეა ჯვარი,
არც არავინ ჩანს, შეგაშველოს ხანდახან მხარი
და თუმცა არ გსურს, აღიარო საკუთარ თავთან,
მაგრამ სიმართლე ის არის, რომ სულ უფრო ხშირად
იხსენებ დღეებს, როცა არვინ გაგდებდა ჩირად,
როცა უბრალო ლოდი გერქვა, არ გედო ფასი
და შეუმჩნევლად გეზრდებოდა სხეულზე ხავსი.

ზამთრისპირული

ცხოვრება, რომელიც სიცოცხლეს არა ჰგავს,
სიცოცხლე, რომელსაც არ ჰქვია ცხოვრება,
წუთობით, წამობით, დარობით, ავდრობით
მიქრება, მიცხრება და მიიზმორება.
ისეთი ზანტია, ისეთი ბლანტია,
ერთ ლექსად არ მიღირს, თუ ვინმე მენდობა,
ამაოდ მოვისხი დედოფლის მანტია,
არ ამცდა ხუნდები და დროის მხევლობა.
ის თეთრი ვარდები, ჩემთვის რომ აგროვე,
ის ჩუმი დარდები, სხვა რომ ვერ ამჩნევდა,
ჩადნა და ჩაინთქა უხიაკ ჭორებში,
ეს წუთისოფელი ფეტვად რომ აბნევდა.
რა დარჩა? რა დამრჩა? ლანდებთან ლაციცი,
გაცრეცილ ოცნების ამოქვითინება,
გადარჩა ციმციმა სანთელი? არ ვიცი,
არ ვიცი, განგებამ რაგვარად ინება.
და სანამ გულს ბოლო იმედი დატოვებს,
გულო, სანამ შენს წილ სამსალას შესვამდე,
მითხარი, ზამთრისპირს ვინ გამიპრიალებს,
ვინღა მიმაცილებს იმ ბოლო ლექსამდე...

ვითომ...

შობა — შინიდან გამოძევება,
ბავშვობა — ელდის, ტკივილის ჟამი,
მერე მორევი:
ხავსის ძებნაში შემოხარჯული რამდენი წამი!
მერე სულ „ვითომ“:
ვითომ სილაღე, სილამაზე და რწმენა, განდობა,
მადლობა ვითომ მეგობრობისთვის,
სიყვარულისთვის — დიდი მადლობა!
მაღლდება ქვიშით ნაგები კოშკი
და ეტმასნება მირაჟს მირაჟი —
ვითომ კვლავ აფრქვევს ღვთაებრივ სურნელს
ხავერდოვანი „ვარდი სილაში“;
ვითომ დრო მართლაც ვერაფერს აკლებს
და სევდიანი ფინალი ასცდა
ქარიშხალივით მოვარდნილ გრძნობებს,
ჩვენს გულისგულში გამოვლილ განცდას;
ვითომ მადლი რომ დატოვე ქვაზე,
გაიარე და მართლაც წინ დაგხვდა,
ვითომ ფურცლავდი სიზმრების წიგნს და
ყველა სიზმარი კეთილად ახდა,
არც ფიცი იქცა საპნის ბუშტებად,
არც ნატვრის ხეზე დაობლდა კვირტი —
რა ნეტარი ხარ, თუ შეგიძლია
ილუზიასთან გააბა ფლირტი.
რა ძლიერი ხარ, თუკი მხრებს გითბობს
ტკბილი სიცრუის ფუმფულა ბოა,
არც გაწბილდები, არც დაეცემი,
რადგანაც მუდამ საშენო დროა...
სხვამ რა ქნას, ვინაც ვერაფრით დაცხრა
და კვლავ იღბალთან დუელიანტობს,
ვინც ზღაპრის გუდას ვერ აიკიდებს
და ლურჯ მირაჟებს თავს ვერ მიანდობს;
ფანტია სიტყვის შაქარყინული
გულდაჯერებით ვინც ვერ ალოკა,
ვინც ვერ ირწმუნა ამდენი „ვითომ“
და ბედს პირისპირ შერჩა მარტოკა —
მან რა ქნას? კითხვა ზეცას აწყდება
და პასუხამდე ძალზე შორია,
ცას კი აჩნია მთვარის ნარჩენი,
როგორც ზედმეტი ბუტაფორია.
და ერთადერთი, ვისაც წერტილის
დასმის უფლება მისცა განგებამ,
ვისაც ვერასდროს დავეკარგებით,
თავად არასდროს დაგვეკარგება,
ვის ბადეშიაც, ლიფსიტებივით,
გაჩენის დღიდან ყველა მოვყევით,
ბოლოს მოუღებს ნიღბოსან „ვითომს“
პირბასრი ცელის ერთი მოქნევით.

* * *

კვლავ იბადება კაენი, კვლავაც მსხვერპლია აბელი,
თხასავით გვყიდის იუდა და არსადაა საშველი.
კვლავ აღთქმულ მიწას დავეძებთ,
მაგრამ გაჩენილთ მონებად,
არ გვიწერია გზის პოვნა და მერე სულის ცხონება.
კვლავაც ტირიან ხატები, მაგრამ ჭირს თვალის ახელა
და ამ უბადრუკ წვალებას ცხოვრება ჰქვია სახელად.

* * *

ქალები, რომლებიც სიყვარულზე წერდნენ ლექსებს,
...უკვე გათხოვდნენ.
ქალები, რომლებიც საყვარლებზე წერდნენ ლექსებს,
...უკვე დაბერდნენ.
ქალები, რომლებიც ცისარტყელებს მიელტვოდნენ,
...უკვე დამძიმდნენ.
ქალები, რომლებიც იდეალებს ეძიებდნენ,
...უკვე დაბრძენდნენ.
და მაინც, მაინც... ვით წიწილა გამოტეხს ნაჭუჭს,
ისე ეხლება
გულცივობის მაღალ კედელს უმწეო ლექსი,
უმწეო და გაწუწული წვიმით თუ ცრემლით,
ვიღაცა მაინც შემომჯდარა
ბედისწერის საქანელაზე
და ფინჯან ყავაზე კი არა,
სტრიქონების ტაბლასთან გელით.

ის ერთი ლექსი

ლაშა გახარიას

ის ერთი ლექსი,
იმ ერთი ლექსით,
იმ ერთი ლექსის მიღმა და მერე —
ანგელოსები შემოირიგე და
ტარტაროზი გადაიმტერე.
სიტყვების ტევრში სულგანაბულმა
შეატრიალე ბედის ბორბალი,
მუზის ზვირთებში გამოიზამთრე და
თვით სიკვდილი ლექსით მოკალი —
ჩამოიმარცვლე,
ჩამოირითმე,
ჩამოისეტყვე ლექსადქცეული,
ნახე, ფეხდაფეხ ეშვება წვიმა
და წაშლილია ღამე, გრძნეული.
შენ კი არ გძინავს,
დაკაწრულ პწკარებს ეფერები და ესათუთები,
სულ ფრენა-ფრენით იფანტებიან
მარადისობის ტკბილი წუთები.

შენ კი დრო დაგრჩა ძალიან ცოტა,
შენ კი სათქმელი დაგირჩა ბევრი,
ტორტმანებს ცა და რაღაცას როტავს
ტარტაროზ — ყველა პოეტის მტერი.
ჩიტების ამქარს მოუხმობ როცა,
დაგელოცება სიტყვების ტევრი
და თუ დაგცალდა — ის ერთი ლექსიც,
ის ერთი ლექსი, გულში რომ მღერი,
რაც მთავარი და უმთავრესია,
მარად ძველი და მარად ახალი,
„პოეტი მაინც ერთი ლექსია,
ობლის ცრემლივით ცამდე მართალი“.

* * *

დამესიზმრა,
პურის მაღაზიას „პური“ ეწერა,
არც „Хлеб“ და არც „Bread“ –
უბრალოდ „პური“.
რას არ იხილავს სიზმარში თვალი!
რას არ გაიგებს სიზმარში ყური!
წარმოიდგინე, ისე გავოგნდი,
სულ დამავიწყდა, მეყიდა პური.

ციკლიდან „ცხარე ლექსები“

* * *

...იუდა თოკზე მაინც დაეკიდა,
თქვენ კი ისე როგორ ტყიურდებით,
რომ ანგელოზად ჩანან უკვე
სხვადასხვა ჯურის იუდები.
იმან რაღაც მაინც შეინანა
და თუმც საშინელი ცოდვა ახლავს,
გამოსავალი რომ ვერსად ნახა,
წავიდა, შავეთს დაესახლა.
თქვენ კი — რა სიამე! რა განცხრომა!
რა თვითკმაყოფილი სიფათები!
იმასაც ვერ ხვდებით, უგუნურნო,
რომ ჯოჯოხეთისთვის იბადებით.
იუდა თოკზე მაინც დაეკიდა...

* * *

მე ამ ცეცხლთან ვერ გავთბები,
იმიტომ, რომ სხვისია.
გულო, სხვისი ნურა გინდა,
ან რა საკადრისია!
მე ამ ქალაქს დავუჩოქებ,
იმიტომ, რომ ღირსია —
რაც რამ ნაღდი ლექსი მითქვამს,
ერთიანად მისია.
ძველი სიყვარულის ეშხით
გული ამომივსია,
მერე რა, რომ ქარი დარდებს
დაარიგებს ნისიად,
მერე რა, რომ ვერ გავიგე
გვირილები ვისია,
ცეცხლთან მაინც არ გავთბები,
თუ ეს ცეცხლი სხვისია.

მესამე

ღრუბელი ღრუბელს ეფლირტავება,
— სად ხარ, გრანელო? გაზაფხულია
და ამ ჩიტს სულ არ ეპიტნავება,
მისი ბუდე რომ დაკარგულია.
საღამო მშვიდი და ტოტი ტოტთან
და ჩიტი ჩიტთან, მზე კი გულშია,
ისე მაცდურად ძგერს აკაცია,
ეტყობა, ისიც გადაკრულშია.
ჰო, ჩიტს ექნება ახალი ბუდე,
შენ მიაცილებ ბალდახინს ვისას?
არა სიცოცხლე? არა სიკვდილი?
ეგ დაწყევლილი მესამე — მტრისას!
ეგ დაწყევლილი მესამე გდევნის
და გარშემოა მიეთმოეთი,
არც სააქაოს, არც საიქიოს,
არა ხარ, რადგან გქვია პოეტი.
ჩიტი ბუდეში გაირინდება,
შენ კი პირისპირ ხვდები გრიგალებს,
არსად — ჭერი და არსად — მოყვასი,
ვინც დაგიყვავებს და შეგიბრალებს.
აღარსად გელის თავშესაფარი,
სულო, დაღლილო და მაინც შლეგო,
სულ ეწამები, რადგანაც წილად
ეგ ნავსიანი მესამე გერგო...

არ გამოხვიდეთ, ბიჭებო, „ბისზე“!
თავისუფალ თეატრში ვნახე სპექტაკლი „ჯინსების თაობა“

სულდაკოდილებს არ იღებს ზეცა,
ფრთებს იმათ, აბა, ვინ მიაშავებს,
ნეტავი, მხარი რატომ არ ექცათ
შიშისფერ ქარებს, ქარებს აშარებს;
ნეტავ, რად დადნა ოცნების გუნდა,
რად დაემსგავსა მთვარეს ნამგალას,
მთვარე დიდხანს და საეჭვოდ დუმდა,
თქვენ ამ დუმილმა ხომ არ დაგღალათ?
ხომ არ გაგიქრათ, ხომ არ ჩაგიქრათ
სხვისი — ნატვრა და სხვისი — იმედი,
მე ამ შეკითხვის პასუხს ველოდი,
ბიჭებო, სანამ დაგიტირებდით —
ელოდა ლოჟა, იწვოდა ლოჟა,
პარტერი ჰგავდა გახსნილ იარას,
იქ კი, სცენაზე, თქვენი დაჭრილი
სულის გრიგალმა გადაიარა:
ფრთები იყო და ფრთები არც იყო,
დალეწილი და მაინც დიადი,
ზეცა შუაზე, თითქოს, გაიყო —
აქეთ ცისკარი, იქით წყვდიადი
და თქვენ მათ შორის იარებოდით,
ვით ალესილი მახვილის პირზე.
ეს აღარაა როლის თამაში,
არ გამოხვიდეთ, ბიჭებო „ბისზე“!
ნუ დაეშვება შრიალა ფარდა,
ნუ გაისმება დარბაზში ტაში,
ჩვენ აღარ გვქვია მაყურებელი,
ჩვენ თქვენთან ერთად დავსხედით ცაში...
სულდაკოდილებს არ იღებს ზეცა,
ნეტავი, მიწაც არ იკარებდეს,
თქვენი გაფრენა ლეგენდად გვექცა,
ვკითხულობთ ცრემლით ნაწერ პწკარედებს
და დღეს ქარისფერ თბილისში ვშფოთავთ,
სულში შემოდის ობობა — ჭორი,
გამომწყვდეულა ქსელში ოცნება —
თავგანწირული გლადიატორი
და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
ებრძვის ქვემძრომებს, ებრძვის ავსულებს,
რა გადაიტანს ამ სასტიკ ომებს,
თქვენ გეკითხებით, ზეცად ასულებს.
დღეს ჩვენ დავფრინავთ ყველგან და არსად,
ყველგან და არსად — ჩაკეტილ წრეში,
თქვენს სახელზე კი იასამანი
ამოიცრემლა აპრილის თქეშში.
...თქვენ ხომ დალეწეთ მძიმე ხუნდები
და აქ არასდროს არ დაბრუნდებით.

* * *

სახადივით მოვიხადე სიყვარული,
სახადივით მოვიხადე ცხოვრება —
არც ვიწონებ, არც ვიწუნებ, რაც რომ იყო,
მხოლოდ მემახსოვრება.
კვალი? კვალი, იცოცხლე-თქო, დამამჩნია,
რაც ყველაზე დიდ სახსოვრად ჩავთვალე:
ნაოჭების აბლაბუდა სახეზე და
დამსხვრეული ვარდისფერი სათვალე.

* * *

რა იოლია კონკიობა, როდესაც იცი,
რომ ახლოსაა ბრწყინვალე პრინცი —
რაშს მოაგელვებს, პაწია ქოშს მოგაზომებს და
ღრჯუ, გულბოროტი დედინაცვლის
ხელიდან გიხსნის —
რა იოლია კონკიობა, როცა ეს იცი,
ვაი მას,
ვისაც დედინაცვლად ქცევია დედა
და სასწაულზე ფიქრსაც ვერ ბედავს,
ვისაც კეთილი ფერია ვერ მოევლინება,
ლამაზი კაბაც
რჩება მხოლოდ დანაპირებად
და პრინცსაც, აბა, ამ ქალაქში რა ესაქმება,
ვაი, მას,
ვისაც ამ ამ ზღაპრის გზა დაეკარგება!
...კონკიავ, ჩემო, არ იცვლები, ჩვენ კი ვბერდებით,
არ გვანებივრებს რეალობა „ჰეფი-ენდებით“.

სახლობანა

მე აღარ ვითვლი დღეებს უშენოს,
რადგან შენთანაც ვიყავ უშენოდ.
ახლა არ მითხრა, — ღრუბლებს ახედე,
ისევ საწვიმრად მოიღუშნენო.
ახლა არ მითხრა, რომ დავიკარგე,
რომ ისევ წვიმის კუნძულზე ჩავრჩი,
აქ მირჩევნია — აქ სუნთქავს სიტყვა,
დროც რაინდია და არა ჩარჩი.
აღარ ვიკითხავ, რა ამინდია,
არც ჭორის ვარცლში არ გავცრი წუთებს,
ნუ შემახსენებ ნეკერჩხლის ხეებს,
ეს შემოდგომა ცეცხლს რომ შეუნთებს;
ნუ შემახსენებ ძველ კინოკადრებს,
შავ-თეთრი ფილმი დასრულდეს უნდა,
ჩვენ სახლობანა წავითამაშეთ,
თუმცა თამაშზე მეტი რამ გვსურდა —
ახლა პატარა ჩიტი ნიბლია
მიმზერს უიღბლოს (თანაც იღბლიანს)
და აღარ ვითვლი დღეებს უშენოს,
რადგან შენთანაც ვიყავ უშენოდ.

ვაანონსებ...
არაკეთილმოსურნეებს

ნაფაზიდან ნაფაზამდე,
პროფილიდან ანფასამდე,
იმ ტრასიდან ამ ტრასამდე,
იმ შანსიდან ამ შანსამდე
დიდი გზა მაქვს გასავლელი,
მძიმე გზა მაქვს გასავლელი,
ნეტავი, არ დამთარსავდე!
ნეტავი, არ დამთარსავდე!
...ოქროს თევზის დასაჭერად
საჭიროა გაშლა ბადის —
გავშალე და ლიფსიტები
მოყვა მხოლოდ — დრო კი გადის.
კიდევ ვცადე, ბევრჯერ ვცადე,
(არ ვნებდები იღბალს მაინც),
დაიძენძა ჩემი ბადე,
ოქროს თევზის არ ჩანს კვალიც.
ახლა ანკესს გადავუგდებ,
შენ კი ქირქილს არ წყვეტ, არა,
— ის რა ოქროს თევზიაო,
თუ აცდუნებს სატყუარა.
ვერასოდეს დაიჭერო,
აღარ უნდა დაიჯერო?!
და შენი ხმა, საზარელი,
ყველგან მწვდება, ნატვრა ქრება,
შენი თვალი, ავი თვალი,
მუდამ გზაზე მეღობება.
იქნებ მითხრა, რა შეგცოდე,
ასე რატომ მემტერები,
შენც მოგელის განკითხვის დღე,
ცას ვერ გამოეკერები.
მე ის მაინც მანუგეშებს
(და ნუგეში გახლავს ტკბილი),
რომ არასდროს არ ვყოფილვარ
სიძულვილით შეპყრობილი —
შენ არ გგავარ და მადლობა
ამისათვის ღვთიურ ძალებს,
რომ ეს მაინც ამარიდეს
უიღბლობით განაწამებს.
მე არ გავბოროტებულვარ,
შენ კი ათრევ ბოღმის გუდებს —
რაც შენ გშხამავს, ის ჩემ გულში
ვერასოდეს დაიბუდებს!
ჰოდა, აი, ვაანონსებ:
ასე ვივლი ბოლო გზამდე,
ნაფაზიდან ნაფაზამდე,
პროფილიდან ანფასამდე...

დასაწყისი N341-342

პაატა ნაცვლიშვილი

ჟორჟეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად

* * *

მერე ის იყო, გიორგი ნიკოლაძე ჩავიდა პარიზში.

ჟორჟეტა მაშინ უკვე ვია რივოლიზე მდებარე ცნობილ მაღაზია-ბიბლიოთეკა „გალინიანი“-ში მუშაობდა მდივნად, ნებისმიერ წიგნზე მიუწვდებოდა ხელი და უამრავ მწერალს ხვდებოდა, რომელთა შორის რედიარდ კიპლინგი და ჯეიმზ ჯოისიც ყოფილან:

: მომწონდა ჩემი საქმიანობა გალინანში (ასე წერს ჟორჟეტა — პ.ნ.), საინტერესო იყო. ყველა სასურველ წიგნზე ხელი მიმიწვდებოდა, ჟურნალ-გაზეთებს ვეცნობოდი. იქ უამრავ მწერალს ვხვდებოდი, მათ შორის იყვნენ კიპლინგი, ჯეიმზ ჯოისი, ფრენკ პარისი და სხვები. სამეფო გვარის წარმომადგენლებიც მოდიოდნენ — მეფე ფრედერიკი და მარია რუმინეთიდან, ესპანეთის მეფე ალფონსი და მისი მცირეწლოვანი შვილები, პრინცი ნიკოლოზი და ბევრი სხვა. ყველა მესაუბრებოდა, წასაკითხი წიგნის შერჩევაში მთხოვდნენ დახმარებას. ეს არ გახლდათ ჩემი მოვალეობა, მაგრამ სიამოვნებით ვუსრულებდი თხოვნას. ასე მეგონა, ვერასდროს მივატოვებდი ამ საქმიანობას, რადგან ეს სწორედ საჩემო საქმე იყო, ყველა წვრილმანი მახალისებდა. ამავე დროს სორბონის უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი, საღამოს საათებში დავდიოდი, თუმცა ბოლოს ისე გადავიქანცე, იძულებული შევიქენი თავი დამენებებინა. :

გიორგი ნიკოლაძესთან პარიზულ შეხვედრას კი ჟორჟეტა ღამბაშიძე ასე იხსენებს:

: 1926 წლის ერთ დღეს ჩვენი ოჯახის მეგობარი, ბ-ნი გიორგი ნიკოლაძე საქართველოდან პარიზში ჩამოვიდა, სორბონაში, უმაღლეს მათემატიკაში ხარისხის დასაცავად. სანკტ-პეტერბურგის კურსდამთავრებული, თბილისში ცნობილი მათემატიკოსი და მეტალურგი გახლდათ... ხუთი წლის ასაკიდან ვიცნობდი, ჩემი ოცნების გმირი იყო. როდესაც პატარა ცემში ჩვენთან, სანატორიუმში ჩამოდიოდა, მე და ჩემი მეგობარი გვერდიდან არ ვცილდებოდით. მაშინ სტუდენტი იყო და ოქროსფერღილებიანი მოხდენილი ფორმა ეცვა. ერთხელ ვთხოვეთ, ორი ღილი მოგვეცითო, მოგვცა. გავაპრიალეთ, პატარა კოლოფში ჩავდეთ, ბამბაც ჩავატანეთ და სასოებით ვინახავდით. აქამდე მქონდა შემონახული მისი ფოტო, მუხლებზე ჩემი მეგობარი უზის, მგონი, უკვე დავხიე. მოგვიანებით, 14 წლისა, თბილისის ფიზკულტურული საზოგადოების წევრი გავხდი, სადაც ინსტრუქტორად მუშაობდა. მისით აღტაცება არ გამნელებია. ერთხანს, კვირის ბოლო დღეებში, მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი ფიზკულტურული ტერმინოლოგიის ქართული ლექსიკონის შედგენაში ვეხმარებოდით. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო, თუმცა სიამოვნებით ვასრულებდით, რადგან ყველას ძალიან გვიყვარდა... :

მერე ის იყო, გიორგისა და ჟორჟეტას შორის ეპისტოლარული რომანი გამოინასკვა და ერთ მშვენიერ დღეს გიორგიმ ჟორჟეტას ცოლობა სთხოვა... თანხმობამაც არ დააყოვნა.

საქორწინო მოგზაურობაში გიორგი და ჟორჟეტა ველოსიპედებით წასულან. „ველოსიპედი“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად იმ პერიოდში „გორიას“ ეძახდნენ. თავის დროზე გიორგი ნიკოლაძის დამ, რუსუდან ნიკოლაძემ მაჩვენა ჟორჟეტას მიერ უამრავი ფოტოთი თუ ღია ბარათით ლამაზად გაფორმებული ალბომი მისივე ტექსტით, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ჩვენი მოგზაურობა გორიებით ნუარმუტიედან პარიზამდე“. მდინარე ლუარის შესართავთან მდებარე კუნძული და ქალაქი ნუარმუტიე ველოსპორტის პატარა ცენტრია. აქ ყოველწლიურად ტარდება ლოკალური ველორბოლები და ერთხელ თუ ორჯერ ტურდეფრანსის ეტაპიც გამართულა. მშვენიერი ქართულით დაწერილი თავისი შთაბეჭდილებები ჟორჟეტას თავად გადაუწერია ალბომში კიდევ უფრო მშვენიერი კალიგრაფიით. ნიკოლაძეთა არქივში, რომელიც დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული, არის სხვა ალბომებიც, სადაც ჟორჟეტას მისი და გიორგის მოგზაურობები აღუწერია საფრანგეთსა თუ იტალიაში.

საბჭოთა საელჩო დიდხანს არ აძლევდა ემიგრანტის შვილს ვიზას, რომ ის მეუღლესთან ერთად დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ჟორჟეტა ღამბაშიძე სამსახურში

აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი ჟორჟეტა ღამბაშიძის მოგონებიდან:

: საბჭოთა საელჩო არ მომცემდა ვიზას გიორგისთან ერთად საქართველოში დასაბრუნებლად, თუ არ დავწერდი აღიარებით განცხადებას რომ თითქოსდა მივხვდი საბჭოთა რეჟიმის სიკეთეს, რომ მამაჩემმა არასწორად აღმზარდა და მას სრულიად არ ვეთანხმებოდი, რომ ის დეზერტირი, ბურჟუა, საბჭოთა კავშირის მტერი იყო და ამიტომაც აღარ მინდოდა, მასთან რაიმე საერთო მქონოდა. ამის დამწერი არ ვიყავი. კინაღამ დავსნეულდი. რომ არა მამის დაჟინებული თხოვნა, ვერც შევძლებდი ამის დაწერას. მერე გაირკვა, რომ ეს ჯერ კიდევ არ კმაროდა. მოსკოვმა უარი განაცხადა ვიზის მოცემაზე... საბოლოოდ გიორგის დის წყალობით, რომელიც მოსკოვში ჩემი ხათრით ჩავიდა, ვიზა მივიღე. 1928 წლის ოქტომბერში მარსელიდან გავემგზავრეთ. :

გიორგის უფროსი და — რუსუდან ნიკოლაძე თავის დროზე აქტიურად იყო ჩართული რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, პირადად იცნობდა ლენინს, ის კი არა, ერთხანს მისი მდივანიც ყოფილა და, ბუნებრივია, მოსკოვის მმართველ წრეებში საჭირო ადამიანის მოძებნა არ გაუჭირდებოდა. ან იქნებ გაუჭირდა კიდეც, მაგრამ თავისი საფიცარი ძმისთვის მოყვარული და რას არ გააკეთებდა!

: ზღვა მარსელიდან კონსტანტინოპოლამდე (ახლანდელი სტამბოლი) მშვიდი იყო, ვისიამოვნეთ გემის მგზავრობით. ერთი დღე გავჩერდით და ბათუმისკენ გავემგზავრეთ. ერთგვარი გაუცხოვების გრძნობა ამეკვიატა — კომუნისტების ბატონობის დროინდელ საქართველოში ვბრუნდებოდი! ბათუმში ჩემი მული, თამარ ნიკოლაძე, თავის მათემატიკოს ქმართან, ნიკო მუსხელიშვილთან, მეგობრებისა და ნათესავების დიდ გუნდთან ერთად დაგვხვდა. ჩემი ქმრის ოჯახმა დიდი წვეულება გამართა. ჩემი მშობლების უამრავი მეგობარი ვინახულე, უჩვეულო პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, ყველა ნირწამხდარი, დაბეჩავებული იყო. თბილისში ვეებერთელა სახლში ვცხოვრობდით, კლუბივით იყო: ჩემი დედამთილი, ორი მული — თამარა და რუსა — ქმრებით და თითო-თითო ვაჟით — გურამით და ნიკით. უკიდურესი გაჭირვება სუფევდა ირგვლივ, ხალხი გასაცოდავებული, დაღვრემილი მეჩვენა, ღარიბულად ეცვათ, მთლად ხალისდაკარგული იყო გარემო. ძალზე დავღონდი, ოღონდ ვცდილობდი, გიორგის არ შეემჩნია, როგორი სხვაობაა პარიზსა და აქაურობას შორის, ვფიქრობდი, მაგრამ გიორგისთან ერთად ვიყავი და მჯეროდა, მის გვერდით ყველაფერს ავიტანდი. ერთი აზრი არ მშორდებოდა: კიდევ რამდენ ხანს იბოგინებენ კომუნისტები? გიორგის და მის სიძეს, ნიკო მუსხელიშვილს, როგორც მათემატიკოსებს, სხვებთან შედარებით მეტი პატივით ექცეოდნენ, მეტი ხელფასი ეძლეოდათ. საერთო სასადილო ანუ სადარბაზო ოთახი გვქონდა, დიდი ბუხრით. იქ ჭამის დროს ანდა სალაპარაკოდ ვიკრიბებოდით. ისე კი თითოეულ ოჯახს თითო ოთახი გვქონდა. საბედნიეროდ, ეს ოთახები ისეთი დიდი იყო, საწოლ ოთახად, სასტუმროდ და სამუშაო კაბინეტად ვიყენებდით. ხალისიანად ვცხოვრობდით, მიუხედავად ამისა, უფრო და უფრო ვუფრთხოდით კომუნისტებს. კვირაში ერთხელ ოპერაში, თეატრსა ან კინოში დავდიოდით. ზოგჯერ კვირის ბოლოს მე და გიორგი ამხანაგებთან ერთად მთებში მივდიოდით და იქ პიკნიკებს ვაწყობდით, უძველეს ტაძრებს ვათვალიერებდით. კვირაში ორჯერ სავარჯიშოდაც დავდიოდით. ირგვლივ კი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. :

ღამბაშიძეთა ოჯახი და მათი პირველი სიძე გიორგი ნიკოლაძე (მარცხნივ)

შემდეგ იყო ნიკოლაძეთა დიდ ოჯახში გატარებული სამი წელი, რომლებსაც ნიკოლაძეთა რძალი ტკბილ-მწარე განცდებით იხსენებდა. ჟორჟეტა საქართველოში ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს განსაკუთრებული ემოციურობით აღწერს:

: უმაღლეს სასწავლებლებში „წმენდა“ დაიწყო, გიორგიც საგულდაგულოდ დაიკითხა და პატრიოტული სულისკვეთებისთვის გაკიცხეს. ერთ ღამეს ძალზე ცუდი რამ მესიზმრა. ვითომ „გპუ“-ში დამიბარეს. იქ რომ მივედი, სარდაფში ჩამაგდეს. პაწია სარკმლიდან გიორგის სახე დავინახე, მე მიყურებდა. ვემუდარებოდი, რესპუბლიკის მეთაურთან მიდი, აქედან დამიხსენი-მეთქი. მეორე დღეს, სადილობის დროს ჩემი უცნაური სიზმრის ამბავი ყველას მოვუყევი. ის იყო, მოყოლა დავამთავრე, კარზე ზარი გაისმა, ოთახში ჩეკისტი შემოვიდა, ფურცელი გადმომცა, სადაც ეწერა, რომ მეორე დღეს, დილის 11 საათზე მათ სამსახურში უნდა გამოვცხადებულიყავი. თავზარი დაგვეცა. იმ ღამეს არცერთს თვალი არ მოგვიხუჭავს და ვარჩევდით, როგორ მეპასუხა ამა თუ იმ შეკითხვაზე. „გპუ“-ს სამმართველოში მეორე დღეს გიორგი წამყვა. მანამდე რესპუბლიკის მეთაურთან იყო, ჩემს დაკითხვაზე დასწრების ნება სთხოვა. ამ უფლების მისაღებად მეთაური ბერიას დაუკავშირდა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. გიორგიმ კარამდე მიმაცილა და იქვე დამელოდა. ნეტავ თუ კიდევ ვნახავ-მეთქი, გავიფიქრე. რამდენჯერ გვქონდა გაგონილი, დაკითხვაზე მოსული ხალხი მერე აღარავის უნახავსო. გიორგის საქორწინო ბეჭედი და დედის ნაჩუქარი მძივი ჩავაბარე. სასონარკვეთილმა კიბე ავიარე. პატარა ოთახში შემიყვანეს, ორი რუსი ახალგაზრდა იჯდა. მაგიდის ქვეშ უზარმაზარ ელზასელ ნაგაზს ეძინა. მახსოვს, ამ ძაღლის დანახვამ მაინცდამაინც არ დამაფრთხო, იმ ორ ახალგაზრდა კაცზე უფრო კაცთმოყვარე მეჩვენა. მკითხეს, თარჯიმანი თუ გჭირდებაო. არა, უთარჯიმნოდაც იოლად წავალ-მეთქი. უამრავს მეკითხებოდნენ, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ბაბუაზე, მამაზე, ბიძაზე, ბიძაშვილებზე, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მშობლებთან გაგზავნილ ჩემს წერილზე ალაპარაკდნენ. გამაფრთხილეს, რომ ჩემს ყველა წერილს კითხულობდნენ, და თითოეული სიტყვა უნდა ამეწონ-დამეწონა, ასე ხშირად კი არა, იშვიათად უნდა მეწერა. სხვა რაღაცებთან ერთად იმის გაგებაც უნდოდათ, მამას თუ ჰქონდა რაიმე კავშირი რომელიმე ნათესავთან. ეს თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ-მეთქი, ვუპასუხე. ამ სიტყვებზე ერთი ძალზე გაცხარდა და: ენა გააჩერეო, მითხრა. გავჩუმდი, ველოდი, რას მეტყოდნენ. ჩემდა გასაოცრად, მითხრეს, წადიო. ოდნავ მოვეშვი, მაგრამ ეს შემთხვევა ჩემთვის მძიმე დარტყმა იყო. უძილობა დამჩემდა, ტელეფონის ყოველი დარეკვა ან ზარი კარზე გულს მიხეთქავდა. დაუცველობის განცდა გამიჩნდა. ერთხანს მე და გიორგი იმასაც კი ვფიქრობდით, მოდი, ვსინჯოთ, თურქეთის გავლით თავი დავაღწიოთ აქაურობასო. ვიღაცები გაქცეულან თურმე მწყემსების დახმარებით, კარგი გასამრჯელოს ფასად. თუმცა ეს სახიფათო ჩანაფიქრი იყო. მესაზღვრეების შიშით მთებში სიარული მხოლოდ ღამღამობით თუ იქნებოდა შესაძლებელი. იქნებ აჯობებდა, ცოტა მოგვეთმინა, შესაძლოა საქმე უარესობისკენ არ წასულიყო, ხნიერი დედის მიტოვებაც უმძიმდა გიორგის. :

იმ პერიოდში გიორგი ნიკოლაძე საქართველოდან წასვლაზე ნაკლებად ფიქრობდა, მოგზაურობით კი ბევრს მოგზაურობდა, კვლავაც დადიოდა საქართველოს მთასა თუ ბარში, ერთი-ორჯერ მივლინებაშიც იყო მოსკოვში. ჟორჟეტაც წაიყვანა:

: რამდენჯერმე მოსკოვშიც გავემგზავრეთ. ერთხელ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე მოვხვდით, სადაც მსოფლიოში ცნობილ მათემატიკოსთა დიდი

თავყრილობა იყო. კრემლში ბანკეტი გაიმართა. მეორე წელს ნიადაგმცოდნეობის კონგრესზე დასასწრებად პარიზიდან გიორგის ბიძაშვილი, ელიკო და მისი ქმარი, ალბერტ დემოლონი ჩამოვიდნენ. ელისომ დაწვრილებით მომიყვა ჩემი მშობლების პარიზულ ცხოვრებაზე. მთელს რუსეთში საგანგებო მატარებლით ვიმოგზაურეთ, დროდადრო ვჩერდებოდით და მეცნიერები ადგილზე სწავლობდნენ იქაურ ნიადაგს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ძალზე საინტერესო ხალხი გავიცანით. უზომოდ მწველი ზაფხული იდგა, გაუსაძლისი სიცხე გვაწუხებდა მატარებელში, ზოგჯერ ვაჩერებდით და სუფთა ჰაერზე გამოვდიოდით, თუმცა გარეთაც ისეთივე ხვატი იდგა. სტეპებში რომ მოვდიოდით, მცირეოდენი ჩრდილიც კი სანთლით საძებარი იყო. მერე გემით ვოლგაზე გავისეირნეთ. გემზე რამდენიმე დღე დავყავით. სასიამოვნო გახლდათ ეს მოგზაურობა. ჩვენ, როგორც დიპლომატებს, ისე გვექცეოდნენ, საუკეთესო მომსახურებით გვანებივრებდნენ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ კომუნისტურ რუსეთში ვიმყოფებოდით. კონგრესი მთელ თვეს გაგრძელდა. თბილისში დემოლონებთან ერთად დავბრუნდით, ერთ კვირას დარჩნენ ჩვენთან. ბევრს ვმსჯელობდით, რა გზას დავდგომოდით, რომ ჩემი მშობლების მოსანახულებლად მათთან ერთად ერთი თვით წავსულიყავი. ელიკო ჩვენი რესპუბლიკის მაშინდელი მეთაურის დიდი მეგობარი იყო და მივიდა მასთან, პარიზში წასასვლელად ჩემი ვიზის საკითხი რომ მოეგვარებინა. მეთაური ელიკოს დაჰპირდა, საამისოდ ყველაფერს ვიღონებო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ შეატყობინა, ბერიას ველაპარაკე და სასტიკი უარი მითხრაო. ასეთი იყო ამ გეგმის დასასრული. მანამდე არც გვქონდა არავითარი იმედი რაიმე სიკეთისა. ისინი ბათუმამდე გავაცილეთ, ფრანგულ გემზეც კი აგვიშვეს, რომელიც ორიოდე საათში პორტიდან უნდა გასულიყო. „გპუ“-დან კაცი გვყავდა მოჩენილი, გვითვალთვალებდა, გადმოვიდოდით თუ არა გემიდან. უცნაური შეგრძნება მქონდა: ფრანგულ გემზე ვიდექით, თუმცა საფრანგეთში წასვლის უფლება არ გაგვაჩნდა. რა კარგი იქნებოდა, ორივე რომ წავსულიყავით! თბილისში სავსე, საინტერესო ცხოვრების მიუხედავად, შფოთიანი, მღელვარე სულიერი ყოფა ერთთავად თან გვდევდა. უმიზეზოდ იხვრიტებოდნენ ჩვენი მეგობრები, გამოჩენილი ადამიანები. ვაი, თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც მოგვადგნენ! :

ჟორჟეტას გამუდმებით თან სდევდა ამგვარი განგაშის განცდა. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რა მძიმე განსაცდელს უმზადებდა ბედი. თანაც არაერთს.

: ხშირად ვსტუმრობდი ჩემი მშობლების მეგობრებს. მათ გამათხოვრებულ, გაუბედურებულ ყოფაში ხილვა გულს მიღონებდა და მტანჯავდა. ჩამოართვეს სარჩო-საბადებელი, ადგილმამული, სახლები, თითო-ოროლა ოთახი დაუტოვეს და ხმელა პურის ამარა იყვნენ დარჩენილები. მცირეოდენ შვებას მგვრიდა მათთვის საკვების, ტანსაცმლის მიტანა, ზოგჯერ ფინანსური დახმარებაც, მაგრამ ეს მწირი ხელის გამართვა რა მოსატანი იყო მათ მამულებში კვირაობით გატარებულ უმშვენიერეს დროსთან, ღია ცის ქვეშ ზვრებში გატარებულ ნეტარებით სავსე ბავშვობის უბედნიერეს დღეებთან. ერთხელ ბავშვებისათვის განკუთვნილ, მამის აშენებული სანატორიუმის მოსანახულებლად წავედით. ზამთარი იყო, შენობა დაკეტილი დაგვხვდა, დარაჯს შევხვდით მხოლოდ. სანატორიუმი ბავშვებს აღარ ემსახურებოდა, მხოლოდ ტუბერკულოზით დასნეულებულებს იღებდნენ. დარაჯთან ერთად ის ადგილები მოვიარე. გული მეტკინა, სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას. იქ წასვლა მეტად აღარასდროს მომდომებია. როგორ ამიფორიაქა სული ბედნიერმა მოგონებებმა: აქ ყოველწლიურად 150 ბავშვი ორი თვით სტუმრობდა, სანატორიუმის ირგვლივ გაშენებულ ლამაზ პატარა ბაღებში მწერლები ისვენებდნენ, მამა მათ სთხოვდა ბავშვებისთვის რაიმე დაეწერათ. მაშინ ისინი ჩემთვის ზღაპრებიდან გადმოსული ადამიანები იყვნენ, ფეხაკრეფით მივუახლოვდებოდი ხოლმე მათ სახლებს, ვერ ვბედავდი მათთან მიახლოებას და დალაპარაკებას. იქ შეთხზულ მოთხრობებსა და ლექსებს საგანგებოდ აკინძულ წიგნში ათავსებდნენ. ეს წიგნი მამამ პარიზში ჩამოიტანა და სიცოცხლის ბოლო დღემდე სათუთად ინახავდა. :

მერე პარიზიდან თავზარდამცემი ამბავი მოვიდა:

: ერთ დღეს მამისაგან წერილი მივიღე, რომელშიც მატყობინებდა, შენმა ძმამ თავი მოიკლაო. წინა წერილში თითქოს მამზადებდა ამ მძიმე დარტყმისთვის, მწერდა, მხოლოდ დაიჭრაო. ელდა ისეთი ძლიერი იყო, ხმა დავკარგე, მწუხარებამ ერთიანად დამთრგუნა. 28 წლისა იყო. საბრალო დედა თვალწინ მედგა — როგორ უნდა გადაეტანა ეს უბედურება, როგორ არ ვიყავი იმ დროს მის გვერდით! ლტოლვილის ცხოვრებას ვერ შეურიგდა, სამშობლოს მონატრება ახრჩობდა. საბჭოთა საპატიმროში ექვსი თვე დაჰყო. მამას არ დაუჯერა და 1925 წელს ისევ დაბრუნდა საქართველოში, სადაც მყისვე ციხეში გამომამწყვდიეს. როცა გამოუშვეს, მეგობართან ერთად თურქეთში გაიქცა, მაგრამ საზღვარზე შეიპყრეს. დეპეშა მიიღეს, მესაზღვრეები უკან თბილისში მგზავნიან, მამამ მიშველოს რამეო. მამა თურქეთის პრემიერ-მინისტრს, ენვერ ფაშას იცნობდა და დეპეშით დაუკავშირდა. მისმა ჩარევამ გაჭრა, ჩემი ძმა გამოუშვეს პარიზში (კომუნისტებსა და თურქეთს შორის არსებული შეთანხმების თანახმად, საზღვრის დამრღვევი დაუყოვნებლივ საქართველოში, დამსჯელ რაზმთან იგზავნებოდა). პარიზში რომ ჩამოვიდა, ჩემი ძმა ვეღარ ვიცანით, სულ სხვა ადამიანი დავინახეთ — დადუმებული, განადგურებული. ბუნებით მხიარული იყო, დროდადრო გვეჩვენებოდა, მისთვის ჩვეული ხალისი უბრუნდებაო, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. და აი, უკვე ჩემი თბილისში ყოფნისას, ერთ ღამეს მამასთან პოლიციელი მივიდა და აცნობა, რომ ჩვენი სახლის შორიახლოს გივი კაფესთან მიწაზე დაცემული ნახეს, პირში გაჩრილი ტყვიით. ამ ტრაგედიამ საბოლოოდ გატეხა დედა, თუმცა ხშირად მწერდა, მანუგეშებდა, თქვენთვის უნდა ვიცოცხლო, ჩემზე ნუ იდარდებთო, მაგრამ თვეები თვეებს მისდევდა, მე კი მიჭირდა ჩვეულ ცხოვრებას დავბრუნებოდი. ვერ ვურიგდებოდი ხალხის ამგვარ ყოფას, იმ აზრს, რომ ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს, გივი ხომ ჯანღონით სავსე, სიცოცხლის მოყვარული იყო, ვიდრე ციხის ჯოჯოხეთურ გარემოში მოხვდებოდა და დახვრეტის ყოველწუთიერ შიშს იგემებდა. ჩემი ძმა იმ შემზარავი კომუნისტური სისტემის უდანაშაულო მსხვერპლი გახლდათ, სისტემის, რომელმაც ყოველი ჩვენგანი მშობლიური ფესვებიდან ამოძირკვა, განგვძარცვა ყველაფრისგან, რაც კი გვებადა, რაც ჩვენთვის ყველაზე სანუკვარი, უძვირფასესი იყო. გიორგი ისე მიყვარდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, იმ რეჟიმს მივუბრუნდი — სად არ წავიდოდი მისი ხათრით! თუმცა ერთად ყოფნის ბედნიერი წუთები ამ გარეშე მიზეზებით ბევრჯერ ჩაგვშხამებია. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავდით, რომ ეს რეჟიმი დიდხანს ვერ გასტანდა, და თუ საშველი არ დაადგებოდა და მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდებოდა, ქვეყნიდან წავიდოდით. ყველა ჩვენგანს ქვეყნის სიყვარული ძვალსა და რბილში გვქონდა გამჯდარი, ოღონდ ჩვენ, ლტოლვილებს, მიგვაჩნდა, რომ ჩვენი არსებობა კომუნისტური ბატონობის პირობებში გაუსაძლისი და სახიფათო იყო. გიორგისა და სხვა მრავალი ქართველის აზრით კი, ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით ჩვენს ქვეყანაში, ყოველი ღონე გვეხმარა ქართული კულტურის შემორჩენილი ნაშთების გადასარჩენად და არ უნდა მიგვეტოვებინა ჩვენი სამშობლო ჩასაძირად განწირული გემივით. ასე ფიქრობდა ბევრი სახელოვანი, უნიჭიერესი და გამორჩეული პიროვნება — მხატვრები, მწერლები, მეცნიერები, სხვა პროფესიის განსწავლული ადამიანები — საქართველოში. ამგვარი შეხედულების საზღაური მრავალმა მათგანმა საკუთარი სიცოცხლით გაიღო, კიდევ მეტნი გადაასახლეს. დრო გადიოდა, სულ უფრო მეტი ცნობილი ადამიანი ისჯებოდა სიკვდილით, სულ უფრო მტკიცდებოდა ჩემში რწმენა, რომ ჩვენი ოჯახი საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ბერიას შავ სიაში უსათუოდ აღმოჩნდებოდა, [მაგრამ] გიორგის და მის ოჯახს — დებს და მათ ქმრებს — ხელს არ ახლებდნენ, რადგანაც, ყველა მათგანის სამეცნიერო მოღვაწეობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ სჭირდებოდათ. :

ჟორჟეტას ალღომ არ უღალატა — შავ სიაში, რასაკვირველია, იყვნენ, მაგრამ გიორგის ოჯახის წევრებისთვის ხელი მართლაც არ უხლიათ. თუმცა ეს იქნებ გიორგის ნაადრევი სიკვდილის დამსახურებაც იყო; ისევ ჟორჟეტას მოგონება:

: ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწეოდა გიორგის, რომ ეცოცხლა. მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1936 წელს, მეცნიერების, პროფესორთა მკვლელობების ახალი ტალღა აგორდა. დაიხვრიტა გიორგის ორი ბიძაშვილი და უამრავი მეგობარი. 1929-1931 წლებში გიორგი სხვადასხვა შენადნობზე დღედაღამ ცდებს ატარებდა. ზოგჯერ მეც მივყვებოდი და უახლესი გერმანული ფოტოაპარატით ქარხნებს, ღუმელებს ფოტოებს ვუღებდით. ამ დიდძალი ფოტოს გამჟღავნებითა და გადიდებით ვიყავით დაკავებულნი საათობით კვირის ბოლო დღეებში, რადგან სხვა დროს გიორგი ძალზე დაკავებული იყო. ამასთან, უამრავ სამეცნიერო ნაშრომს ვბეჭდავდი გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ყოველივე ეს ოდნავ მაინც მეხმარებოდა მცირედით მოვწყვეტოდი სინამდვილეს, როდესაც ყოველდღიურად ამდენი ახლობლისა და ნათესავის გამაოგნებელ მკვლელობათა შემზარავი ამბები გვესმოდა. :

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟორჟეტა ქორწილის წინ

გიორგი ნიკოლაძისა და ჟორჟეტა ღამბაშიძის ქორწილი



ფოტოები ვახტანგ ღამბაშიძისა



კოკა წულაია

საპნის ბუშტი

არის ასეთი გამოთქმა — ყურებამდე შეყვარებული. ზუსტად ამ მდგომარეობაშია ჩვენი რეზიკო. უმშვენიერესი გოგო ჩაუვარდა გულში. შემთხვევითი ნაცნობობა ჩვენს ბიჭს უდიდეს მიჯაჭვულობად ექცა. ყოველდღე თუ არ ნახა ლიკა, ის დღე მისთვის თითქოს არც ყოფილა. უნივერსიტეტის პირველ კორპუსს უახლოვდება, გულისცემა ემატება — სატრფოს სიახლოვეს მუდამ განცდებშია. ფეხზე ლურჯი სპორტული ფეხსაცმელი, ასევე ლურჯი, ოღონდ მუქი, ჯინსის შარვალი და მოკლესახელოებიანი მაისური აცვია. დაგვირგვინება — ღია მწვანე სათვალე. სრულ მზადყოფნაშია ლიკასთან შესახვედრად. ხოო, მართლა, ძმაკაცთან სახლში გაიარა სპეციალურად და ბრენდული სუნამო იპკურა. ლექციების დასრულებამდე ჯერ ადრეა. ამ დროს უცნობი ბიჭი მიდის მასთან და თავხედურად ეკითხება:

— შენ რეზიკო ხარ?

— გახლავართ, რით დავიმსახურე თქვენი ყურადღება?

— საქმე გვაქვს ბიჭებს შენთან და, აი, აქეთ, სკვერისკენ, ხომ ვერ წამოხვალ?

ჩვენი ბიჭი უნივერსიტეტის სკვერისკენ იხედება და ორ ნაცნობ სახეს ამჩნევს, ერთს „სიფათი“ კარგად აქვს მინგრეული. ეგრევე რამდენიმე დღის წინანდელი შემთხვევა ახსენდება, ეცინება. ეს ყველაფერი წამებში ხდება.

— ხუთი წუთი მაცადე და მოვალ. ნუ გეშინია, არსად წავალ, სულ ბიჭების ბატალიონი რომ დამაყენო, აქედან ვერსად გამაგდებ! — უღრენს და ქუჩას ჭრის. ახლობელს აფთიაქი აქვს უნივერსიტეტის მოპირდაპირედ. ტოვებს სათვალეს, ნათლობის ჯაჭვს და ჯვარს, შემდეგ მარჯვენა ხელით შარვლის ჯიბეში გასახსნელ დანას სინჯავს და საკმაოდ თავდაჯერებული მიემართება სკვერისკენ, სადაც, სავარაუდოდ, რამდენიმე გაბრაზებული ვაჟბატონი უცდის.

რა მოხდა რამდენიმე დღის წინ?

რეზიკო ლიკასთან ერთად დგას და მის ზურმუხტისფერ თვალებს უყურებს, თითქოს უნდა ჩასახლდეს მათში. ამ დროს ჩვენი ბიჭისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს ვიღაც უკნიდან ეპარება და ზურგზე თითებით ეხება, ლიკა მოულოდნელობისგან შეხტება. შემცბარი გოგო ტრიალდება და თავის ნაცნობს აღმოაჩენს, რომელიც იცინის. მეგობრული საყვედურის შემდეგ გადაკოცნის და ვითომ არც არაფერი მომხდარა, აგრძელებს საუბარს უზრდელთან. რეზიკოს ცეცხლი ეკიდება მთელ სხეულზე, სახეზე წითლდება, მაგრამ ხმას არ იღებს. მომენტს ელოდება, რომ ეს ნაცნობი ნორმის ფარგლებში დატუქსოს. მიუხედავად იმისა, რომ გადარეულია — ღმერთი, რჯული — დაიფიცებს, ცემას არ აპირებს! შესაფერის დროს ცალკე გაჰყავს დაუპატიჟებელი სტუმარი:

— სადაური წესია, თავმოყვარე კაცის თვალწინ მის შეყვარებულს რომ ახტუნავებ? ზრდილობა არ უსწავლებიათ შენთვის, ბიჭო?

— რა მოხდა, როო? ლიკა ჩემი მეგობარია და როგორც მინდა, ისე მოვექცევი, — იყო პასუხი.

— ანუ, შენ გგონია, კარგად მოიქეცი, არა? წამო, ერთი ცოტა გვერდით გავიდეთ, ორ სიტყვას გეტყვი, — წონითი კატეგორიები სრულიად შეუსაბამოა. ორთაბრძოლის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია. გვერდით გასვლა და დაუნდობელი ცემა-ტყეპა ერთდროულად ხდება. რამდენიმე წამში დასისხლიანებული უზრდელი ცალი ხელით კედელზე ჰყავს მიყენებული რეზიკოს და მეორე ხელით რამდენჯერმე მუშტს ურტყამს სახეში, სისხლის წვეთები შხეფებად ცვივა, უცბად მორბის დაცვის თანამშრომელი, თან უყვირის ჩვენს ბიჭს:

— რას აკეთებ? რატომ კლავ ამ უბედურს?

— არაფერი განსაკუთრებული, ჩვენ უკვე დავასრულეთ, ვიკამათეთ და მოვრჩით, — ამბობს გამარჯვებული და ხელს უშვებს მსხვერპლს.

გასისხლიანებული და პერანგშემოხეული უზრდელი, რომელმაც ხელის მოქნევაც ვერ მოახერხა, ტირილნარევი ხმით ბღავის:

— შენ ნახე, თუ არ გაწყევლინო ის დღე, როცა გაჩნდი ამ ქვეყანაზე!

— ჩუუ, ბიჭო, ნუ მიჩალიჩებ დაჭერას.

— შენ ნახე, რა გიყო! — აგრძელებს.

— არც არავის გადაუღუნო, — პასუხობს რეზიკო.

გალახული სისხლს ცხვირსახოცით იწმენდს და შენობაში შერბის. რეზიკო კი, თითქოს არც არაფერი მომხდარა, ტრფობის ობიექტთან მიდის და აგრძელებს მასთან ყოფნით ტკბობას. უხარია, რომ ინციდენტის შესახებ არავინ გაიგო. მეორე დღეს ლიკას მეგობრისგან სატელეფონო ზარი შემოსდის. აღმოჩნდა, რომ ნაცემის ერთ-ერთი მეგობარი მის მისამართს ითხოვს. ხოო, ბიჭები ეძებენ. უფრო დაუნდობლად უნდა ეცემა, ჭკუა ვერ ასწავლა, ზრდილობის გაკვეთილმა ვერ გაჭრა. არა უშავს, რაღა აქეთ აძებნინოს, იქით მოინახულებს.

სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს რეზიკოს ერთი მეგობარი — ზურა. შექმნილი რეპუტაციის გამო ყველა სტუდენტს მისი რიდი აქვს. სწორედ მასთან მიდის ჩვენი ბიჭი.

— ალეკოს იცნობ, გიორგაძეს?

— კი, ჩემი ჯგუფელია, შენ რაში გჭირდება ეგ საწყალი?

— ჩემი დაზარალებულის ძმაკაცია, როგორც ვიცი. ამას წინათ შემომელახა და თურმე ქალაქში დადიან მისი მეგობრები და ჩემს მისამართს კითხულობენ. რატომ ვაძებნინო თავი, ჩვენ ვნახოთ და აგვიხსნან, რა უნდათ, — იცინის რეზიკო.

— რა პრობლემაა, ახლავე ჩამოგიყვან, ლექციაზე იქნება.

ზურა მალე ბრუნდება:

— ახლა ეს ვაჟბატონი ჩამოვა და დაელაპარაკე. უკვე ჩავუტარე პატარა გაკვეთილი, ბევრი რომ არ იტლიკინოს, მაგარი შეშინებულია. ერთ თხოვნა მაქვს, ბიჭო, ამას, მგონი, ეპილეფსია სჭირს და ხელი არ დაარტყა, რამე არ დაემართოს, სიტყვით კი, რაც გინდა, ის უთხარი. მეც აქ ვარ, მაგრამ ნახვის მერე შეიძლება ლაპარაკის ხალისი დაკარგო.

სულ რაღაც ათ წუთში მოდის ალეკოც, სახეზე ფერი არ ადევს და შესამჩნევად ცახცახებს.

— გისმენთ, ალეკო, თურმე მეძებთ ბიჭუნები, აგერ ვარ და მითხარი, რა გაქვთ სათქმელი, — სანაცვლოდ სრული სიჩუმეა.

— აქ მოცლილი არავინ არის, ამოღერღე, რაც უნდა თქვა და დავიშალეთ, — ბრაზობს ზურა.

— არაფერი ისეთი, — ალუღლუღდა შეშინებული.

— მაშინ ასეთი გვითხარი, ოღონდ დროზე.

— გვაინტერესებდა, ასე დაუნდობლად რატომ სცემე იკა?

— ჩემს თვალწინ ლიკას შეურაცხყოფა მიაყენა, შენიშვნაზე ტლიკინი დაიწყო და, აბა, რა ეგონა, თავზე ხელს გადავუსვამდი? მიიღო, რაც ეკუთვნოდა და შეირგოს, თორემ უარესიც შემიძლია. გავაგრძელოთ ბაზარი?

— არა, გაგრძელება არ გვინდა.

— არც მე მაქვს სურვილი, თქვენზე დროის ხარჯვის. თუ მეტი არაფერი გინდათ, მაშინ დავასრულოთ საუბარი და საქმეც დამთავრებულად ჩავთვალოთ. თანახმა ხარ?

— კი, რა თქმა უნდა, დავასრულოთ.

— შევთანხმდით, ბაზარი დამთავრებულია, — ეს იყო და მხოლოდ ეს. ამიტომაც რეზიკომ სულ დაივიწყა ეს ინციდენტი.

უნივერსიტეტის ბაღში ხალხმრავლობაა. ამდენ მოწინააღმდეგეს არ ელოდა რეზიკო, დაახლოებით ოცდაათი ჯეელია შეკრებილი მასთან საჩხუბრად. ჩვენი ბიჭის ტვინი სხარტად მუშაობს, იცის, რომ ინიციატივა თავიდანვე ხელში უნდა ჩაიგდოს, სხვებს ლაპარაკის საშუალება არ უნდა მისცეს და თუ დაიძაბება სიტუაცია, დანა უნდა გახსნას, ყველაზე აქტიურს და ფიზიკურად ძლიერს უნდა გაუყაროს, სასურველია, ფეხში ან დუნდულაში, ვინც მისკენ გამოიწევს, ყველას უნდა მოუქნიოს, ან ანიშნოს ხელის მოძრაობით, რომ დანდობა არ იქნება. სხვა შემთხვევაში გალახვა არ ასცდება.

— ერთი აგვიხსენი, ძმაო, რას ერჩოდი ამ პატიოსან ბიჭს? — აქტიურობს თავხედი ტიპი.

— ახლა კარგად მომისმინეთ! ჩემი ცემა არ შეიძლება! ჩემი არც დაჭრა შეიძლება! ერთადერთი, შეგიძლიათ, მომკლათ! იმიტომ, რომ დღეს მე აქედან ცოცხალი თუ წავედი, გიმახსოვრებთ სახეზე, დაგიპადიეზდებთ ყველას და დედებსაც მოგიხნავთ!!! — მეორე მხრიდან სრულ დაბნეულობას ხედავს, არავინ ელის ასეთ სითავხედეს მარტოკაცისგან. უპირატესობას გრძნობს ჩვენი ბიჭი და აგრძელებს:

— და კიდევ, საერთოდ, არ მესმის რაზე ვლაპარაკობთ? ამ საქმეზე მე და თქვენმა ძმაკაცმა ალეკომ ვილაპარაკეთ და ნერტილი დავუსვით. ხელახლა რატომ ვწევთ დასრულებულ ამბავს, თუ ასე არ არის, ბიჭო? — უყურებს დაზარალებულს.

— მოიცა, კაცო, ის ალეკო ხომ შენი ძმაკაცი არ არის? — თავხედი ვერ ისვენებს, ხავს ეჭიდება, თან თვალს უკრავს და იმედი აქვს, ძმაკაცზე უარს ათქმევინებს დანგრეულსიფათიანს. ისიც თითქოს უარის თქმას აპირებს. ამ დროს ჩვენი ბიჭი ისე, რომ არ აცლის პასუხს, ამბობს:

— კარგი! მაშინ მოხდეს, რაც მოსახდენია და თუ აქედან დღეს გავაღწიე, პირველი ალეკოს დავადგები, იქიდან დავიწყებ თქვენი დედების ხვნას! — მარჯვენა ხელი ჯიბეში აქვს ჩაყოფილი და დანას არის ჩაფრენილი, ერთი ზედმეტი მოძრაობა მეორე მხრიდან და სისხლი დაიღვრება, — ერთიც იცოდეთ, დროზე დატორმუზდით, თორემ ამ თქვენს ვითომ პატიოსან ბიჭს ბოზის იარლიყს ავკიდებ!

— ეგ როგორ? — კითხულობს ყველაზე მოხეული ტიპი, რომელსაც რეზიკო თვალს არ აშორებს — თუ რამე, პირველი ის უნდა დააგდოს, სხვები რომ შეაშინოს.

— აი, ეგრე! ჩხუბის დროს პოლიციელი მოვარდა, მე გავჩერდი და სიტუაციის განეიტრალება ვცადე, ამან კი ყვირილი და მუქარა დამიწყო, მიჩალიჩებდა დაჭერას! — ამავდროულად მარჯვენა ჯიბიდან ხელის ამოღება და დანის გახსნა ერთდროულად ხდება.

რეზიკოს გადმოკარკლული თვალების და ცივი მეტალის ბასრი პირის დანახვა მომნუსხველად მოქმედებს ყველაზე, ზოგი ინსტინქტურად იხევს უკან, ზოგიც სიმწრის ნერწყვს ყლაპავს და მზადაა გასაქცევად.

ახმახი თვალებს აფახურებს, ხვდება, რომ არ ასცდება დანის პირი, ამიტომ არ იბნევა, ხმის ტემბრს იცვლის და უკვე დამტკბარი ღიმილით ელაქუცება ჩვენს ბიჭს.

— ვინა ხარ შენ, ძმობილო?

— ვინა და რეზიკო ვარ ხელაია! — ცივი მეტალი მზეზე ლაპლაპებს.

— შენ მარტო ასეთ დიდ გულზე ხარ ამდენის წინააღმდეგ და ძმაკაცებთან ერთად რომ იყო, ალბათ შეგვჭამდი ყველას! დღეიდან მე ვარ შენი ძმა და ვინც შენს წინააღმდეგ არის, ჩემი მტერია! — ამბობს მოხეული, ხელს ხვევს რეზიკოს დაძმობილების მიზნით და თავისსავე ახლობლებს გაჰყურებს. ეს უკვე გამარჯვებაა.

— კიდევ გაქვთ რამე სალაპარაკო? — კითხულობს რეზიკო, თან ოსტატურად კეცავს დანას და ჯიბეში იდებს. ხმის ამოღებას არავინ აპირებს.

— შერიგდით მაშინ, რეზიკო რამე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო? — ახმახი ცდილობს, დაასრულოს ყველაფერი.

— მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე და რა პრობლემაა, შევურიგდები! — თანახმაა ჩვენი ბიჭი.

— ჰოდა, მოდით ახლავე, სანამ არ გადაიფიქრა, გაიგეთ თქვენა? — ჩხუბის ინიციატორები თავჩახრილები მიუახლოვდნენ რეზიკოს და ხელი გაუწოდეს კანკალით. ხელის ჩარტყმის მერე დაზარალებულმა და მისმა უახლოესმა მეგობარმა კუდამოძუებულებმა დატოვეს იქაურობა. ახმახის წამხედურად რამდენიმე ყმაწვილი მიდის გამარჯვებულთან, ხელს ართმევს და ძმობას ეფიცება.

ჩვენი ბიჭი უნივერსიტეტის შესასვლელისკენ მიდის, გულის ვარდის ნახვა უნდა, მაგრამ სამწუხაროდ ამ ისტორიას ვერ მოუყვება, რადგან დარწმუნებულია, არ მოუწონებს ასეთ საქციელს. არადა, ასეთი გამარჯვებით რომ ვერ დაიტრაბახებს, ძნელი მოსათმენია. რეზიკოს მზერა სრულიად მარტო მყოფ იმ თავხედს გადააწყდა, ყვე-

ლაზე მეტად რომ აქტიურობდა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აწუხებს. მიდის მასთან და ცდილობს, ცოტა მოყუჩებულ ადგილას გაიყვანოს, ყურები რომ დაახიოს.

— რა უბნელი ხარ, შენ, ძმაკაც?

— პლეხანოველი, რატომ მეკითხები?

— მაინტერესებს, ეს კვერცხები შენი მეგობრები არიან?

— არა, უბრალოდ ჩემთან კურსზე სწავლობენ.

— მერე კონკრეტულად შენ რატომ გამოიდე თავი და იაქტიურე ყველაფერში? რაო, რა გითხრეს ასეთი ჩემზე, ზედმეტად აგრესიული რომ იყავი?

— არასწორად გამლახაო და საცემიაო.

— მერე, იკითხე, ვინ ვიყავი და რის გამო ვცემე ის ვაჟბატონი? — საპასუხოდ სიჩუმეა.

— არ უსწავლებიათ უბანში შენთვის, რომ ვიღაც ბონძღის ნათქვამზე, თან რა მოხდა, საქმის კურსშიც არ ხარ, ისე უცნობებს ენას უტლიკინებ და ცდილობ, დაჩაგრო, — ბოლო სიტყვებში აგრესია ჩართო ჩვენმა ბიჭმა.

— რა ნათქვამია, ენას ვატლიკინებ? — ყბაში მუშტი უნდა მოხვედროდა არამკითხეს, მაგრამ მოულოდნელად ხუთამდე ჯეელი შემოესწრო დაძაბულ საუბარს და იფიქრა რეზიკომ, ცოტა ხნის წინ ოცდაათამდე მოწინააღმდეგე გაანეიტრალა და ამ მცირე ჯგუფს რომ დაეჩაგრა იგი, სულელური საქციელი იქნებოდა, ამიტომ გამაღიზიანებელი ტონი შეცვალა.

— შეცდომას ყველა ვუშვებთ, ძამიკო, მთავარია, ისეთი არ დავუშვათ, გამოსწორება რომ არ შეიძლება. ამიტომ სხვა დროს დაფიქრდი, ვინმეს დაჩაგვრას რომ გაიფიქრებ. უფროსებს ჰკითხე უბანში და ჩემს სიტყვებს დაგიდასტურებენ, — დამოძღვრა და ისევ უვნებელმა, თავაწეულმა დატოვა იქაურობა.

ეს ქალაქი უკვე პატარაა მისთვის, გარშემო მყოფი ადამიანები ჭიანჭველებს დაემსგავსნენ. ეგო იმდენად გაეზარდა ჩვენს ბიჭს, რომ სული ეხუთება, ვეღარ სუნთქავს. ყველას უნდა უთხრას, რომ დიადი კონგია და მისი მომრევი არავინაა. მწვერვალზეა.

ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, სულ დეტალებში იხსენებს მომხდარს და ტკბება თავისი ვაჟკაცობით და მოხერხებულობით. მეორე დღეს, ლიკუნასთან ერთად მოძრაობისას, უცნობი ადამიანები მოწიწებით ესალმებიან და ხელს ართმევენ, ზოგიერთი შორიდან ხელის აწევით მოიკითხავს. რეზიკო კი გაბღენძილი დადის მისი ტრფობის ობიექტთან ერთად. გოგონა გაკვირვებულია, საიდან იცნობს მისი კავალერი ამდენ უცხო ადამიანს. ამასობაში უნივერსიტეტის წინ მიწისქვეშა გადასასვლელს უახლოვდებიან. ჩასასვლელთან დგას დიდი ნაგვის ბუნკერი, რომელიც პირამდე სავსეა ნაგვით. ნარჩენები გარეთაც ყრია, ამაზრზენი სანახავია. ახლოს მისვლისას უსიამოვნო სუნსაც გრძნობს ჩვენი წყვილი, რაღაც მოძრაობაც შეინიშნება გადმოვარდნილ ნაგვის გროვაში. უცებ რუხი ფერის მოზრდილი ვირთხა ძვრება გახეული მაკდონალდის მუყაოს შეკვრიდან, რამდენიმე წამით ჩერდება, თან საზიზღარ, სოლივით წაწვეტებულ დრუნჩზე მუქ ულვაშებს აცმაცუნებს. ამის შემხედველ რეზიკოს ძარღვებში სისხლი ეყინება, ოფლი ასხამს, ხელს ჰკიდებს ლიკუნას, მოულოდნელად ნახტომს აკეთებს და შეყვარებულს ეფარება. მოძრაობაზე შეშინებული ვირთხა წრიპინის მაგვარ ხმას გამოსცემს და მათი მიმართულებით პატარა ნახტომს აკეთებს.

— ვაიმე, — ყვირის ჩვენი „კონგი“, ავტომატურად ჯიბიდან დანას იღებს და ორივე ხელით პანიკურად ცდილობს მის გახსნას. გაოფლიანებული ხელებიდან ცივი მეტალი უსხლტება და ასფალტზე ეცემა. თავისი კავალრის შეშლილი მოძრაობების პარალელურად ლიკუნა ფეხებს აბაკუნებს, დაუპატიჟებელი სტუმარი კი თავადაც შეშინებული ტრიალდება და ბინძურ ბუნკერს ეფარება ისე, რომ მხოლოდ გრძელი და სიბერისგან გაქუცული კუდი მოჩანს. დავარდნილ დანას იღებს ლიკუნა, ჩანთაში იდებს, საზიზღარ მღრღნელთან „ბრძოლაში“ დამარცხებულ რეზიკოს ხელკავს უკეთებს და იქაურობას ტოვებს. არადა, წინა დღის ამბავი მოსაყოლი აქვს ჩვენს გმირს...

ნათია კაპანაძე

გზაზე

— მანდა ფრთხილად გეიარეი, ფხვიერი მიწაია და არ ჩაგიყოლო!

— ჩამიყოლო თორე ბევრი დააკლდება ამ ქვეყანასა...

წინ კაცი მიდის ხელჯოხით. გაცრეცილი შარვალი და ფეხსაცმელები აცვია, თავზე შალის ქუდი ახურავს, არადა, გაგანია აგვისტოა, ისე ცხელა, სულს ძლივს მოითქვამ... უკან მისივე ხნის ქალი მიჰყვება, მხრებში მოხრილი, ჩითის კაბით და შლაპით. კაცს მხარზე ჩანთა აქვს მოგდებული. ეტყობა, რომ მძიმეა, რომ შეხედო, სადაცაა გასკდებაო — იფიქრებ. მიდიან აუჩქარებლად, სადგურამდე დრო ზუსტად აქვთ გათვლილი. დიდი ხანია, გეგმავენ შვილთან ჩასვლას და როგორც იქნა, ნაბიჯი გადადგეს, მალე აღარ ვიქნებით და ბოლოჯერ მაინც ვნახოთ ერთადერთი შვილიო. ორივეს გამალებით უცემს გული, ჯერ ძალიან შორია დედაქალაქში ჩასვლამდე, მაგრამ მღელვარება წინა ღამიდან მოყოლებული ვერაფრით მოიშორეს.

— ქვეყანას თუ არ დააკლდება, მე დამაკლდება. ჯერ შვილი მანახეი და მერე რაცხა გინდა, იგი გიქნია, — შეუბღვირა ქალმა.

კაცს გულზე მოხვდა მისი სიტყვები, იქნება მართლა სიკვდილი გამიხდეს სანატრელი შვილის ნახვის შემდეგო, გაიფიქრა. რა ვიცი, როგორი კაცი დადგა, როგორ ცხოვრობს, რამდენი წელია, ერთი დღეც ვერ გამონახა ჩვენს სანახავად. განა შვილი ასე დაივიწყებს მშობლებს, თუ არ გადაგვარდა?! მაგრამ გულის სიღრმეში საკუთარი ფიქრების დაჯერება არ უნდოდა, ამიტომ გადაწყვიტა შვილის სანახავად წასვლა, იქნებ უკანასკნელადაც... მოკიდა თავის ქალს ხელი და გაუდგა გზას, ჩაალაგა ჩანთაში რაც კი გააჩნდათ საკუთარი ხელით მოვლილი და მოყვანილი, ხილი თუ ბოსტნეული, ღვინო, რძის ნაწარმი და ძველისძველი სათამაშო მანქანა.

ბიჭი, რაც ცოლი მოიყვანა, სულ ერთხელ იყო სოფელში ჩასული, ცოლი გააცნო მშობლებს და იმის შემდეგ, აგერ მეხუთე წელი სრულდებოდა, ფეხი აღარ დაუდგამთ იქ. შვილიც გაუჩნდათ, სამი წლის ხდება სულ ორ დღეში და იმისთვის მიაქვს ეს ძველისძველი მანქანა, რომლითაც მისი შვილი თამაშობდა ძალიან ბევრი წლის წინ.

— ქალო, ეთერო, ნეტაი გაგვეფრთხილებინა ებიჭი, სახლში რო არ დაგვიხვდენ, მერე რაღაი უნა ვქნათ?!

ქალს გული შეეჭმუხნა, ქმრის ხმაში შიში იგრძნო, შვილთან ნასვლის შიში... კაცს თითქოს ნაბიჯები უკან რჩებოდა, უფრო შეუნელა სიარულს, ფიქრები შემოაწვა. იმდენმა აზრმა გაუელვა თავში, რას ეტყოდა, რომ დაინახავდა, როგორ შეხვდებოდა?! იქნებ, არც გახარებოდა მშობლების დანახვა?! იქნებ, უდროოდ მისულიყვნენ?! მაგრამ განა მშობლების ნახვას დროის განსაზღვრა სჭირდება?! რომ არ სჭირდებოდეს, ხომ თვითონაც ჩამოვიდოდა... ფიქრობდა კაცი და უფრო უმძიმდებოდა ყოველი ნაბიჯი.

— დევიცდით და მოვლიენ, სა წავლიენ, აბა...

ქალსაც შიში ეპარება ხმაში... იქნებ სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად?! დაფიქრდა, ბიჭმა ბოლოს მშობლებს მაშინ მისწერა, შვილიშვილი რომ დაიბადა, მაშინაც მხოლოდ იმას იწერებოდა, რომ ბიჭი დაიბადა, ჯანმრთელი და ნოა დაარქვეს. ეს ნოა რა სახელიაო, იქვე გაიფიქრა ორივემ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამთ, ბედნიერებისგან თვალები ცრემლით ჰქონდათ სავსე. ახლა კი, ამდენი წლის შემდეგ, ისიც არ იცოდნენ, შვილთან სწორ მისამართზე მიდიოდნენ თუ არა.

სადგურამდე გრძელი გზაა, კაცს ბეჭები სტკივდება ჩანთისგან და ისვენებს, ქალი იქვე ქვაზე ჩამოჯდება და გაჰყურებს სოფლიდან მომავალ ბილიკს. ერთი ამდენი გზა კიდევ გასავლელი აქვთ, სადგურამდე რომ მივიდნენ, იქნებ უკან დაბრუნება სჯობს?! ერთიც ამაზე ფიქრობს და მეორეც, თან ფეხებს ასვენებენ გზის გასაგრძელებლად.

— რო დაგვინახავს, რაფერ გაუხარდება, — ამბობს ქალი, თან იღიმის. ცუდი ფიქრების დაფრთხობას ცდილობს თითქოს ამ ღიმილით. სამოცდაათი წლის არ არის ჯერ, მაგრამ რომ შეხედავ, მეტის გეგონება. ნახევარი კბილები დამტყდარი აქვს, წელში გასწორება უჭირს მუდმივი შრომისგან. ერთადერთ შვილს რომ არაფერი მოჰკლებოდა და სწავლა შესძლებოდა, დილიდან-დაღამებამდე მუშაობდა, მერე სახლის საქმეებს აკეთებდა, ქმარს ეხმარებოდა, მის ჯაფას იზიარებდა. მუდამ საკერავში თავჩარგულმა თითქოს ის ფორმა ვეღარ მოიშორა, მუდმივ კვალად დაეტყო მის სხეულს. კაცი ერთი წლით უფროსია. წლების წინ ფეხი დაიზიანა და მას შემდეგ ხელჯოხით დადის. შვილი რომ სასწავლებლად გაუშვეს, არც მერე ზოგავდნენ თავს, სანამ გზას გაიკვალავს, დავეხმაროთ და მერე აქეთ მოგვხედავსო, ფიქრობდნენ. ისედაც გვიან გაჩენილ ერთადერთ შვილს თავს ევლებოდნენ და ვერც მიხვდნენ, ისე გამოეცალათ ხელიდან...

— გაუხარდება?! — თითქოს საკუთარ თავს ჩაეკითხა კაცი. იმას თუ არა, მე ხო მაინც გევიხარებ, შვილიშვილს დევინახავ, შვილს დევემშვიდობები, ხუთი წელი კიდო ვიცოცხლებ თუ არა, უფალმა იცის. გაჩერდა, პირჯვარი გადაიწერა, დიდება შენს სახელსო თქვა და თვალები ცას მიაპყრო ვედრებით. ჩანთა ისევ ზურგზე მოიგდო და ნაბიჯი გადადგა, ჯერ ერთი, მერე — მეორე. ცოტა შემართება მოემატა თითქოს, რაც იქნება, იქნებაო. ქალიც უკან გაყვა.

ამ გზაზე პირველად შვილი რომ წამოიყვანა, ბიჭი ისეთი ბედნიერი იყო, სულ თვალებში შესცინებდა მამას. ქალაქში პირველად მიდიოდა და თავი ისე მოჰქონდა, როგორც კაცს. არადა სულ ათი წლის იყო მაშინ, ისეთი ბედნიერი მერე აღარც ახსენდება კაცს შვილი. არა, ბედნიერი კი იყო, მაგრამ მსგავსი ნაპერწკალი თვალებში მეტი აღარ შეუმჩნევია. ამას ახლა აცნობიერებდა, თორემ მანამდე არც უფიქრია. ანკი როგორ იფიქრებდა, ისედაც სულ მისთვის ცდილობდა ყველაფერს. იქნებ სწორედ მაშინ შევცდი, სულ სხვა რამ სჭირდებოდა ჩემს შვილსო, ამაზეც დაფიქრდა კაცი და მერე ისიც გაიფიქრა, ახლა რაღა დროს ამაზე ფიქრიაო.

— შენა, კაცო, ექუდი მეგეხადა, სულ დაგისველდა კისერი ამ სიცხეში, რამე არ დეგემართოს, — ეთეროს უნდა, ფიქრს თავი რამით დააღწიოს და ქმარს უხირდება, მაგრამ კაცი ყურადღებას აღარ აქცევს. მიაქვს გაბერილი ჩანთა, ზურგზე კუზივით ამოზრდილი, კოჭლობით და ფიქრებში ისეა ჩაძირული, საერთოდ არ ესმის ეთეროს ხმა. სულ ცოტა დარჩა სადგურამდე, მაგრამ დრო ჯერ ბევრი აქვთ, მატარებელი კიდევ ორ საათს არ მოვა. ამიტომ არ ჩქარობენ. ისედაც არ შეუძლიათ სწრაფად სიარული. ერთი საათის სავალ გზას სამ საათს ანდომებენ.

— აბა, რაიდღა უნდა ჩვენისთანა ბებო-პაპა ბალღ? თვითონ ბალღივითა ვართ, ახლაღა რო ეიდგა ფეხი, — ეუბნება კაცი ეთეროს ისე, რომ უკან არც იხედება. ბონდსაც გადაივლიან და უკვე სადგურიც გამოჩნდება. მატარებლით იშვიათად დადის ხალხი, ზოგმა მანქანა იყიდა, ზოგიც ავტობუსს დაჰყვება რეგიონამდე. სადგურამდე ფეხით გადასვლა ეზარებათ თითქოს. დედაქალაქში კი სოფლიდან მხოლოდ მატარებელი მიდის, ამიტომ ეთეროს და მის ქმარს სხვა გზა არ ჰქონდათ, დილიდანვე შეიმზადეს თავი გრძელი გზის გასავლელად.

სადგურზე ორი პატარა სკამი დგას მოსაცდელში. კაცმა ჩანთა კედელთან მიაყუდა და იქვე ჩამოჯდა, ქალიც გვერდით მიუჯდა უხმოდ. ორივე ბეტონს დაჰყურებს ფეხქვეშ, ორივეს ერთი ფიქრი აწვალებს... ჯერ საათზე მეტი დროა მატარებლის ჩამოდგომამდე. დედაქალაქში რომ ჩავლენ, ტაქსის გააჩერებენ და ფურცელზე დაწერილ მისამართს ეტყვიან, ასე უფრო მარტივად მივლენ, ყველაფერი დაგეგმეს. პენსიიდან დარჩენილი ფულიც გაანაწილეს. ბავშვსაც აჩუქებენ, საკუთარი გემოვნებით რომ უყიდონ საჩუქარი მშობლებმა, ეს ეთეროს აზრი იყო. დარწმუნებულია, რომ მათი არჩეული საჩუქარი არ მოეწონებათ, ჰოდა, თვითონ აურჩიონ, ამაზე არ იდარდებს. მთავარია, შვილიშვილს გაიცნობენ, გაიხარებენ. ნეტავ ვის ჰგავს?! მაგრამ როგორი იქნება პირველი შეხვედრა, ჩასვლა რომ სანანებელი გაუხდეთ და დარდი ერთი ასად გადაექცეთ, მერე რა უნდა ქნან?! ახლა ის მაინც იციან, რომ შვილი კარგადაა, მათგან შორს, მაგრამ საკუთარ ოჯახში და კარგად, რაც მთავარია. ბიჭი რომ მათმა დანახვამ არ გაახაროს, ამას ხომ ვერაფრით დამალავს, რომ სცადოს, ისინი მაინც შეამჩნევენ აუცილებლად. მერე ხომ გული უფრო ეტკინებათ, იტყვიან, ნუ ჩამოვიდოდა, იმას ხომ მაინც ვერ ვხედავდით, როგორ არ უნდოდა ჩვენი დანახვაო. იქნებ პირიქით მოხდეს, ძალიანაც გაახარონ შვილი?! მთელ დღეებს შვილიშვილთან თამაშში გაატარებენ, მის დაბადების დღესაც ერთად აღნიშნავენ და დაბრუნდებიან მერე სოფელში, საკუთარ კერაში. მაგრამ არა, ალბათ უკვე დაგეგმილი აქვთ წვეულება, ხომ შეიძლება, გეგმებში ხელიც შეუშალონ მოულოდნელი გამოჩენით და უფრო გაანაწყენონ შვილი, მერე რას იზამენ? ერთი ფიქრი მეორეს ცვლიდა, თუ რამე ხელმოსაჭიდს გაიფიქრებდნენ, ახალი აზრი უმალ აქარწყლებდა იმ ფიქრს და ასევდიანებდა მოხუცებს.

კაცმა ჩანთა გახსნა, ის ძველისძველი მანქანა ამოიღო, პირველად რომ აჩუქა შვილს და ახლა შვილიშვილისთვის უნდოდა მიეტანა. მომართა და ფეხებთან დაიდგა, მაგრამ მანქანა ადგილიდან არ იძვროდა. ალბათ რამე გაუფუჭდა. იმდენ წელს ითვლიდა, არც იყო გასაკვირი. კაცს სიმწრით გაეღიმა, ეთეროს კი ცრემლი ჩამოუგორდა დამჭკნარ ლოყაზე. არცერთი არ წამომდგარა, ასე ისხდნენ, როცა მატარებელმა სიგნალით ამცნო მგზავრებს გასვლა.

მაია იანტბელიძე

ცხოვრება ბავშვობის საიდუმლოში

„დილით სარკეში
თავს წავაწყდი და წამომცდა:
რას მიყურებ, მე ხომ ჩემთვის ვარ...“
გივი ალხაზიშვილი

„ჩვენ ხომ თავიდან ბეთლემი ვართ და მერე ხმაურიანი, სასტიკი იერუსალიმი“ — წერს ნაირა გელაშვილი თავის ავტობიოგრაფიულ რომანში სწორედ ბავშვური თხრობისა და აღქმის სრული დამაჯერებლობით და ცდილობს ჩასწვდეს ადამიანის ამ შინაგანი მეტამორფოზის, ღმერთთან დაშორების გამოცანას. ნებისმიერი ბავშვი (თუნდაც „ღვთის პირის მკაწრავი“, როგორც ავტორი ამბობს), რომელსაც საკუთარ ღვთისმოსაობას უფლის გარშემოხვეული, ძლევამოსილი, საიდუმლო მისიის მქონე მოციქულ-მაცნეები უმხელენ („უფლის ისეთი ნაზად სიქსტატიური მოციქული, როგორიც ნიჟარაა; ანდა ისეთი მომთმენი და დაუღალავი, როგორიც გახლავთ ხავსიანი კუნძი“), სწორედ ამ უკანასკნელთა წყალობით და ზოგადად, სინამდვილის აღქმის სპეციფიკურობით დგას იმ ტკბილი და ფანტასმაგორიული სამყაროს შუაგულში, რომლიდანაც თავი ჯერ არ გამოუძევებია. სწორედ ბავშვი-მწერალი გეტყვით, რომ ღმერთი არსებობს სწორედ იმიტომ, რომ მისი არსებობის დამტკიცება შეუძლებელია. აი, ტრანსცენდენტურის ძალიან მარტივი, მაგრამ არგუმენტირებული განმარტება: „ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს სამყარო ისე ჩანდა მოწყობილი, მის უკან (ან მასში) აშკარად ვიღაც იმალებოდა; მეორეც იმიტომ, რომ როგორც ადრევე დავადგინე, ირგვლივ არავის არაფერი ესმოდა და ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ და ხომ უნდა არსებულიყო ვიღაც, ვინც ყველაფერი იცოდა. ისე რა აზრი ჰქონდა ჩვენს არცოდნას! და მესამეც: რადგანაც მე პირადად ძირითადად სურვილებისგან შევდგებოდი, ეს აუცილებელს ხდიდა იმის არსებობას, ვისაც ყველაფერი შეეძლო!“

ჩვენ წინაშეა გამხატვრულებული ბიოგრაფია, ოღონდ არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და სიზუსტით, არამედ „სარკის ნატეხებად“, რომლებიც გასულიერებულია და მწერალს მთელი ბავშვობა თან დაჰყვება მათი კალეიდოსკოპური ანარეკლები: ოცნების გამოძახილად, უკვე ქმედებად, უცნაურ თუ გამოკვეთილ რწმენებად თუ ხსოვნის ცხოვრებისეულ ფრაგმენტებად. წიგნში თვალშისაცემია ავტორის სიმკაცრეც და სითამამეც საკუთარ ბავშვობასთან მიმართებით. რომანის კითხვისას ცოცხლდებიან ბავშვობის სიღრმიდან წამომართული და დიდობის რაციონალიზმს ნაკლებად დამორჩილებული პერსონაჟები — თან სიღრმისეულად აღქმულები, თან ბოლომდე გაუგებრები ცხოვრებასავით, რომლის მიწურულს ალბათ მრისხანება გეუფლება იმ მკვდარი სურვილებით ნასაზრდოები სიმშვიდის დარღვევისას, ამ გამოტირებული სურვილების სასაფლაოზე რომ „ხარობს“. გავიხსენოთ, აბა, მწერლის მეხსიერების ლაბირინთებიდან „მომზირალი“ გმირები; იგავი-ნატეხი „სოფლის წმინდანზე“, თითქოს იმ ერთ მართალზე, რომლისთვისაც ღმერთმა ცოდვილი ქალაქი გადაარჩინა. ბიჭი, რომელიც მოსაკლავად ხეზე მიბმულ მტრედს გადაეფარა და მოკვდა. მის საფლავზე ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე მტრედი და იქ დატოვებულ ნაკურთხ პურსა და ხილს კენკავდა. „სოფელმა, ცხადია... არ იცოდა, რომ ამქვეყნად საერთოდ ამ ბიჭის გამო იყო გაჩენილი; რათა ეს ბიჭი გაეჩინა. რაც კი სოფელს სიკეთისა და სიწმინდის უნარი დაჰყოლოდა, სულ ამ ბიჭში შეკრებილიყო. და თუ ჩემი სოფელი, მისი ახალ-ახალი ქორწილებით გამრავლებულ-გაგრძელებული მოდგმა, წარწყმედას გადარჩებოდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ ბიჭის წყალობით. ხოლო ერთ სოფელს წარწყმედად მარტო ის სისასტიკე ეყოფოდა, რაც უფლის უენო ქმნილებებს ატეხდა თავს გაჩენის დღიდან, რაც მერე ერთს, ერთადერთს უნდა გამოესყიდა — ყველაზე წმინდას.“ მეგობრის პანაშვიდზე მოსული მტრედი გამახსენდა, უჩვეულოდ გარინდებულ-გაყუჩებული, ზედ რომ არ უყურებდა საჭმელს... და თავად ჩემი მეგობარიც, რომელიც, მიუხედავად რეალიზებულობისა, უცხო იყო ცხოვრების პრაგმატული ორომტრიალისთვის, „გერი“ იყო მაინც თავისი შინაგანი, ბავშვური, უმწიკვლო პირუთვნელობით საკუთარი თავის, ყოფის, ადამიანისა თუ მოვლენებისადმი, მათი არსობრიობის თვალსაზრისით.

ცხოვრება, რომელშიც გულჩვილობა უგემოვნობად ითვლება, ამ ბიჭს სულ ისხლეტს, გვერდზე აგდებს, როგორც ზედმეტს, მარგინალს, მეტიც, არ უჯერებს („რა უაზრო და სამწუხარო შემთხვევააო“). წმინდანსა და წმინდას ებრძვის წუთისოფელი, განძარცვავს, „ზარმაცად“ უარყოფს... ან კაცი, რომელმაც სიზმარში ნახა, როცა სახლს დაამთავრებ, მერე მოკვდებიო. ამიტომ არც ამთავრებდა, მეორე სართულს ფანჯრებს არ უსვამდა (ბავშვისგან ზღაპრულ სინამდვილედ აღიქმებოდა ამ „ღია თვალებში“ შეყუჟული ჩიტებისა და მცენარეების მისტერია) და „ყველაზე მშვიდი ადამიანი იყო მთელ სამზეოში“; რომანის ერთმა ეპიზოდმა კი უკვე ჩემი ბავშვობის „პერსონაჟი“ გამახსენა და ამოხსნა ჩემს წარმოდგენაში მისი ქცევის საიდუმლო, დედას აივნიდან სახლში რომ არ უშვებდა, მიუხედავად ამ უკანასკნელის დაჟინებული თხოვნა-დაყვავება-მუქარისა. წიგნის მთავარი გმირი საყვარელ ბიძა-მამიდას კარს ჩაუკეტავს, მერე კი, შეგროვილი მეზობლები კიბეს რომ მიადგამენ შუშაბანდს, ძველი „შიფანერკის“ მძიმე, ნაფთალინის სუნიან პალტოშემოხვეული, მკვდარი წინაპრის ქამარ-ხანჯალ მაძებარი, როგორც სიკვდილს ან სამშობლოს დაკარგვას, ისე ელოდება თავის წარმოდგენაში მოპოვებული ბავშვური ავტონომიის „ხელყოფას ციხე-კოშკში“. ამ დაუვიწყარი და უცნაური, ენით აუწერელი მარტოობის, დაბადებიდან ყოველი ჩვენგანისთვის თანამდევ უბედურების განცდას, დამრეცად რომ ემსგავსება რეალობას ხსოვნის სარკის ნატეხში, ასეთი ლამაზი ტროპული მეტყველებით გვიხატავს ავტორი: „ავტირდი კიდეც. მუჭის სიმსხო ვარსკვლავებს ცრემლებით სავსე თვალებით ავცქეროდი, რის გამოც ისინი წყალში ტივტივებდნენ.“ აქვე ვთქვათ წმინდად „ქართულ“ გმირზე, ელენე გოგიჩაშვილზე, რომლის ცნობიერებაში „ღირსების შენარჩუნება მხოლოდ ლამის ასკეტური თვითშეზღუდვით, ღვთისა და მინის პატიოსანი მსახურებითა და ყაირათიანობით იყო შესაძლებელი“, — ჩვენი ბებოები, თავიანთი თავდაუზოგავი სპეტაკი შრომით, იყვნენ ასეთები, „არაამქვეყნიურნი“

ტოტალიტარიზმი და „ყვავილივით“ ადამიანური სული, მათი ურთიერთკატაკლიზმები სად მჟღავნდებოდა ისე, როგორც საბჭოთა სკოლაში? როცა ხანდახან მწერალივით ყველას გვიწევდა, ჩვენ შიგნით, როგორც წესი, არსებული უფრო საშინელი უხეშობით (ვიდრე მოგვექცნენ) დაგვეცვა ჩვენივე შინაგანი სინაზე თუ სიფაქიზე და ამ დროის ლოკალისთვის დამახასიათებელი შემაძრწუნებლად ბუნებრივი გროტესკულობა („მთელი ცხოვრება ისეთი განცდა მაქვს, რომ სტალინს პირადად ვიცნობდი და მას სწორედ ჩემთან ჰქონდა საქმე“).

უფროსისთვის უკვე რუტინულად ჩვეული, მაგრამ პატარისთვის ასე მტანჯველი რამე კონკრეტული საგნისა თუ ცხოვრების წინაშე — დაბოლოს, ეს არ იყო არც ის უზარმაზარი, უმიზეზო, უსაგნო და უსახელო შიში არაფრისა და ყველაფრის წინაშე, რაც ერთი-ორჯერ სწორედ პატარას დამატყდა თავს.“ იქნებ ამ ქვეცნობიერამდე დასული შიშის გამო არ უყვართ სწავლა, როგორც პროცესი, რომლის „ძირი მწარე არის“, ბავშვებს?

სკოლა და კოლექტივიზმის შთამნთქმელი პრინციპი და ისევ შიში ადამიანთა სიმრავლის, მასის, კოლექტივის წინაშე, „რომელიც აწყობდა თერთმეტწლიან დაუნდობელ იერიშს „მე“-ს ჩანასახზე.“

კითხვა ჩვენი ბავშვობიდან — „ვინ გინდა, გამოხვიდე?“ და მწერლის ასტრალური ოცნება, კოლექტივის ბანალურობითა და ცინიზმით რომ განიგმირა და ასტრონომიის სახელმძღვანელო, ასე რომ „გააცამტვერა ლამის ცის შემეცნების წყურვილი“; კლასის დამრიგებელი, რომელიც, მწერლის აზრით, ყოვლად უინტერესო არსება იყო და მის წინაშე პატივისცემაც გამოიგონა. განცდა ღვთისმგმობელური უსამართლობისა, რომელიც მოსწავლე ნაირა გელაშვილს ამ ადამიანთან აკავშირებს: „ეს იყო ისეთი მასშტაბის უსამართლობა, რომ ლამის სამყარო ჩამომექცა თავზე და ღმერთის არსებობაშიც საფუძვლიანად დამაეჭვა, თუმცა ალბათ შემამზადა კიდეც უსამართლობათა იმ შემზარავ სახეობათა ასატანად, რომელთა ატანაც შემდეგში მეწერა. და თუ გავიხსენებთ იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ სწორედ ამქვეყნიური უსამართლობაა ის საბედისწერო სასინჯი ქვა, რომელზედაც რწმენა თუ არ იმსხვრევა, მაშინ ილესება და იწრთობა — ადვილად გავისიგრძეგანებთ ანბანის შესწავლის პერიოდში თავსდატეხილი ამ არქეტიპული უსამართლობის მთელ მნიშვნელობას ჩემი ცხოვრებისთვის.“ ამას განიცდის ბავშვი, როცა მასწავლებელს სიმართლე და სამართალი სრულიად არ აინტერესებს და დამნაშავესა და მსხვერპლს ერთად გაყრის გარეთ რობოტისთვის აუცილებელი დისციპლინის შესანარჩუნებლად. ამიტომაა სკოლა ხშირად უარყოფილი ბავშვის ცნობიერებაში, რომელსაც სამუდამო საგზლად მიაქვს კოლექტიური უსახურობის ნაცრისფრად ამოზრდილი საბჭოური რეალობის თითქოს პროჟექტორით განათებული, ყველაზე დამთრგუნველ-დამანგრეველი მომენტები. მოკლედ, პედაგოგობა ისეთივე მოწოდება უნდა იყოს, როგორც თუნდაც მღვდლობა და არა, უბრალოდ, სამსახური თუ პროფესია. ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ წერილის ავტორსაც, როგორც მწერალს, საშინელ, განმეორებად სიზმრად ექცა დიდობაში სკოლაში ჩაუბარებელი გამოცდა თუ უკანონობის, დანაშაულის განცდა, რომელსაც არც ჩემმა სკოლაში სანიმუშო მოსწავლეობამ უშველა, არც მედლის კანდიდატობამ. ამიტომ მასწავლებელია ეს დაღიც და ის ნათელი წერტილებიც ტვინში, რომლებიც შემდგომ განათლებად თუ სულიერ სისრულედ იქცევა ხოლმე („არა მგონია, აქ მართლა არსებულიყო ის, რასაც სიახლოვის განცდას უწოდებენ ხოლმე ერთმანეთის, მით უფრო, მასწავლებელთა მიმართ“). სკოლა და ჩვენი შეურყვნელი ავტორიტეტები, რომლებსაც კი არ გვაყვარებდნენ, არამედ მათ სიყვარულს გვავალდებულებდნენ, „თავისდაუნებურად მოკავშირეებად და მთავარ იარაღადაც კი ჰქცეოდნენ საოჯახო, სასკოლო, სახელმწიფო ხელისუფლებასა და სოციალისტური კეთილშობილების იდეოლოგიას, ანტიტირანული, ანტიიდეოლოგიური ჯანყის წინააღმდეგ ბრძოლაში.“ ამიტომ ამ სიყალბის დამთრგუნველი, შენიღბული ძალისგან თავდაცვით „ციხე-კოშკად“ მოევლინებოდათ ხოლმე თუნდაც ელვის პრესლის ხმა, ყველანაირი ბორკილების დამსხვრევა რომ სურდა; და „სამშობლოსკენ მიმავალი გზების მიგნება ფრიად გაეძნელებინა საყოველთაოდ სავალდებულო ცოდნის კერას და მისი ფუნქცია, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის ამ გზის უსასრულოდ გაგრძელება იყო.“

წარმოგვიდგება ხსოვნით გამჟღავნებული ბავშვობა, დაკარგული სამოთხე, ბავშვობა მეხსიერების ცისთავანზე. მეხსიერება კი ტყუილად, განა, რამეს იმახსოვრებს? „ხსოვნის ისეთი დამხმარე საშუალებანი, როგორებიცაა, მაგალითად, დღიურები და ფოტოები, ხშირად მთელი რიგი ხელოვნური მინარევებით აბუნდოვანებენ მისი სარკის წმინდა სიზუსტეს. ხოლო იგი სიზუსტე ლაკმუსური ბუნების გახლავთ, რაკი სარკე ჩვენი მეხსიერებისა იმის ანარეკლს ინახავს განსაკუთრებით ერთგულად, რასაც ჩვენ (და ეს „ჩვენ“ ხშირად ჩვენი სინდისია) ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ინახავს, არცთუ იშვიათად ჩვენი გულისა და გონების სურვილთა წინააღმდეგ.“ აი, მაგალითად, კიდევ ერთი ფრაგმენტი ბავშვური მარტოობის „სრული და შეუვალი“ ავტონომიისა, როცა ავტორი მსუქან, მძიმე ბიჭსა და მის ასეთივე მძიმე, მდიდარ მშობლებს გაურბის, ხვლიკივით მოუხელთებელი, ხანდახან ჩერდება შეძახილით: „ლადო, ლადო, კვერცხი დადო!“ ფანჯრებიდან გულშემატკივართა მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით. მერე კი, ვითომ გამარჯვებული, ძილის წინ საკუთარი უილაჯობისგან ტირილს იწყებს და აჰყვება პატარა ძმაც, რომელსაც ზემოხსენებული საქციელით გამოესარჩლა; ან შეკითხვა-ნატეხი: „მითხარი, არსად არ მთავრდება „აღარასოდეს?“ — სიტყვა, რომელიც ყველაზე საშინლად ეჩვენება ავტორს, რადგან თითქოს მასზე გრძელი არაფერია, როგორც მარტოობის საზომისა. ასე იწყება და გრძელდება გულის ჯოჯოხეთი, თავისი ბინადრებით: ადამიანებით, ჩიტებით, ცხოველებით და ყველა იმ არსების შემოხედვით, რომელთა წინაშე მოასწრო ჩაედინა, მიმდინარე დროში ან დროზე სწრაფ ფიქრში, გამოუსწორებელი დანაშაული („ჩემი ჯოჯოხეთის სხვა გარსებში კი ის არსებები განლაგდნენ, რომლებიც მე მიშავებდნენ რაიმეს და მაშავებდნენ“). ჯოჯოხეთი, რომელიც საკუთარ მოთხოვნილებად შეიძლება გადაიქცეს, უფროსებისთვის სახარებისეულ სენტენციად, ტანჯვით სიხარულად, თვითგვემით რომ მჟღავნდება პატარაობისას სამოთხისეული პირველი აკრძალვის დარღვევის, ცოცხალი არსების, ბაყაყის (იგივე საკუთარი სურვილების, ნაირა გელაშვილი) მოკვლის გამო („მხოლოდ ბავშვად ხელახლა ქცევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა თვითშეწყალება და „მიტევება თანამდებთა მათ ჩვენთა“). ხსნის გზა ტკივილის ფსკერისკენ მიდისო, ავტორი გვეუბნება, სადაც მძიმედ განფენილა ჩვენი უმწეობა სხვათა ტანჯვის წინაშე, რაშიც უდანაშაულონი ვართ; ან ეკლესიაშიც ვერნაპოვნი სიმშვიდე და თითქოს სიბნელიდან ხრინწიანი შეძახილი: „გარეთ, ვიღაც ოხრისგან გიყიდია ეს აყროლებული სანთლები და აქ შემოგიპარებია? ეკლესიამ რაღათი უნდა ირჩინოს თავი, თქვე წყეულებო“ და ამ ხმის პატრონის მიერ ჩამქრალი არა მარტო მატერიალური, ახლადანთებული, არამედ იმედის მეტაფიზიკური სანთლებიც. მაგრამ ამის გამაქარწყლებელი დიდი, დედობრივი მფარველობის შეგრძნებაც: „დაე, შებრუნდეს დედაშენი შენიანად და შენშვილიანად დედამიწის სხეულის წიაღის კი დედამისმა შეისრუტოს და ასე უკან, უკან-პირველდედის წმინდა საშოში მას ვეყოლებით“. ასე თითქოს გადიხარ გზას მაცდური ევადან ღვთისმშობლამდე, რომელიც, მართლაც, ხორბლისფერია, როგორც ლია სტურუას ლექსში ან ლურჯ, ნათელ, კრიალა ცაზე მხიარულად მოცურავე ფაფუკი ღრუბელია, რომლიდანაც მას ცალი ხელით კალთა აუკრეფია, მეორით ხორბალს იღებს იქიდან და წკრიალ-წკრიალით წვიმად აბნევს დედამიწას სიმბოლური აზრონება, რომელსაც ავტორი გვთავაზობს,

ხომ ყველაზე მაღალი რანგისადაა აღიარებული?

იქნებ ყველა გზას საკუთარი თავისკენ მივყავართ? მაგრამ ყველა როდია შედეგიანი და გავუუცხოვდებით ხოლმე „მასაც“: „მაგრამ ვერა და ვერ გამოვდივარ ხარაჩოებით, ბადეებით აგებული საპყრობილიდან, რომელიც მე ვარ და თქვენ შორსა ხართ, აქვე, ჩემ გვერდით და მელოდებით. და საყვედური ბერდება თვალებში, და მერე ეგუებით ჩემს თქვენთან არყოფნას და ეს შეგუება ბინდივით მფარავს, როგორც მიკარგულ ბილიკს ბალახი“. ასე იწყება შინაგანი ღამე, რომელშიც მეხსიერების სიღრმიდან სარკესავით თუ გუბურასავით „ვირეკლებით და ვუჩინარდებით“. ასე იწყება „უსისხლო თუ სისხლიან მსხვერპლზე გამავალი გზა ადამიანად ქცევისა.“

ბავშვობა, როცა იმდენად ვართ შეზრდილნი პირველსაწყისს, სახელითა და გვარით მოხსენიება ამ წიგნის ავტორივით ტკივილია ჭავჭავაძეზე, რომელშიც საქართველოს თანამდევი უბედურების წინათგრძნობაა, ზნეობრივი მარტოობისა და გამოუვალობის განცდა: ილიას მკვლელობის პერმანენტულობა ქართულ რეალობაში. არ უნდა „გაგარეგანდესო“ მწერალი, რომელმაც სწორედ შინაგანი სიღრმიდან უნდა დაინახოს, რა ხდება გარეთ, ქვეყანაში. ისევ „გასაკვირველი“ განცდა სამშობლოსი — ამ „უცოდველი, უწყინარი, ბავშვური, ძვირფასი, ცოცხალი, მოძრავი, განვითარებადი საწყისისა“ — ნაირა გელაშვილთან.

ადამიანი მთელი თავისი შეგნებული თუ შეუგნებელი, გაუცნობიერებელი ცხოვრება მიისწრაფვის აუცილებლობისკენ — თავისუფლებისაკენ. თუმცა ის ტყვეობაშიცაა შესაძლებელი: „ჩემი საპყრობილე ხან ეს სახლია, ხან ჩემი თავი, ხან ის, რასაც სამშობლოს ვეძახით, ხან მთელი დედამიწა (ხოლო ის, რასაც სახელმწიფო ჰქვია — მუდმივად).“ თავისუფლება შეიძლება „უფლის თავს: და სული მართლაც განიცდის შვებას, არა მარტო იმიტომ, რომ სხეულისგან თავისუფლდება, არამედ თავისუფლდება შინაგანი სცენისგან — საკუთარი თავის ყურებისგან. ახლა ის ერთია. ის აღარ არის სარკე.“

წუთისოფელს კი ასე გაუგებრად მივიჩნევთ და ხანდახან ვითომ გასაგებადაც, როგორც „ბავშვის გაჭრილ თითს: ცრემლს, მოსაწყდომად დაკიდებულს წამწამზე! ხნულივით ღრმა ნაოჭს ვიღაცის თვალებთან, ამოყრილ ვენებს ვიღაცის წვივებზე, მკვდარ ჩიტს გაყინულ მიწაზე, ყავარჯენს ვიღაცის ხელში. მშიერი ძაღლის უიმედო და უსაყვედურო თვალებს, პატარა კუბოს, ლანცეტს შიშველ კანზე გასრიალებულს, ყვითელი შუქის ქვეშ ღიად დარჩენილ, ლურჯ-ცისფერ ტუჩებს, რომელთაც ბოლო სიტყვა შეაშრათ, ყვითელ, მახინჯ პეშვს — ხურდა ფულით ფსკერმოფენილს, ძროხის სველ თვალებს შავი ბუზებით“ ან სამჯერ ნაკოცნ პურს, ღობის თავზე შემოდებულს

ივილს გვაყენებს, რადგან „იმ“ სინამდვილეში უფრო უსახელონი ვართ, მთელის ნაწილი. ხანდახან „ჩვენ გვგონია, ყველაფერი ჩვენთვის არისო, მაგრამ არა. ყველაფერი თავისთვისაა“ (ბიჟან ჯალალი). საქმიანი ჭიანჭველები, თაგვი, ხმაურით რომ ამჟღავნებს საკუთარ არსებობას ან ჩრჩილები, ხოჭოები, თუნდაც უცხო თეთრი ყვავილი — ვერცერთი ვერ ამჩნევს თითქოს ჩვენს არსებობას, ჩვენ ხომ „წუთისოფლის სტუმრები ვართ“, ხიზნები და ეს ყველაფერი სხვისია. ამიტომაა ალბათ, რომ, მწერლისა არ იყოს, სიზმარში სულ სახლს ვეძებ. იქნებ თავად წუთისოფელია სიზმარი? მაგალითად, დასიზმრებულმა მკვდრები, რომლებმაც მწერლის „სიზმრებში უმეტესად არ იციან, რომ მკვდრები არიან, ცოცხლებივით იქცევიან“, ასე ფიქრობენ ჩვენზე: „მას საერთოდ ჰგონია, რომ ჩვენ ვესიზმრებით. ის კი არ იცის, რომ თვითონ არის ჩვენი სიზმარი.“ ამ უცნაურობას იქნებ ჩასწვდა კიდეც ბავშვი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს თქვა ასეთი ფილოსოფიური ფრაზა, როგორც „იყო და არა იყო რა“ — „ცხოვრობდა ერთი აღარავინ“ ანუ ის, ვინც გზის დასასრულს მიაღწია, ვინც თანდათან „გადადგა ადამიანობიდან“. მსგავსია ბავშვის ეს „ცოდნაც“ — როცა მას ეკითხებიან: „სად ცხოვრობს იესო ქრისტე?“, ის უპასუხებს: „კანფეტში“ ანუ მისთვის ღმერთი სამოთხის შუაგულშია, კონცენტრირებულ სიტკბოსა და ნეტარებაში („ყოველი საყვარელი საგანი ერთგვარი სამოთხის შუაგულია“ — ნოვალისი). ეს ცოდნა ქვეცნობიერშია, როგორც ის სიზმრები, რომლებზეც გვიყვება ნაირა გელაშვილი: „საკმარისია, ჩავწერო ჩემი სიზმრები, გამოვა დიდი, საოცარი შემოქმედება, ოღონდ ვისი, არ ვიცი, ანდა რომელი ეპოქისა.“ სიზმრები ნაწარმოების ბოლოშია, მათივე ახსნის ავტორისეული მცდელობებით. განსაკუთრებულია სიზმარი მიერ სანქცირებული“ საკუთარი ბედისწერის ტყვეობაშიც მოიპოვოს კაცმა. ბედისწერისა, რომელშიც ძნელად გასამიჯნია შინაგანი და გარეგანი, ავტორის აზრით. იქნებ ამ შემთხვევაში გადამრჩენი თვითირონიაა, რომლითაც იგი საკუთარ ბედისწერაზე, მფარველ ანგელოზზე საუბრობს? „გული იმაზე მწყდება, რომ მისი სახით იდეალური მკითხველი მეყოლებოდა, მე, რომელიც ვთვლი, რომ მკითხველი საერთოდ არ მყავს. აბა, უფრო უკეთ ვინ გაიგებს იმ სიუჟეტებს, რომელთა ავტორადაც მე ვითვლები, ვიდრე ის არსება, რომელმაც ბოლომდე იცის ის სიუჟეტი, სადაც მე მთავარი პერსონაჟი ვარ?“

ცხოვრებაც სარკეა, რომელშიც ჩვენ „ტკივილებს ვფლანგავთ“, რადგან როგორც სარკეში, მასში ხშირად ვერ ვხედავთ საკუთარ თავს, სარკე ხომ „სახიდან გამომეტყველების წაშლის დიდოსტატია“, ცოტა სხვა კონტექსტში — ცხოვრებაც („ის იქ საკუთარ თავს კი არა, არამედ საკუთარი თავის ყურების პროცესს შესცქერის ხოლმე“) სარკეს უფრო ღრმა სიმბოლიკაც აქვს. იქნებ ის უხილავში გამავალი ფანჯარააო, მიღმიერის ჭუჭრუტანა, მარადისობაში დროებით გახელილი კედლის თვალები ან სცენა? სვამს კითხვებს მწერალი. მახსენდება ჩვენი ტრადიცია: ვინმეს სიკვდილისას რომ მას ფარდას აფარებენ, როგორც „სულეთის გვირაბის შესასვლელს“ და ახალგარდაცვლილი ასაკოვანი ბებიაჩემის ახალგაზრდული გამოსახულება ჩვენი სახლის სარკეში, რომელზე ჩამოფარებაც ვერ მოვასწარით და ეს ამ „გაფრთხილების“ შემდეგ გავაკეთეთ. რატომ გვეშინია ასე სარკის გატეხისა და გვგონია, რომ ეს სიკვდილს მოიტანს? იქნებ „თავად გარდაცვლილი ადამიანია გატეხილი სარკე: ის აღარაფერს ირეკლავს. აღარც გარე სამყაროს (რადგან მისთვის გარეთ და შიგნით აღარ არსებობს), აღარც თავისბეღურებისთვის, ბავშვის ცალ ფეხსაცმელს, ქვიშაში რომ გდია. ხმა თეთრია და ჩაგძახის: „იგალობე, დიად საგანთა და საქმეთა შესახებ“. პასუხიც ძნელია და აღსრულებაც — „ო, არც დედები, არც მამები რომ აღარ ვიყოთ, აღარც ცოლები, აღარც ქმრები, არც საყვარლები. აღარ გვინდოდეს ერთმანეთი მოზრდილთა ნდომით. უცბად ბავშვებად ვიქცეთ ყველანი და მივირბინოთ ჩვენსავ ბავშვებთან. ხოლო ისინი, ვინც ჩვენ ვიყავით, გამაწბილებელნი, გაწბილებულნი, თოჯინებად გადავიქცეთ ყველა. ნელა გავბანოთ, ჩვენ, ბავშვებმა, ის თოჯინები, დავაძინოთ იავნანებით, დავახუროთ სქელი საბანი, გავიხუროთ ქალაქის კარი და მინდორში გავიქცეთ ერთადჩამოდის წვიმა ჩვენს თვალებზე. ო! სიხარული! ბრუნდება იგი მხოლოდ ასე. მხოლოდ ამგვარად: ვარსკვლავური, გრილი, ბავშვური.“ ეს ხომ „თამაშია ჭვავის ყანაში“?

დაბოლოს, ბავშვობა იქნებ სამოთხეა, „რომელშიც ჯოჯოხეთი თავს იხსენებს“? სარკეთა ანარეკლები კი ასეთია — ბავშვი: ღმერთი: სამყარო. ყველაზე დიდი სარკე ღმერთია, რომლის თვალისმომჭრელი შუქი თუ ჩაიღვარა დანარჩენი, პატარა სარკეების ნატეხებში, „ისინი შეიძლება საერთოდ დაბრმავდნენ ან დადუმდნენ ან გაუჩინარდნენ ან მოკვდნენ, სულ სხვა ენაზე ალაპარაკდნენ, რომელსაც თითო-ოროლა თუ გაიგებს, ან ვერავინ.“ ვიცით, რომ ვერავინ დაგვიცავს სამყაროსგან, ყოფიერებისგან, ვიცით, რომ მაინც გარდავიცვლებით, „ჩვენი სულები იფარფატებს სადღაც სივრცეში, ჩვენგან თავდახსნილი, როგორც იალქანი, ნავს მოწყვეტილი. მხოლოდ ვიღაცის ხსოვნის ქოხში კვლავ შევერთდებით და დაგვაშორებს მერე ისევ დავიწყების თალხი მდინარე, აღარ შეგბოჭავს არავის ფიქრი“, მანამდე კი — იტრიალე, სარკული მეხსიერების კალეიდოსკოპო!..



ქარდა ქარდუხი

ვერცხლიანი ოქროსფერი მზე

ადრეც დამემართა ასე — ერთი პოეტის კრებულს ვეძებდი და ვერ ვიპოვე, არ დავასახელებ... ნაცვლად იმისა, რომ გაუხარდეთ — ჩემს წიგნს ვიღაც ეძებდაო — სწყინთ მაინც, ჩემი წიგნი ვიღაცამ ვერ იპოვა ბიბლუსშიო. ჰოდა, ვნახე რამაზ ჭილაიას მოკრძალებული კრებული. რა თქმა უნდა, ვიყიდე და სულ სხვანაირი რამაზ ჭილაია გავიცანი... ეს სხვა დროს იყოს, შეიძლება, დავწერო კიდევაც შთაბეჭდილება, ამჟამად კი ასევე პოეტური კრებულის ძებნისას, რომელიც, სხვათა შორის, დედაქალაქში უკვე წელიწადზე მეტია, დარონინობს ანდაც დასევდიანობს მაღაზიების დახლებზე, რეგიონებში კი ვერ ჩამოაღწია, და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ეს ამბავი რეგიონების ლიტწარმომადგენელთა კი არა, დედაქალაქის ამ სფეროს ლიტმამათა და დედათა პროვინციალიზმს უსვამს ხაზს კი არადა, წარმოაჩენს ტვიფრული ასოებით — ჰო, ესეც სხვა დროს... და ამ დროს წავაწყდი მალხაზის კრებულს — „მამაჩემი ბობ დილანი და კაცი საკაბელოდან“. ცხადია, სათაური კლასიკაა, ნიჭიერი კაცის მოფიქრებულია, საერთოდაც, მალხაზის სტილშია. მახსოვდა კიდევაც ფეისბუქიდან, საერთოდაც უფრო მისი ფეისბუქგვერდიდან მახსოვს ასეთი სტილი, მისი პოსტებიდან. თვითონ წიგნი, მე რომ მიყვარს, იმ ფორმატისაა, ეგრევე მიგიზიდავს ხელში ასაღებად, ალბათ A6 ფორმატის... ჰო, მაინც განვმარტავ, შეიძლება, უცებ ვერ წარმოიდგინოთ: თაბახის ფურცელი ყველამ ვიცით, აი, რომ გაკეცავთ იმას შუაში, ეგაა A5 ფორმატის, ახლა ეგეც გავკეცოთ და მივიღებთ A6-ს. ჯიბის წიგნიც რომ არ ეთქმის, თუმცა მართლაც ყველა ჯიბეში ჩაეტევა თითქმის, ყველაზე დიდი მობილურისა და ყველაზე პატარა ტაბლეტის ეკრანის ზომა. მართალია, აკინძვა არაა ისეთი, მე რომ მიყვარს, უფრო სწორედ, საერთოდაც არაა აკინძული და ფურცლები ყუაზე სქლად წასმული წებოთია შეკრული, ესეც კარგად უწყით 21-ე საუკუნის მეოცნებეებმა — მკითხველებმა რაღა — გასაშლელად არის მოუხერხებელი ასეთი აკინძვა... მაგრამ არა უშავს, ფორმატის მოხერხებულობა ფარავს ცოტათი ამ ამბავს.

წიგნი სათაურში ნახსენები ესეით იწყება, მაგრამ, როგორც წესი, ასეთ დროს მე პირადად სარჩევს ვაშტერდები აუცილებლად, თუმცა პირველს მაინც ამ ესეის ვკითხულობ და უკვე ამის შემდეგღა გადავხტები შუაში მოქცეული წერილისკენ, არადა, რომ არა სათაურის მომხიბლაობა, პირდაპირ ამით დავიწყებდი — რაღა თქმა უნდა — „ოთარ ჭილაძის მოცემული პიროობა“.

→

ქარდა ქარდუხი

ვერცხლიანი ოქროსფერი მზე

დასასრული

* * *

აგვისტოს ოდა აქვს ერთ ესეიში, თბილისის აგვისტოს ოდა, დაცლილი თბილისის, მაგრამ ეგრე გესლიანადაც არა, თბილისში და ბათუმში რომ წერენ — აღდგომის შემდეგ, ძირითადად, გათავისუფლდა ქალაქიო, აჰანდე თბილისში საცობებიც კი არაა მაშინ; მალხაზის აგვისტოშიც დაცლილია თბილისი, მაგრამ ამის გამო არაა ოდა აგვისტოს თბილისს, არა, უფრო შინაგანი და საკრალურია აქ აგვისტოს ხვატი, ფოლკნერისეული აგვისტოა, ლიცლიცა მზის აგვისტო, რომელიღაც მისმა მეგობარმა ვერცხლიანი ოქროსფერი მზეო, რომ უწოდა. იმ დროს აივნები ჩნდება აგვისტოს თბილისში; კი, კაცო, აივნები სხვა დროსაც ჩანს თბილისში, საერთოდაც აივნებიანი ქალაქია, მაგრამ აგვისტოში აივნებშორის საუბარი ისმის მკაფიოდ, თითქოს ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი, ისე მკაფიოდ. ხოლო თუ რატომ გარბოდა გრიგოლ ორბელიანი აგვისტოს თბილისიდან და რომელი მარტოსულები რჩებოდნენ ამ დროს ტფილისში, ეს, მირჩევნია, თავად წაიკითხოთ ამ კარგ წიგნში, და ისიც, ვაჟა უფრორე ხშირად სწორედ აგვისტოში რატომ ჩამოდიოდა „ივერიის“ რედაქციაში.

* * *

იცით, რა განსხვავებაა დაისვენეს და მოისვენეს შორის? განსაკუთრებით დედის ნათქვამ „მოისვენე!“-ში? მგონია, რომ მალხაზის ამ წიგნს მთლიანად ეს დედისეული „მოისვენეს“ სიტკბო გასდევს.

* * *

განსაკუთრებით რატომ მომეწონა ეს წიგნი? ალბათ იმიტომ, რომ ჩემთვის საინტერესო და ჩემეულ რაღაცებზე წერს, ბევრი რამ, რაზეც წერს, ჩემთვის დაწერილი მგონია, ალბათ ესაა მწერლური ნიჭი სწორედ, თითოეულს აგრძნობინოს, რომ თითოეულისთვისაა, მზე „თითოეულისაა“: თან კიდევ, იმ „ორით მეტი ენის ცოდნაზე“ ისე სიღრმისეულად ამბობს ერთი გაკვრით, რომ შეუძლებელია შენეული განცდა არ აღძრას.

* * *

როსტომის არ იყოს, ლექსები პროზადაა, ალბათ, უამრავი ესეი მალხაზის ამ წიგნში.

მგონი, არცაა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რამ მოვლენა (ბუნებრივია იმ პერიოდის), რასაც არ გამოხმაურებია მალხაზი ამ წიგნში, მწერლების მაღალთა ამა ქვეყნისათა შეხვედრებს, პრეზიდენტსაც, დაზეპირებული ციტატებით და უვარგისი ღვინით გამასპინძლებულ გამორჩეული პოეტი მასპინძლის (დიდებული მეტაფორა ნახა ავტორმა ორმხრივი ფარსისა და არაგულწრფელობის გამოხატვის), ლიტერატურასაც, არა მსოფლიოს ლიტერატურასთან არასაკმარისი გატოლების მცდელობაც, ვერა და ვერ რომ დაეწია ქართული მწერლობა, ფეხბურთივით, თანამედროვე სამყაროს ფერხულს.

* * *

ალბათ დედამიწის ზურგზე მხოლოდ მალხაზ ხარბედიას შეეძლო, ასე ტკბილად და საინტერესოდ დაეწერა წიგნის ჭიებზე, დაეყო ისინი სამ კატეგორიად; არა, ადამიანებზე კი არა, კითხვით ვერგამძღრებზე, მართლა ჭიებზე და ის სამი კატეგორია მართლაც რომ სახიერადაა გამოყვანილი და თუ გადახედავთ ამ წიგნს, გარწმუნებთ, ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავთ, დაგენანებათ კიდევაც ასეთი შთაბეჭდილების ჩასანიშნად რომ მოსწყდეთ წიგნს; ჰო, ჭიებიც დაგენანებათ ყვითელ ფურცლებზე მისასრესად.

* * *

მთხრობელთან ერთად შენ მიძვრები აივნიდან დიდებული პოეტის, თამაზ ჩხენკელის, ბინაში, გულაფანცქალებული, ემანდ რა დაემართა პოეტს, რამე საშინელება არ დამხვდეს ბინაშიო.

* * *

ხუან რულფოს მაგიური რეალიზმი კი არარეალური მაგია შეიძლება, იგრძნოთ, როცა მდინარეებზე წერს მალხაზ ხარბედია, გამქრალ მდინარეებზე; იცოდით, რომ ლონდონში 15 დაკარგული მდინარე ყოფილა? ერთზე, სოხუმურზე, შალვა ბაკურაძემ გვიამბო ფეისბუქზე დიდი ხვეწნის შემდეგ, ბათუმში რამდენიმე ვიცი, აი, თბილისში კიდევ დაკარგულ მდინარეებზე ჩაგაფიქრებს კი არა, გულს დაგწყვეტს, შეიძლება, ტირილამდე მიგიყვანოს მწერლის საუბრებმა: მდინარე ვერეს გაქრობის, მილში ჩაკვეხების, ჩაბეტონების ფონზე, თბილისის სასუნთქი ფილტვების დახშობის ავბედით სინამდვილეზე... იცოდით, რომ ათჯერ ნაკლებია თურმე ჩვენს დედაქალაქში ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიის კოეფიციენტი? უნდა იყოს 50 კვადრატული მეტრი და არის 2-2,5 მკ. იცით, ეს რას უქადის ჩვენს მომავალს, ჩვენი ბავშვების მომავალს?

თითქოს ვერეს გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას უყურებს მკითხველი.

* * *

იცოდით, რომ მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიები არაა დროებით დაკარგული? იცოდით, რომ ის ადგილებიც ისევეა დაკარგული, სადაც ნაგავს ყრით? ასე მწარედ არ დამისკვნია, თორემ ხშირად მიფიქრია, განსაკუთრებით გონიოს სანახებში სანადიროდ, ფოტოსანადიროდ, სასეირნოდ თუ პიკნიკისთვის გასულს მიფიქრია, რადგან გონიოს პატარა ტბები და შემოგარენი განსაკუთრებით პლასტმასებითაა სავსე: ათასგვარი, ფუმფულა, დაჭყლეტილი-გაბესკნილი, ტივტივებენ როგორც ნახევრად მოძრავი ზომბები საშინელებათა ფილმებიდან... გრემის ირგვლივ დაყრილი ნაგავი კი არა მგონია უფრო ადვილი სანახავი იყოს. ჩვენთან რაღაც ტრადიციაა დამკვიდრებული, ნაგავი კი არ გაგვაქვს, გადავაადგილებთ, ქალაქის შიგნიდან ქალაქის მისადგომებთან გავიტანთ ხოლმე. მაგალითისთვის ბათუმის ნაგავსაყრელი კმარა, აგვისტოში ბათუმის ახალი ბულვარის უახლესი ფეშენებელური ბინების სიახლოვე ყარს, ყარს მძორისა და ნაგვის უბინძურეს სუნად, იქვე ხელის გაყოლებაზე ჩაზუბზუბებული სანაგვის მადლით. დასკვნაც შთამბეჭდავია ამ სტატიის თუ ბლოგის, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩემთვის — „თქვენ, ვინც ქუჩაში და ქვეყანაში, აი, ასე, ნაგავს აფრქვევთ, სამშობლოს, ქვეყნის ნაცვლად ტერიტორიების შვილები ხართ! ტერიტორია კი ყოველთვის სხვისია, არ დაგავიწყდეთ!“ ჰოდა, ამ ტერიტორიების დაბრუნება მაინც ხომ უადვილესია, მწერალი სწუხს, ეგ კი ყველაზე მძიმეა, ყველაზე სასტიკად სრულდება ხოლმე ცხადში, არ გჯერათ?

აგერ ნახეთ: მისი ნაწერი ვერეზე, მდინარე ვერეზე, როდის აფრთხილებდა ქვეყანას, არ ჩასვათ სარკოფაგში ვერეო? ვინმეს მაინც რომ დაეფერთხა ყური, 13 ივნისის ტრაგედია არ მოხდებოდა თბილისში.

როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველი, დაჯდა ახალგაზრდა კაცი, ნიჭიერი მწერალი და ლიტერატორი და წლების წინ გაიხედა, თითქოს ცხადად ნახა, იმ დღეს გალიებიდან ამომსკდარი ლომები და ჟირაფები, რომლებიც, მგონი, არც არასოდეს ყოფილა თბილისის ზოოპარკშიო, როგორც ჯიმშერ რეხვიაშვილისგან მახსოვსო. დიახ, წლების წინ დაგვანახა მალხაზმა ზოოპარკთან მოლასლასებული ბეჰემოთი, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ქართული დედაქალაქის ტრაგედიის სიმბოლოდ იქცა.

და რისი მწერალი იქნებოდა მალხაზი, წიგნები არ ეხსენებინა: ახლა ყველა მისი ნაწერი ისედაც წიგნებს ეხება, მაგრამ ცალკე, როგორც თამადა გამოჰკვეთს ხოლმე პერსონალურად დასალოც სუფრის წევრს, იმათთაგანაც გამორჩეულს, წერს წიგნებზე, უფრო სწორედ, ერთ დროს თბილისის ქუჩებში გამოფენილ წიგნებსა და წიგნის გამყიდველებზე, ბუკინისტებზე. ჩემი სტუდენტობის დროსაც ყველაზე ნეტარსახსენებელ ადგილებზე, სადაც რამდენჯერ დამღამებია წიგნების თვალიერებასა და ზოგჯერ მცირედ წაკითხვის დროსაც. მაშინ ძირითადად არ მქონდა ხოლმე მათი ყიდვის თავი და თვალიერებითა და ნერწყვის ყლაპვით შემოვიფარგლებოდი ხოლმე. მაგრამ იმ ვერნაყიდი წიგნებით შევიძინე ყველაზე მეტი ცოდნა: იქ გონებაში მონიშნულზე ვიწყებდი მერე ნადირობას, ჯერ საჯაროში, მერე ფილიალებში, მერე სამეგობროში და სულ ბოლოს სანაცნობოში... ერთ დღესაც ამოუკვეთეს ფეხი წიგნებს თბილისიდან, ერთ დღესაც გაქრნენ წიგნები ქუჩებიდან, თითქოს რომანის დასაწყისია, როგორც ზღვა აიკრავს გუდა ნაბადს ქალაქიდან ჭილაძის მაგიურად დიდებულ რომანში.

* * *

აგვისტოს ომის გამოძახილები საერთაშორისო მასმედიაში ყველაზე მძიმე და რთული თავია ამ წიგნში და არა მარტო ჩემთვის. არაფერ კონკრეტულს ვიტყვი ამაზე, ეს ჩემთვის ჭრილობის გახსნა და თავიდან მარილის მოყრაა, მაგრამ წაკითხვით, რა თქმა უნდა, ვკითხულობ... ბევრ რამეს გაიგებთ, ბევრ რამეს მიხვდებით: ბევრი, სავალალო პარალელები წამოვა თანამედროვეობასთან, როგორც ვერეს ადიდება და წალეკვა, ისევე არის წინასწარხედვის ნიშნები აქაც, თუ რას აპირებდა რუსეთი, რასაც იზამდა და როგორ მოუყრუა საერთაშორისო საზოგადოებამ თუ პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა. ჩვენზე, ჩვენს შეცდომებზე არაფერს ვიტყვი, ეგ ყველას ჩვენებურად გვესმის და არაფრით სხვის გავლენის ქვეშ ვერ ვექცევით... ბევრი მართალი და მწარე ნათქვამია ამ თავშიც, მე მგონია, რომ პირუთვნელი...

* * *

რაც შეეხება ბოლო განყოფილებას — „ალტერნატიული ტფილისი“ — მისი უცნაური წარმოსახული რეალიზმიდან გამომდინარე, მინდა, გავიხსენო მალხაზის ამ წიგნის ერთ-ერთი პირველი პრეზენტაცია, რომელიც სოხუმში გაიმართა გამოსვლისთანავე, 2013 წელს. ყველა სოხუმელს ყველას ახსოვს მშვიდობის ქუჩაზე ყველაზე მყუდრო, მგონი, მთელს საქართველოში, ოდნავ მობაროკო სტილის პატარა ბიბლიოთეკა, რესპუბლიკურის ფილიალი. როგორი თავმდაბალი კაციცაა მალხაზ ხარბედია, ისეთივე არაპომპეზური იყო წიგნის წარდგინება. მოდერატორი ადლერ ძიაპშპა იყო, სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორებიც ესწრებოდნენ, ჩემი სტუდენტობის მეგობრებიც; მე რობი და კახა კვაშილავა, მახსოვს, ბოლო რიგში ვისხედით და მიუხედავად იმისა, რომ არც ერთს არ გვეზარება სიტყვით გამოსვლა, მაინც ხმა არ ამოგვიღია, სხვებს ვუსმენდით და ხანდახან თითქოს შეთქმულებივით გავაპარებდით მზერას ზურაბ აჩბასკენ, არ გვეგონა, თუ იქნებოდა ამ შეხვედრაზე. კი გვახსოვდა, რომ ნათქვამი აქვს, ჩემი საყვარელი წიგნი „მთვარის მოტაცება“-აო, მაგრამ მაინც თავს შეიკავებს-თქო, ვფიქრობდით, ქართველი ავტორის წიგნის წარდგინებაზე დასწრებისგან, თან წიგნში როგორც აღვნიშნე, არცთუ ისე მიმტევებლურადაა მიმოხილული 2008 წლის აგვისტოს ომის პერიპეტიების უსახური და უსამართლო ასახვა თუ გამოძახილი საერთაშორისო მასმედიით. ისიც კარგად მახსოვს, როგორ ვერ ვაცილებდი მზერას ფანჯრიდან ზღვაში ჩაშენებულ რესტორან „ამრას“ და მიკვირდა, რესტორნის შესასვლელში ვებერთელა აბრად გამოსახული ორივე დელფინი ზედ რომ იყო, არადა ზუსტად ვიცოდი, რომ ერთი მათგანი ჯერაც ომისას ჩამოვარდა და ზღვაში გაუჩინარდა.

შემდეგი ნომერი გამოვა 1 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004